

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა

სამაკაშვილი მერი

დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები

(რასიზმის შემთხვევა)

გამოცემული 2001 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის

გამომცემლობის მიერ

(მე-2 და მე-3 (I, II) თავების თარგმანი და თარგმანის ანალიზი)

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ირინა გველესიანი
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

„დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები (რასიზმის შემთხვევა)“ სხვადასხვა ავტორის სტატიების კრებულია. მისი რედაქტორი სანდრა ფრედმანია. წიგნი გამოიცა 2001 წელს „ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის“ მიერ. შედგება 8 თავისაგან. წიგნში საუბარია დისკრიმინაციაზე, მის სახეებსა და მნიშვნელობაზე. განხილულია რასიზმი და მის წინააღმდეგ მიღებული საერთაშორისო ზომები, რომლებსაც თან ახლავს ევროკავშირის დონეზე ახლად მიღებული რასობრივი დისკრიმინაციის დირექტივის კრიტიკული განხილვა.

მე ვთარგმნე წიგნის ორი თავი (მე-2 და მე-3 (I, II) თავები), რომლებიც დაყოფილია ქვეთავებად. თითოეულ თავში განხილულია სხვადასხვა სასამართლო საქმე, რომლებიც დაკავშირებული იყო ადამიანის უფლებების დარღვევასთან.

მე-2 თავში საუბარია რასიზმის ბუნებასა და მის შედეგებზე. რასიზმი შეეხება დომინანტობასა და დაქვემდებარებას შორის ურთიერთობას, „სხვის“ სიძულვილს „საკუთარი თავის“ დასაცავად. როგორც სანდრა ფრედმანი მსჯელობს, რასიზმს შეუძლია, სულ მცირე, სამი მიმართულებით მოქმედება: პირველი არის დამამცირებელი სტერეოტიპების, სიძულვილისა და ძალადობის. მეორე არის დაჩაგრულ მდგომარეობაში ყოფნის ციკლი. მესამე კულტურის, რელიგიის ან ენის უგულებელყოფა და განადგურებაა. ავტორი საუბრობს თანასწორობის კონცეფციებზე. მისი აზრით, თანასწორობა, როგორც იდეალი შედარებით თანამედროვე ცნებაა. სანდრა ფრედმანი სათითაოდ განიხილავს თანასწორობის ცნებებს, განმარტავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას. ბოლო ნაწილში ყურადღება ეთმობა თანასწორობას, როგორც ადამიანის უფლებას. ს. ფრედმანი მსჯელობს, თუ როდის აქვს სახელმწიფოს ჯგუფების ერთმანეთისაგან განსხვავების უფლება.

მე-3 თავის პირველ ნაწილში დიმიტრინა პეტროვა საუბრობს რასისტულ კონსენსუსსა და მის შენიღბვაზე. ყველა საზოგადოება გარკვეულწილად რასისტულია და

რასიზმის აღიარება მისი დაძლევის წინაპირობაა. მისი აზრით, არსებობს რასიზმის შეგნებისა და გაცნობიერების სხვადასხვა ხარისხი. პეტროვა წარმოგვიდგენს რასიზმის უარყოფის სახეებს. ავტორი საუბრობს რასობრივ დისკრიმინაციაზე, როგორც რასიზმის სოციალურ პრაქტიკაზე. რასობრივი დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა სამართალში გაგებულია, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა. მეორე ნაწილში განხილულია რასობრივი დისკრიმინაცია და ჯგუფის უფლებები. ჯგუფის უფლებები ის უფლებებია, რომლებიც არ დაიყვანება შესაბამისი ჯგუფის წევრების უფლებათა ჯამამდე. ამავდროულად, ჯგუფის უფლებები ის უფლებებია, რომლებსაც ჯგუფის წევრი მარტო ვერ მოითხოვს.

Annotation

„Discrimination and Human Rights The Case of Racism” is a collection of articles by different authors, which is edited by Sandra Fredman. The book was published in 2001 by „Oxford University Press”. It consists of 8 chapters. Here are discussed discrimination, its types and meaning. Here is reviewed racism and international measures against it, which is followed by a critical examination of the newly developed race discrimination directive at the EU level.

I translated two chapters of the book (the 2nd and the 3rd (I, II), which are divided into sub-chapters. In each chapter there are examined different cases, which are connected with the violation human rights.

The 2nd chapter examines the nature of racism and its consequences. Racism is about relationships of domination and subordination, about hatred of „other” in defense of „self”. As Sandra Fredman thinks, racism can operate along at least three axes: first, that of denigratory stereotyping, hatred and violence. Secondly, that of a cycle of disadvantage. Thirdly, the negation and obliteration of culture, religion or language. The author discusses conceptions of equality. In her opinion equality as an ideal is a relatively modern notion. She examines each notion of equality. Sandra Fredman explains the direct and indirect discriminations. In the last part the attention is paid to the equality as a human right. S. Fredman discusses when a state has a right to differentiate between groups.

In the first part of the 3rd chapter Dimitrina Petrova talks about the racist consensus and its disguises. Every society is racist to some degree. The acknowledgement of racism is the prerequisite of its overcoming. As she thinks, there can be different grades of consciousness and awareness of racism. Petrova presents different types of denial of racism. The author examines the racial discrimination as the social practice of racism. Racial discrimination is understood in human rights law as the violation of human rights. In the second part there are examined racial discrimination and group rights. Group rights are those that are irreducible to the sum of the rights of the respective group members. Group rights are those rights which a group member cannot claim alone.

სარჩევი

შესავალი	8
თავი 2	
რასიზმთან ბრძოლა ადამიანის უფლებებით: თანასწორობის უფლება.....	11
I რასიზმი: მისი ბუნება და შედეგები	12
II თანასწორობის კონცეფციები: სიძლიერე და შეზღუდვები	20
(i) ისტორიული წინამძღვრები	20
(ii) თანასწორობის ცნებები	22
III თანასწორობის კონცეფციები სამართლებრივ დებულებებში	35
(i) პირდაპირი დისკრიმინაცია ან განსხვავებული მოპყრობა	35
(ii) ირიბი დისკრიმინაცია ან განსხვავებული გავლენა.....	35
(iii) ირიბი დისკრიმინაციის მიღმა: პოზიტიური მოვალეობები.....	40
IV თანასწორობა, როგორც ადამიანის უფლება.....	47
(i) როდის არის სახელმწიფო უფლებამოსილი, რომ ჯგუფები განასხვავოს ერთმანეთისგან?	48
(ii) როდის მოეთხოვება სახელმწიფოს ჯგუფების განსხვავება?.....	51
(iii) როდის მოეთხოვება სახელმწიფოს თანასწორობის ინტერესების დასაცავად უმცირესობათა მოთხოვნების უარყოფა?	57
(iv) შეუძლია ადამიანის უფლებების აღიარებას თანასწორობის მდიდარი ცნების წარმოქმნა?.....	67
თავი 3	
რასობრივი დისკრიმინაცია და უმცირესობის კულტურათა უფლებები	72
I რასისტული კონსენსუსი და მისი შენიღბვა	72
(i) უარყოფა: რასიზმის ახალი ფენომენოლოგია.....	72
(ii) რასიზმის უარყოფის სახეები	85
(iii) აღიარების შემდეგ.....	97

II რასობრივი დისკრიმინაცია	98
(i) რასობრივი დისკრიმინაცია, როგორც რასიზმის სოციალური პრაქტიკა	98
(ii) რასობრივი დისკრიმინაცია და ჯგუფის უფლებები.....	
ანალიზი	111
დასკვნა	143
გამოყენებული ლიტერატურა	145
დანართი 1	
დანართი 2 - „Discrimination and Human Rights The Case of Racism”	

შესავალი

წარმოდგენილ ნაშრომში თქვენ გაეცნობით წიგნის „დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები (რასიზმის შემთხვევა)“ მეორე და მესამე (I, II) თავების თარგმანსა და თარგმანის ანალიზს. წიგნი, რომლის რედაქტორიც გახლავთ სანდრა ფრედმანი, დაიბეჭდა 2001 წელს „ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის“ მიერ. იგი შედგება 8 თავისგან. თითოეულს სხვადასხვა ავტორი ჰყავს. ნაშრომის პირველი თავი განიხილავს თანასწორობის უფლებას რასიზმის კონტექსტში. მეორე თავი მოიცავს დისკუსიას მულტი-კულტურული, ეთნიკური და ჯგუფური უფლებების კონტექსტში, კონკრეტული მინიშნებით ევროპაში არსებულ ეთნოსზე. მესამე თავში საუბარია უშუალოდ რასობრივ დისკრიმინაციასა და უმცირესობის კულტურის უფლებებზე. მომდევნო თავები ეთმობა რასიზმის წინააღმდეგ მიღებულ საერთაშორისო ზომებს, რომელთაც ახლავს ევროკავშირის დონეზე ახლად მიღებული რასობრივი დისკრიმინაციის დირექტივის კრიტიკული განხილვა. ინტერნეტში რასისადმი სიძულვილის განსაკუთრებული პრობლემა განიხილება მეშვიდე თავში, რასაც მოჰყვება სააღსრულებო და გამოსასწორებელი სტრუქტურების მნიშვნელოვანი განხილვა.

აღნიშნული ნაშრომი იმითომ შევარჩიე, რომ დღევანდელ დღეს დისკრიმინაციისა და რასიზმის თემა საკმაოდ აქტუალურია. დისკრიმინაციის მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩნდეს ან ჩვენ გავხდეთ ამ ფაქტის თვითმხილველნი. „დისკრიმინაცია (ლათ. *Discriminatio*- განსხვავება) ნიშნავს რაიმე ნიშნით განსხვავებული პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ უთანასწორო მოპყრობას ან უპირატესობის მინიჭებას. ამასთანავე, იგი გაიაზრება როგორც თანასწორ პირთა მიმართ უთანასწორო მოპყრობა და, პირიქით, უთანასწორო პირთა მიმართ თანასწორი მოპყრობა.“ [New Press]. დისკრიმინაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. პირის დისკრიმინაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლების,

ასევე სხვა კერძო პირების მიერ. არსებობს ორი ძირითადი ფორმა - პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს დადგენილი უფლებებით სარგებლობისას არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. ირიბი დისკრიმინაცია არის სიტუაცია, როდესაც ე.წ. ნეიტრალური კანონი იწვევს უარყოფით შედეგებს ერთ-ერთი სქესისათვის, რაც ობიექტური მიზეზებით არ არის გამართლებული. დისკრიმინაცია შეიძლება იყოს გენდერული, რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, სოციალური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის გამო.

რასიზმი არის ადამიანის ჩაგვრა კანის ფერის, რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე. „ის წარმოადგენს შეზღუდვას, უპირატესობის მინიჭებას თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, რაც უტოლდება თანასწორობის პრინციპის შელახვასა და ადამიანის ღირსების ხელყოფას.“[Talk Tolerance].

ნაშრომის მიზანია დაგვანახოს, რომ დისკრიმინაცია და რასიზმი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილებია. წიგნში მოცემულია ამგვარი შემთხვევების მაგალითები და მათი შედეგები. ნაჩვენებია თუ როგორ ვებრძოლოთ დისკრიმინაციასა და რასიზმს ადამიანის უფლებებით და როგორ ავამაღლოთ ადამიანებში ცნობიერება, რადგან ყველა თანასწორია კანონის წინაშე.

ჩემ მიერ ნათარგმნი მეორე თავი „რასიზმთან ბრძოლა ადამიანის უფლებებით: თანასწორობის უფლება“, რომლის ავტორიცაა სანდრა ფრედმანი, გაყოფილია 4 ნაწილად. მასში საუბარია, რომ ყველა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა შესახებ იძლევა თანასწორობის გარანტიას, რომელიც კანონით გათვალისწინებული დებულებებით განმტკიცებულია ბევრ იურისდიქციაში. პირველ ნაწილში ავტორი საუბრობს რასიზმის ბუნებასა და შედეგებზე. მეორეში განიხილავს თანასწორობის პრინციპის სხვადასხვა კონცეფციას, მის სიძლიერესა და შეზღუდვებს. მესამეში საუბარია ამ კონცეფციების სამართლებრივ გამოყენებაზე და

მოცემულია პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ცნებების განმარტებები. მეოთხე ნაწილში კი განხილულია გამოწვევები, რომლებიც გხვდება ადამიანის უფლებათა კონტექსტში რასიზმთან თანასწორობით ბრძოლის ცდისას. ამ თავში დავინახეთ, რომ თანასწორობის პრინციპის წინაშე ბევრი რთული გამოწვევაა. თუმცა, საბოლოო შედეგი ისაა, რომ თანასწორობა ხელშეწყობის გარეშე რასიზმს ვერ დაამარცხებს. ძირფესვიანი სოციალური და ინსტიტუციური ცვლილება ეგალიტარული მომავლის საბოლოო გასაღებია. ამის შემდეგ კი თანასწორობას შეუძლია არსებობა, როგორც მნიშვნელოვან, იდეალურად მამოძრავებელ ცვლილებას.

ვთარგმნე მესამე (I, II) თავიც („რასობრივი დისკრიმინაცია და უმცირესობის კულტურათა უფლებები“). მისი ავტორია დიმიტრინა პეტროვა. მესამე თავის პირველ ნაწილში საუბარია რასისტულ კონსენსუსსა და მის შენიღბვაზე. ყველა საზოგადოება გარკვეულწილად რასისტულია. კულტურები ცდილობს რასიზმის შენიღბვით უარყოს მისი არსებობა. რასიზმის აღიარება მისი დაძლევის წინაპირობაა. ავტორი განიხილავს მისი უარყოფის სხვადასხვა სახეს. თავის მეორე ნაწილი ეთმობა რასობრივ დისკრიმინაციაზე საუბარს. რასიზმისგან განსხვავებით, რასობრივი დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა სამართალში გაგებულია, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა. უფლება იმისა, რომ იყო რასის საფუძველზე დისკრიმინაციისგან თავისუფალი ხასიათდება საყოველთაოობით, ხელშეუხებლობითა და ძირითადი უფლებების დემოკრატიული ბუნებით.

დაბოლოს, ამ ნაშრომის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ეს წიგნი აქამდე არ ყოფილა თარგმნილი. ვფიქრობ, რომ ის დაეხმარება მკითხველებს დისკრიმინაციისა და რასიზმის შედეგების გააზრებაში და ხელს შეუწყობს მის აღმოფხვრას.

თავი 2

რასიზმთან ბრძოლა ადამიანის უფლებებით: თანასწორობის

უფლება

სანდრა ფრედმანი

თანასწორობა ის იდეალია, რომლისკენაც ყველა გულმოდგინედ ვისწრაფვით. არაერთხელ უცდიათ მისთვის რეალობაში შეესხათ ფრთები: ყველა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა შესახებ, იძლევა თანასწორობის გარანტიას, რომელიც კანონით გათვალისწინებული დებულებებით განმტკიცებულია ბევრ იურისდიქციაში. და მაინც, რასიზმი შენიღბული ფორმით ისევ არსებობს. რასობრივი ძალადობა, სიძულვილის ენა, უსამართლობა და სტერეოტიპიზაცია ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია. რასისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით განსაზღვრული ჯგუფები კვლავ უსამართლოდ განყენებული არიან. უმცირესობათა კულტურები და რელიგიები დადუმებული და უგულებელყოფილია.

თანასწორობასთან რასიზმის მიუწვდომელობა საჭიროს ხდის თანასწორობის პრინციპების ხელახლა განხილვას. არის რაიმე არსებითი თანასწორობის იდეის გაგებაში, ადამიანის უფლებათა კონტექსტში, რაც ხელს უშლის მას რასიზმთან ბრძოლისას ნამდვილი პროგრესის მიღწევაში? ან არის თუ არა შესაძლებელი, რომ ჩამოვაცალიბოთ თანასწორობის ცნება, რომელიც დაძლევს ამ შეზღუდვებს? ამ თავში განვიხილავ თანასწორობის პრინციპს, რათა ნათელი მოეფინოს მის შეზღუდვებს და გაირკვეს არის თუ არა შესაძლებელი თანასწორობის ალტერნატიული კონცეფციების შექმნა, რომლებიც გადალახავს ამ სირთულეებს. თავი იწყება საკითხის შესწავლით. თანასწორობა განხილულია რასიზმის კონტექსტში. II ნაწილში განვიხილავ თანასწორობის პრინციპის სხვადასხვა კონცეფციას, ვიდრე უშუალოდ გადავალ III ნაწილზე, ამ სხვადასხვა კონცეფციის სამართლებრივ გამოყენებაზე. IV ნაწილში შევცხები რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას, რომლებიც თავს იჩენს ადამიანის უფლებათა

კონტექსტში, რასიზმთან თანასწორობით ბრძოლის ცდისას.

I რასიზმი: მისი ბუნება და შედეგები

ცნება „რასის“ ფიზიოლოგიური ან ევოლუციური შინაარსის გადმოცემის ცდები ნაცნობია. თუმცა, „მეცნიერული ცოდნის“ საფარქვეშ ასეთი თეორიები თითქმის უცვლელად გამოიყენებოდა სხვათა მიერ ზოგიერთი „რასობრივი“ ჯგუფის გამორიცხვის, დაქვემდებარებისა და განადგურების გასამართლებლად. შესაბამისად, სულ უფრო და უფრო აღიარებენ, რომ რასა თავის მხრივ სოციალური ნაგებობაა, რომელიც ირეკლავს დომინანტობის დასაკანონებლად იდეოლოგიურ მცდელობებს და, ძირითადად, დაფუძნებულია სოციალურ და ისტორიულ კონტექსტზე. როგორც სტიუარტ ჰოლი მსჯელობს:

შავკანიანი, ძირითადად, პოლიტიკურად და კულტურულად ნაშენები კატეგორიაა, რომელიც ვერ იქნება დამყარებული უცვლელ ტრანსკულტურულ და ტრანსცენდენტალურ რასისტულ კატეგორიებზე და რომელსაც, აქედან გამომდინარე, არ გააჩნია გარანტია ბუნებაში. ეს იწვევს დიდი მრავალფეროვნების აღიარებას და შავკანიან სუბიექტთა ისტორიული და კულტურული გამოცდილების დიფერენციაციას.¹

აქედან გამომდინარე, რასიზმი შეეხება არა ობიექტურ მახასიათებლებს, არამედ დომინანტობასა და დაქვემდებარებას შორის ურთიერთობას, „სხვის“ სიძულვილს „საკუთარი თავის“ დასაცავად, რაც ხდება და შემდეგ გამართლებულია ამ „სხვათა“ იმგვარი რეპუტაციით, რომელიც მათ წარმოაჩენს როგორც დამდაბლებულ, საძულველ და ქვე-ადამიანად.

რაც არ უნდა იყოს, რასიზმის იდეოლოგიის ძალა არ არის სრულიად საკმარისი თავისი მდგრადობის ასახსნელად. გადამწყვეტია აგრეთვე ის ფარგლები, რომლებშიც რასიზმი ემსახურება განვითარებული კაპიტალიზმის მოთხოვნებს. დამთხვევა არაა, რომ რასიზმს ფესვები გადგმული აქვს მონობასა და კოლონიალიზმში, რომლებიც

გამოწვეული იყო ეკონომიკური მოთხოვნებით. მისი თანამედროვე გამოვლინებები, განსაკუთრებით ევროპაში, თანაბრად ეფუძნება ეკონომიკურ დომინანტობას. ამგვარად, ბრიტანეთში ომის შემდეგ შრომის მწვავე დეფიციტმა, გამოიწვია კარიბის ზღვის აუზის მოსახლეობის აქტიური დაქირავება; გერმანიაში კი თურქი მონვეული მუშაკების წახალისება. ეს საჭიროება უფრო კონკრეტული იყო, რათა შეეცნოთ არასასურველი სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობით.² პოლიტიკის მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ ახალმოსულების დარჩენა ასეთ სამსახურებში გამართლებულია და კანონიერია იმ საფუძვლით, რომ მუშაკები იყვნენ სხვაზე დაბლა მდგომნი, ყველა სხვა სამსახურისთვის „შეუფერებელნი“ ან „უმჯობესი იყო“ ისევე დარჩენილიყვნენ, როგორც მანამდე. ეკონომიკური მოთხოვნის სიმძლავრე განსაკუთრებით ცხადია მაშინ, როგორც კი „შავკანიანთა“ შრომის საჭიროება ქრება, რასაც ადასტურებს ევროპაში ფართოდ გავრცელებული საიმიგრაციო კანონებიდან საგამონაკლისო პოლიტიკა. განსაკუთრებით პრობლემატური შედეგი ფაქტისა, რომ შეგუებადობა მხოლოდ დამყარებულია ეკონომიკურ გამოყენებადობაზე, არის სასჯელი იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ეძებენ გზებს რომ შეერთდნენ სხვა მუშაკებს. შიში იმისა, რომ გარეთ მყოფები მიიღებენ შიგნით მყოფთა სამუშაოს ნიშნავს, რომ ეკონომიკურად აქტიურ მამაკაცთა მეუღლეები უნდა ითვლებოდნენ „ქმრის კმაყოფაზე მყოფად“, რათა გამართლდეს ქვეყანაში შეღწევა. ეს რომ დამტკიცდეს, მათი დაქვემდებარებული სტატუსი მოითხოვს დამცირებას საიმიგრაციო ოფიცრებისა და პოლიციის მიერ.³ განსხვავებული რამ მოხდა ბრიტანეთში, სადაც საიმიგრაციო კანონებმა, ერთ დროს, არ დაუშვა ეკონომიკურად აქტიური ქალების მეუღლეები. მსგავსი რამ განხორციელდა ბრიტანეთში თავშესაფრის მაძიებლების მიმართ. ბრიტანეთში პოლიტიკური ნიშნით დევნილებს, რომლებიც ითვლებიან, რომ ეკონომიკურად სასარგებლო როლს არ ასრულებენ, ახასიათებენ როგორც „მონყალეების მოთხოვნელებს“, მანიპულირებად, არასასურველ შემოჭრილებს. არც

¹ჰოლი, „ახალი ეთნიკური წარმომავლობები“, ჯ. დონალდი და რატანსი (რედაქტორები), *რასის კულტურასა და სხვაობაში* (1992) 254.

² მოდუდი, „ეთნიკური მრავალფეროვნება და რასობრივი ჩაგვრა დასაქმების სფეროში“, თ. ბლექსთონი, ბ. პარეხი და პ. სანდერსი, *რასის ურთიერთობა ბრიტანეთში* (1998) 53.

³ რ. ბჰაენანი, *შავკანიანი ქალები შრომის ბაზარზე* (1994) ix.

რასიზმი შემოიფარგლება „გარეთ მყოფებით“. ადგილობრივი უმცირესობების (უმრავლესობისა ცი) შევიწროება ცხადყოფს, თუ როგორ ემყარება ეკონომიკური იმპერატივების არაჯანსაღი კომბინაცია და ლეგიტიმური იდეოლოგიები არასრულფასოვნებისა და სიძულვილის კარიკატურებს. ეკონომიკური მოთხოვნები მერყეობს მიწისა და სიმდიდრის სხვა წყაროების ჩამორთმევიდან, დაბალი ეკონომიკური ვარგისიანობის გამო მიწებზე უფლების ჩამორთმევამდე.

რასის, როგორც სოციალური ნაგებობის დახასიათება ასევე ცხადყოფს, რომ „რასა“, როგორც რასიზმის სამიზნე, მოიცავს ინდივიდუალურ და სოციალურ დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობას: რელიგიის, კულტურის, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ჩათვლით. განუყოფელი კავშირი რასის ცნებასა და დომინანტობის სტრუქტურებს შორის განსაკუთრებით თვალნათელია ეთნიკური კუთვნილების, როგორც უმცირესობებთან დაკავშირებული ტერმინის, გამოყენებაში. დომინანტური ჯგუფი თავის თავს არ უყურებს როგორც ეთნიკურ ჯგუფს, არამედ როგორც უნივერსალური ღირებულებების განსახიერებას, რომელიც გამოხატავს ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას აბსოლუტური გაგებით. ყველა სხვა დანარჩენი ჯგუფი, წარმოდგენილია როგორც განსხვავებული, სადაც განსხვავებულობა ნიშნავს გადახრას და ამართლებს დამამცირებელ მოპყრობას. თუმცა, როგორც იანგი მსჯელობს, განსხვავებულობა მხოლოდ პირობითი ცნებაა: „თეთრკანიანები“ ისევე განსხვავდებიან „შავკანიანებისგან“, როგორც „შავკანიანები“ „თეთრკანიანებისგან“. მას შემდეგ, რაც ამ სურათიდან ერთიანობას დავინახავთ, აღარ იქნება აღიარება საჭირო, რომ რომელიმე კონკრეტული კულტურა, კანის ფერი ან რელიგია სხვაზე მაღლა დგას.⁴

ვინაიდან, რასიზმი ემყარება მოპირისპირეთა პოლარიზაციას : „ჩვენ“ და „ისინი“, „თეთრკანიანი“ და „შავკანიანი“, „მე“ და „სხვა“, შეიძლება ვითქვით, რომ არსებობს ერთიანი, განუსხვავებელი „სხვა“. ამას მრავალი შედეგი მოჰყვება. პირველი, რასიზმი არ რეაგირებს ჯგუფებს შორის სხვაობაზე. შესაბამისად, ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ „ეთნიკურ უმცირესობებს“ მოვიხსენიებთ, როგორც ერთგვაროვან ჯგუფებს, რომელთა

⁴ ი. მ. იანგი, *განსხვავებულობის პოლიტიკა* (1990) 69.

შორისაც არაა განსხვავება. მაგალითად, ბრიტანეთში ეთნიკურ უმცირესობებზე საუბრისას, რეალური განსხვავების დანახვა რთულია აფრო-კარიბიულ წარმომავლობის ადამიანებსა და ინდოელებს შორის, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავდებიან პაკისტანური წარმომავლობის ხალხისგან. მეორე მხრივ, იმის დაშვება, რომ არსებობს განუსხვავებელი „სხვა“, გვაფიქრებინებს, რომ ჯგუფის არსი უცვლელია და რომ ინდივიდუალური პირები შესაძლოა მთლიანობაში განისაზღვრონ თავიანთი ჯგუფის წევრობით. ეს, თავის მხრივ, აადვილებს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ინდივიდუალურ პირებზე. მათი ჯგუფის იდენტობას ხშირად დამკვიდრებელ აღწერილობას უკავშირებენ. მესამე, გარედან დანახული თვალით, ასეთი არსებობა ქმნის კულტურაზე მყარ და სტატიკურ შეხედულებას და უარყოფს კულტურისა და რელიგიის დინამიკური განვითარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ვინაიდან კულტურული ან რელიგიური ჯგუფის წევრობა ადამიანთა ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტია, ადამიანები მრავალ სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებულ ჯგუფს მიეკუთვნებიან. აქედან გამომდინარე, უფრო შესაფერისია ვისაუბროთ არა რასიზმზე, არამედ მრავალნაირ რასიზმზე.⁵ მართლაც, როგორც მოდუდი მსჯელობს, აღარაა ადეკვატური იმაზე ფიქრი, რომ რასიზმი დამყარებულია მთლიანად ფერზე. „ფერის რასიზმთან ერთად“ ცხადია, რომ არსებობს „კულტურული რასიზმების“ განვითარებადი კომპლექტი, რომელიც „იყენებს კულტურულ მრავალფეროვნებას, რათა ჯგუფები, რომლებიც ასევე განიცდიან ფერის რასიზმს, დააკნინოს ან მიიყვანოს იძულებით კულტურულ ასიმილაციამდე“.⁶ მოდუდი, კერძოდ, ასახელებს ანტიმუსლიმანურ უსამართლობას – თეთრკანიანთა რეაქციას ისლამური თვითრწმენის აღორძინებაზე.

რასიზმის ძალის ნაწილი მდგომარეობს მისი ნაცნობი ლექსიკის დამახინჯებაში, რაც ართულებს ოპოზიციის ენის ჩამოყალიბებას. ამგვარად, „სხვაობა“ უთანასწორობის აღმნიშვნელი გახდა და უთანასწორობა არასრულფასოვნების სინონიმია, რაც

⁵ ბჰავანანი, *გემოთ ნახსენები* N 3; მოდუდი, „ეთნიკური მრავალფეროვნება და ჩავგრა“, თ. მოდუდი და სხვები, *ეთნიკური უმცირესობები ბრიტანეთში* (1997) 353.

⁶ მოდუდი, *გემოთ ნახსენები* N5, 353- ზე.

პრობლემატურს ხდის სხვაობის, როგორც დადებითისა და გამათანასწორებლის წარმოჩენას. ეს კარგად ჩანს სიტყვა „შავკანიანის“ გამოყენებაზე მსჯელობისას. ამგვარად, რასიზმზე საპასუხო ქმედება იყო ტერმინ „შავკანიანის“ გამოყენება კონკრეტულად, როგორც პოლიტიკური ქმნილების, სხვადასხვა ჯგუფის მიერ გამოცდილი დაქვემდებარებული მდგომარეობის მხილება, ამგვარად კი შევიწროვებულ ჯგუფებს შორის სოლიდარობის განცდის შექმნა და შავკანიანობის უარყოფითად მოხსენიებასთან დაპირისპირება.⁷ თუმცა, ბევრი კამათობს, რომ „შავკანიანის“, როგორც პოლიტიკური ქმნილების მოკრძალებული გამოყენების მიუხედავად, ის საკუთარ თავში მოიცავს საერთო გამოცდილებას, რაც გაუგებარს ხდის რეალობას. განსაკუთრებით, ბევრი სამხრეთ აზიური ჯგუფი თავის თავს არ მიიჩნევს „შავკანიანად“ ტერმინის პოლიტიკური მნიშვნელობითაც კი. ამრიგად, „გამიჯნული, მაგრამ თანასწორის“ საფუძველზე, ცუდი მოპყრობის გამართლების მცდელობამ, გაართულა მტკიცება იმისა, რომ გამიჯნულობა განსხვავებულობის კონსტრუქციული წარმოდგენა და თანასწორობის „ერთგვაროვანებისგან“ გამოცალკევებაა. ეს ნათლად ჩანს შეერთებული შტატების სასამართლოს საქმეებში სკოლების სეგრეგაციაზე. ცნობილმა სასამართლო საქმემ *ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ*⁸ წარმოგვიდგინა მნიშვნელოვანი და დაგვიანებული ჭეშმარიტება, რომლის მიხედვით ცნება „გამიჯნული, მაგრამ თანასწორი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა წინაპირობა იდეოლოგიისა, რომელიც იყენებდა სეგრეგაციას დაქვემდებარებული პოზიციის შესანარჩუნებლად, როგორც სტიგმატურად, ისე მატერიალურად. თუმცა, სეგრეგაციის ტერმინოლოგიურმა გათანაბრებამ უთანასწორობასთან თვალსაჩინო გახადა, რომ თანასწორობა ნიშნავდა ინტეგრაციას და ინტეგრაცია კი მასთან კავშირში გულისხმობდა ასიმილაციას. მომხდარის შემდეგ ბევრი აკრიტიკებს ბრაუნს, რადგან იგი ეფუძნებოდა „რასის ბრმა“ და „ფერის ბრმა“ მდგომარეობის რწმენას, რომელიც, ფაქტობრივად, ვერ ხედავდა შავკანიანთა ძვირფას კულტურასა და ისტორიას და განადიდებდა „თეთრკანიანთა“ კულტურას იმ ვარაუდით,

⁷ იხილეთ ბჰავენანი, *გემოთ ნახსენები* N3, 4-5 -ზე.

⁸ 347 აშშ 483 (1954).

რომ ის უნივერსალური და ნეიტრალურია.⁹ ბრაუნის საქმეში, ერლ უორენის ღრმა რწმენის საპირისპიროდ („გამოყოფილი საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებითად უთანასწოროა”¹⁰), არსებობს კლარენს ტომასის მოსაზრება: „ყოველთვის გამოცემა ფაქტი, რომ სასამართლოს მიაჩნია, რომ ყველაფერი, რაც შავია, უნდა იყოს დაჩაგრული..... განსხვავებული ისტორიისა და ტრადიციების გამო, შავკანიანთა სკოლებს შეუძლია იფუნქციონიროს, როგორც შავკანიანთა საზოგადოების ცენტრმა და სიმბოლომ და წარმოდგინოს შავკანიანთა დამოუკიდებელი ლიდერობის, წარმატებისა და მიღწევების მაგალითი”.¹¹

ასეთივე პრობლემატური შედეგი, რაც რასისტების მიერ ენის დამახინჯებას მოჰყვა, იყო ჯგუფის წევრების უარყოფითი სტერეოტიპებით გათანაბრება. ეს რასიზმის მონაწილეებს არაჯანსაღი ინდივიდუალიზმისაკენ უბიძგებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ინდივიდუალური პირების ასეთი სტერეოტიპებიდან გამოცალკევება და იმის მოთხოვნა, რომ მათ მოჰყოლოდნენ თავიანთი პიროვნული ნიშან-თვისებების მიხედვით, სინამდვილეში ეს დაუშვეს, რათა ჯგუფის წევრობის დადებითი და გამაღივებელი ასპექტები აღმოეფხვრათ.

ამგვარად, რასიზმს სულ მცირე სამი მიმართულებით შეუძლია მოქმედება: პირველი არის დამამცირებელი სტერეოტიპების, სიძულვილის და ძალადობის; მეორე არის დაჩაგრულ მდგომარეობაში ყოფნის ციკლი; მესამე, კულტურის, რელიგიის ან ენის უგულებელყოფა და განადგურებაა. რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკამ უნდა მიმართოს სამივეს კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის და კონკრეტული ჯგუფის შესაბამისად. ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს სხვადასხვა სახის პოლიტიკაზე,¹² რომელთაგან ოთხზე აქ ვისაუბრებთ.¹³ პირველი არის გამორიცხვა. ეს ხშირად საიმიგრაციო კონტროლის ფორმას იღებს, რომელიც მძიმედ მოქმედებს ხალხზე მესამე

⁹ ფრიდმანი, „ყავისფერი კონტექსტში”, ა. სარატი (რედაქტორი), *რასა, სამართალი და კულტურა* (1997) 64.

¹⁰ ბრაუნი *განათლების საბჭოს წინააღმდეგ* 347 აშშ 483 (1954), 495-ზე.

¹¹ ნახსენები სარატში, *გემოთ ნახსენები* N 9, 3-ზე.

¹² იხილეთ პარეხი *რასათა ურთიერთობა ბრიტანეთში, გემოთ ნახსენები* N2; მოლუდი *ეთნიკური უმცირესობები ბრიტანეთში, გემოთ ნახსენები* N5.

¹³ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არაერთგვარადაა შემთხვევაში არ არიან ურთიერთგამომრიცხავი: მართლაც, სხვადასხვა იურისდიქციაში ისინი შედიან სხვადასხვა კომბინაციაში.

მსოფლიოდან. ირონიულია ის, რომ მკაცრი საიმპერაციო კონტროლი ხშირად „სახლში რასათა კარგი ურთიერთობისთვის“ აუცილებელ ელემენტად ითვლება. ბრიტანეთში კანონდებლობა რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ დაემთხვა უფრო რთული საიმპერაციო კონტროლის შემოღებას. შესაძლოა არ იყო შემთხვევითი, რომ ევროპული კომისიის (ეკ) დონეზე რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონმდებლობის შექმნის შესაძლებლობა მალევე მიეცათ, „ციხე ევროპაში“ საიმპერაციო კონტროლის შეთანხმებული შემოღების შემდეგ. მეორე პოლიტიკა შეეხება ასიმილაციას, მოთხოვნას, რომ თუ ინდივიდუალურ პირს სურს მოექცნენ როგორც თანასწორს, ის უნდა დაემორჩილოს დომინანტი ჯგუფის სოციალურ, კულტურულ და ენობრივ სტრუქტურებს. ამ პოლიტიკას ხშირად აყალიბებენ, როგორც ერთ მკაცრ „თანასწორობას“, მაგრამ ის ორ პრობლემატურ მოსაზრებას ეყრდნობა: პირველი, დომინანტი კულტურა არ არის ბევრი კულტურიდან ერთი, არამედ წარმოადგენს უნივერსალურობას, ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას. მეორე, არ არსებობს დადებითი ღირებულება დაქვემდებარებული ჯგუფის კულტურაში. მესამე, როგორც პარეხი აღწერს, ორმხრივი მიდგომა ან ნაწილობრივი ასიმილაცია ეგუება მრავალფეროვნებას კერძო სფეროში, მაგრამ მოელის შესაბამისობას ან ასიმილაციას საჯარო სფეროში. ეს იმას ნიშნავს, რომ ასიმილაცია, პოლიტიკურ დანესებულებებში ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში თანაბარი მონაწილეობის უფლების პირობად რჩება.¹⁴ მეოთხე პოლიტიკა, რომელსაც უწოდებენ პლურალიზმს ან ურთიერთობით ან დადებით განსხვავებას, უარყოფს განსხვავებულობის გათანაბრებას გამორიცხვასთან ან დამდაბლებასთან. ამის ნაცვლად, ის წარმოაჩენს ჯგუფის განსხვავებულობის პოზიტიურ მხარეს¹⁵ და მოითხოვს პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების შეცვლას მრავალფეროვნების გასაახლებლად და მხარდასაჭერად.¹⁶ ხომ არ ანიჭებს ეს უკანასკნელი სტრატეგია განსხვავებულობას დიდ მნიშვნელობას? იანგი მიმართავს ამ საკითხს პირდაპირ იმაზე მსჯელობით, რომ განსხვავებულობის შესაბამისი გაგება არ მოიცავს მოსაზრებას ჯგუფის

¹⁴ პარეხი, *რასათა ურთიერთობა ბრიტანეთში, გემოთ ნახსენები* N2, 18-19-ზე.

¹⁵ იანგი, *გემოთ ნახსენები* N4, 166-ზე.

¹⁶ პარეხი, *რასათა ურთიერთობა ბრიტანეთში, გემოთ ნახსენები* N2, 18-19-ზე.

„არსზე“, იმიტომ, რომ ის მეტად აღარ გულისხმობს, რომ ჯგუფები არიან ურთიერთგამომრიცხავი.

საუბარი ჯგუფების განსხვავებულობაზე არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს მათი დაკავშირებული გამოცდილებები და რომ ორ ჯგუფს საერთო არაფერი აქვთ. მოსაზრება, რომ ნამდვილი განსხვავებები თვისებებში, კულტურასა თუ პრივილეგიაში გულისხმობს ოპოზიციურ კატეგორიზაციას, უკუგდებულ უნდა იქნეს. განსხვავებული ჯგუფები ყოველთვის არიან მსგავსები გარკვეული თვალსაზრისით და ხშირად პოტენციურად იზიარებენ ზოგიერთ ნიშან–თვისებებს, გამოცდილებასა და მიზნებს.¹⁷

¹⁷ იანგი, *გემოთ ნახსენები* N 4, 171-ზე.

II თანასწორობის კონცეფციები: სიძლიერე და შეზღუდვები

(i) ისტორიული წინამძღვრები¹⁸

თანასწორობა, როგორც იდეალი, შედარებით თანამედროვე ცნებაა. კლასიკოს ფილოსოფოსებს თანმიმდევრობა და იერარქია სამართლიანობის სინონიმად მიაჩნდათ. არისტოტელეს მიხედვით: „ბუნებაში მეტწილად მოქმედებს მართვისა და დაქვემდებარების პრინციპი.“¹⁹ ამან გამოიწვია ის, რომ მრავალი ჯგუფი კანონიერად დაემორჩილა თავისუფალი მამრობითი სქესის მოქალაქეების მმართველ კლასს. ამის მსგავსად, ფეოდალიზმში დამყარებული იყო იერარქიის მტკიცე ცნებებზე, რომელთა მიხედვითაც თითოეული ადამიანის ბედი ნაკარნახევი იყო წინასწარ განსაზღვრულ იერარქიაში მისი ადგილით. ინდივიდუალური თანასწორობის ცნებების წინ წამოწევა ფეოდალიზმის გაუქმებამდე და სავაჭრო კაპიტალიზმის აღორძინებამდე არ მომხდარა. იგი გამოვლინდა ორი გზით: ეკონომიკურად, ვაჭრობისკენ სწრაფვაში და პოლიტიკურად, მონარქის უზენაესი ხელისუფლების გაუქმების ფორმაში. ლიბერალური იდეოლოგია, რომელმაც გაამართლა განვითარებადი კაპიტალისტური წყობა, შეიქმნა სამ ძირითად ცნებაზე დაყრდნობით, ესენია: ინდივიდუალიზმი, ავტონომია და კანონის წინაშე თანასწორობა. ლოკის ღირსსახსოვარ სიტყვებში: „ადამიანები ბუნებით თავისუფალნი, თანასწორნი და დამოუკიდებელნი არიან.“²⁰ ადრეულ ლიბერალიზმში დაცული თანასწორობის ცნებაზე დაკვირვება აჩვენებს მის პარადოქსულად შერჩევით ხასიათს. თანასწორობის უფლება დაცული იყო ამ უფლებით აღჭურვილი პირებისთვის: „ინდივიდუალური პირის“, ანუ უფლებით აღჭურვილი პირის განსაზღვრებიდან ქალების, მონებისა და საკუთრების არმქონე კლასის ამოღებით, ლიბერალი მოაზროვნეები ამართლებდნენ მუდმივ ბატონობას. ეს, თავის მხრივ, კანონიერად იყო გამართლებული იმ არგუმენტით, რომ პირი უფლებით აღჭურვილი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მისი გონივრულობის გამო. განსაზღვრების

¹⁸ იხილეთ ს. ფრედმანი, *ქალები და სამართალი* (1997) თავი 1.

¹⁹ არისტოტელე, *პოლიტიკა* (1946) 11.

²⁰ ლოკი, *მთავრობის ორი ტრაქტატი* (პლასლეტი (რედაქტორი), 1988), „მეორე ტრაქტატი“, პარაგრაფი 95.

მიხედვით, ქალები, მონები და სხვანი, ითვლებოდნენ უგუნურებად. შესაბამისად, გამორიცხულნი იყვნენ თანასწორობის უფლებებიდან. ამგვარად, ახლად ამომავალი თანასწორობის პრინციპი თანაარსებობდა უწყვეტ და შეუცვლელ ბატონურ ურთიერთობებთან ერთად. მონობა არ იყო უკანონო. კოლონიალიზმი განვითარდა და ქალებს ჩამოერთვათ ისეთი ძირითადი უფლებები, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობის, საკუთრებისა და საკუთარ შვილებზე მეურვეობის უფლება.²¹ ასე რომ, მიუხედავად მისი თამამი განცხადებისა, რომ ყველა თანასწორია, ლოკისთვის რთული არ იყო ოჯახის დახასიათება ამგვარი გაგებით: „ცოლთან, შვილებთან, მოსამსახურეებთან და მონებთან დაქვემდებარებული ურთიერთობის... ბატონი.“²² თანასწორობის პრინციპი ყველა შემთხვევაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელშეკრულების თავისუფლების დომინანტურ იდეოლოგიასთან: განვითარებადმა საბაზრო ეკონომიკამ მოითხოვა იმ ინდივიდუალურ პირებზე დაფუძნებული სახელშეკრულებო სამართალი, რომლებიც თანასწორნი იყვნენ როგორც ხელშეკრულების აბსტრაქტული მხარეები, რეალური ვაჭრობის ძალის გათვალისწინების გარეშე.

ადრეულ ლიბერალიზმთან დაკავშირებული თანასწორობის კონკრეტული იდეის შეზღუდვამ, თანასწორობის იდეალს გაძლიერებაში ხელი ვერ შეუშალა. ყველა ინდივიდუალური პირისთვის თავისუფლებისა და თანასწორობის აღიარებამ ფემინისტებს და სხვა დაჩაგრულ ჯგუფებს მისცა საჭირო ლექსიკა, რათა ებრძოლათ ყველას გასათავისუფლებლად. ეს პოლიტიკური აქტივიზმისთვის კონცენტრაცია უფრო იყო, ვიდრე იურიდიული განმარტება იმისა, რომ თანასწორობამ განვითარება დაიწყო, როგორც ნამდვილმა ძალამ სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციასთან და რასიზმთან საბრძოლველად. მონობის აკრძალვა ამ მიმართულებით გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. პოლიტიკური ხმის უფლება ნამდვილად გაიზარდა (თუმცა, მტკივნეულად ნელა), როცა ის გავრცელდა მუშათა კლასზე და ქალებზე. გენოციდმა,

²¹ იხილეთ ფრედმანი, *გემოთ ნახსენები* N 18, 1 და 2 თავში.

²² ლოკი, *გემოთ ნახსენები* N 20, 86–87.

ანტისემპტიზმმა, კოლონიალიზმმა და რასისტულმა ძალადობამ აიძულა თანასწორობა, სახელშეკრულებო საფუძვლიდან გადასულიყო ადამიანის უფლებათა მხარეზე.

ამ ფონს ეწინააღმდეგება ის, რომ ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ რასიზმის კონტექსტში თანასწორობის ცნების მნიშვნელობის შესწავლა. რამდენად დარჩა თანასწორობა ბაზრის დამხმარედ და რამდენად გააჩნდა მას ნამდვილი პოტენციალი? გასაოცარია, რომ მიუხედავად თანასწორობის იდეალის საყოველთაო მორჩილებისა, მის მნიშვნელობასა და მიზნებზე მხოლოდ მცირედ შეთანხმებას თუ მიაღწიეს. ფორმალური თანასწორობის ცნებები ახლა შეივსო უფრო ფართო, შესაძლებლობათა თანასწორობისა და შედეგთა თანასწორობის ცნებებით. ეს, თავის მხრივ, თავს არიდებს თანასწორობის საბოლოო მიზნებს. შესაძლებლობები მოიცავს: ჩაგვრის შესამსუბუქებლად ძალების გადამატგუფებელ როლს, ლიბერალურ მიზანს, რათა ყველას მოეცენ თანაბარი ზრუნვითა და პატივისცემით, საბაზრო და სახელშეკრულებო თანასწორობის ნეოლიბერალურ მიზანს და გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობის პოლიტიკურ მიზანს. რასიზმის თემაზე ადრეულმა მსჯელობამ გვიჩვენა, რომ საჭიროა თანასწორობის სულ მცირე სამი ფუნქცია რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად: პირველი, რასისტული სტიგმის, სტერეოტიპიზაციის, დამცირებისა და ძალადობის გამოსწორების საშუალებები. მეორე, გადასინჯვის მიზანი რასისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით განსაზღვრული ჯგუფების ჩაგვრის ციკლის დასარღვევად. მესამე, მრავალფეროვნების დადებითი შეფასება და მასთან შეგუება, როგორც თანაბარი ზრუნვისა და პატივისცემის უფლების ნაწილი. დარჩენილ ნაწილში უფრო დანვრილებით განვიხილავ თანასწორობის სხვადასხვა ცნებას. პირველად განვიხილავ ფორმალურ თანასწორობას ან თანასწორობას, როგორც აზრთა ერთიანობას და შემდეგ მივუბრუნდები მატერიალური თანასწორობის განსხვავებულ ტიპებს თანასწორი შესაძლებლობისა და შედეგების ჩათვლით.

(ii) თანასწორობის ცნებები

(ა) ფორმალური თანასწორობა ან თანასწორობა, როგორც აზრთა ერთიანობა

სამართლიანობის ძირითადი იდეის მიხედვით, მსგავსებს თანაბრად უნდა ეპყრობოდნენ. რა თქმა უნდა, როგორც არ უნდა იყოს, ეს მოითხოვს თავდაპირველად იმის გადანყვეტას, თუ როდის არის ორი ინდივიდუალური პირი მსგავსი. მე-20 საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნახტომი, ბრძოლა თანასწორობისათვის, იყო იმის აღიარება, რომ რასაზე, სქესზე, რელიგიაზე, კანის ფერსა თუ ეთნიკურ წარმომავლობაზე დაფუძნებული დამახასიათებელი ნიშნები თავისით ვერ აფუძნებს შესაბამის განსხვავებებს, რომლებიც გაამართლებდა ცუდ მოპყრობას. თანასწორობამ მხოლოდ მას შემდეგ შეძლო გამხდარიყო მრავალმნიშვნელოვანი ცნება, როცა უფლებით აღჭურვილი ინდივიდუალური პირის ცნებამ, მოიცვა მანამდე ამ უფლების გარეშე დატოვებული ადამიანები. ამგვარად, თანასწორობის, როგორც აზრთა ერთიანობის, იდეამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფორმალურ და დაუშვებელ მტკიცებულებებთან ბრძოლაში. თანასწორობა, როგორც აზრთა ერთიანობა, ასევე გადაიზარდა უფრო ზოგად ანტიდისკრიმინაციულ დებულებაში, ვინაიდან უკრძალავდა კერძო პირებს რასის საფუძველზე დისკრიმინაციას. ეს საშუალებას აძლევს თანასწორობას, როგორც აზრთა ერთიანობას, მიაღწიოს პროგრესს რასობრივ უსამართლობასთან მიმართებაში.

თუმცა, თანასწორობაზე, როგორც აზრთა ერთიანობაზე, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის თავისი არსით შეზღუდულია. დასაწყისისთვის მას არ აღმოუფხვრავს ყველა დაუშვებელი მტკიცებულება. საიმიგრაციო კონტროლი ისევ რჩება რასობრივი დისკრიმინაციის ცენტრალურ წყაროდ. ჯერ კიდევ მიღებულია, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია ყველას, ვისაც მოისურვებს, ჩამოართვას მოქალაქეობა (იმ პირობით, რომ ეს არ მოიცავს არსებული მოქალაქეებისთვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის უფლების ჩამორთმევას). ეს თავშესაფრის მაძიებელთა წინააღმდეგ მიმართულ რასიზმის მიმდინარე ტალღას საშუალებას აძლევს გაგრძელდეს უკონტროლოდ. იმიგრაციის აღსაკვეთად სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ იყო მზად გამოწვევისთვის, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათი მთავარი ქმედება ქვეყანაში შესვლის სურვილის მქონე შავკანიანების ან სხვა უმცირესობებისკენ იყო მიმართული.

თანასწორობა, როგორც აზრთა ერთიანობა, თავისი ფუნქციონირების ფარგლებშიც კი შეზღუდულია. აქ მისი ხუთი ძირითადი პრობლემატური ასპექტი იქნება განხილული. პირველი, თანასწორობა, როგორც აზრთა ერთიანობა, ემყარება მოცემული ნორმების მორჩილებისა და აქედან გამომდინარე, ასიმილაციის ამოსავალ დებულებას. პარეზი აღწერს ასიმილაციის პოლიტიკას, რომელიც უშვებს, რომ პოლიტიკა ვერ იქნება სტაბილური და შეერთების უნარის მქონე, თუ არ გაიზიარებს ყველა მისი წევრის საერთო ეროვნულ კულტურას:

უმცირესობებისთვის არჩევანი მარტივია. თუ სურთ, რომ გახდნენ საზოგადოების ნაწილი და მათაც ისევე ეპყრობოდნენ, როგორც დანარჩენებს, უნდა იფიქრონ და იცხოვრონ ამ უკანასკნელთა მსგავსად. თუ, ამის ნაცვლად, ისინი ჯიუტად გააგრძელებენ თავიანთი კულტურის შენარჩუნებას, მაშინ აღარ უნდა გამოთქვან უკმაყოფილება, თუ განსხვავებულად მოექცევიან.²³

ფორმალური თანასწორობის ან თანასწორობის, როგორც აზრთა ერთიანობის, ცნებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბევრ შემთხვევაში მისი მთავარი მიზანი ასეთი პოლიტიკის ხელშეწყობაა. მოთხოვნა, რომ მსგავსებს თანაბრად უნდა ეპყრობოდნენ, გულისხმობს, რომ თანაბარი მოპყრობის მისაღებად, უფლების მოთხოვნის წამყენებელი უნდა ითვლებოდეს კომპარატორის „მსგავსად“. და თუ ის ამ მოთხოვნებს დაემორჩილება, შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მასაც „მსგავსად“ მოეპყრობიან. პირველადი შეფასებისას, როდესაც ორი ინდივიდუალური პირი მსგავსია, კანონი ჩვენგან მოითხოვს უგულებელვყოთ წევრთა რასობრივი ან სქესობრივი კუთვნილება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მხოლოდ მომჩივანის რასობრივი კუთვნილება უნდა იყოს უგულებელყოფილი: სანამ შავკანიანობა არ იქნება გათვალისწინებული, მისი კომპარატორის თეთრკანიანობა კვლავ შეუცვლელი დარჩება. ეს უშუალოდ ხილული არაა, ვინაიდან ღრმა რწმენა, რომ ინდივიდუალური პირები შეიძლება განიხილებოდნენ განყენებულად, მათი კანის ფერის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და სქესის გარეშე, არარეალურია. სინამდვილეში „აბსტრაქტული“ ინდივიდუალური პირი არის

²³ პარეზი, „უმცირესობათა გაერთიანება“, რასათა გაერთიანება ბრიტანეთში, *გემოთ ნახსენები* N2, 2–ზე.

თეოტოკიანი, მამრობითი სქესის, ქრისტიანი და დომინანტური კულტურის ნაწილი. ამგვარად, თანაბარი მოპყრობის უფლება დაცულია მათთვის, ვინც მორჩილია: ვინც ატარებს დასავლურ სამოსს, აღნიშნავს ქრისტიანულ რელიგიურ დღესასწაულებს და დასვენების დღეებს, საუბრობს ძირითად ენაზე, იზიარებს საერთო ოჯახურ სტრუქტურასა და ღირებულებებს.

თანასწორობის, როგორც აზრთა ერთიანობის, მეორე პრობლემატური ასპექტი არის განსხვავებულობის მისეული განხილვა. მხოლოდ „მსგავსები“ იმსახურებენ თანაბარ მოპყრობას. თუ ვინმეს განსხვავებულად ექცევიან, არავინ არ აიძულებს მას ასე ყოფნას. ეს ემყარება კონცეპტუალურ საფუძველს, რომელიც არისტოტელესგან მომდინარეობს და მსოფლიოს ხედავს ზნეობრივი დიქტომიების ჭრილში: მიზეზი და ემოცია, სული და სხეული, კარგი და ცუდი, თანაბარი და განსხვავებული. ამ სქემაში განსხვავებული დახასიათებულია, როგორც უარყოფითი პარტნიორი და კანონიერად უშვებს განსხვავებულებისადმი ცუდ მოპყრობას. არც რაიმე მოთხოვნა არსებობს იმისა, რომ ხალხს მათი განსხვავებულობის მიხედვით სათანადოდ მოექცნენ. ეს ეწინააღმდეგება განსხვავებულის, როგორც დადებითის, იანგისეულ მოზომილ გადააზრებას. მართლაც, ის უფრო შორს მიდის და თავად დიქტომიას შლის ნაწილებად, გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალური პირები შეიძლება სხვადასხვა ჯგუფის წევრები იყვნენ და აქედან გამომდინარე, შედარების ცენტრის მიხედვით, ის შეიძლება იყოს განსხვავებული ან თანაბარი.

მესამე, თანასწორობა,

როგორც აზრთა ერთიანობა, მეტისმეტად ინდივიდუალისტურია. რა თქმა უნდა, თანასწორობის მნიშვნელოვანი წვლილი იყო ძალისხმევა, რათა ინდივიდუალურ პირს მოპყრობოდნენ საკუთარი თვისებების ან დამსახურების მიხედვით და არა უარყოფითი სტერეოტიპების საფუძველზე, რომლებიც მას მიეწერებოდა მისი რასის ან სქესის გამო. ჯგუფზე დაფუძნებული ნიშან-თვისებების გათვალისწინების ცუდი შედეგის უარყოფისას, თანასწორობის პრინციპმა დაუშვა, რომ ჯგუფის წევრობის ყველა ასპექტი უნდა იყოს უგულებელყოფილი. დიახ, როგორც ჩვენ ვნახეთ, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის წევრობა ადამიანის პიროვნულობის მნიშვნელოვანი ასპექტია. მართლაც, მცდელობა, რომ გამოვაცალკევოთ ადამიანი კონტექსტიდან, არ ნიშნავს

უნივერსალური ადამიანის შექმნას, არამედ მის შემოსვას დომინანტი კულტურის, რელიგიის ან ეროვნების დამახასიათებელი ნიშნებით. ინდივიდუალიზმს მნიშვნელოვანი შემზღუდველი შედეგები ჰქონდა თანასწორობის მისაღწევად შექმნილ გამოსასწორებელ სტრუქტურებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კორელატი, რათა მოვეპყრათ ადამიანს მხოლოდ მისი დამსახურების საფუძველზე ის პრინციპია, რომლითაც ადამიანი პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ გამოწვეულ ზიანზე. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხოლოდ მოპასუხეს, რომელსაც დაუმტკიცდება, რომ მომჩივანს შეუსაბამოდ მოეპყრა მისი რასობრივი კუთვნილების საფუძველზე, შეიძლება დაეკისროს კომპენსაციის ვალდებულება. დღემდე რასიზმი რასისტული უსამართლობის ინდივიდუალურ შემთხვევებს სცდება. მას ხშირად ფესვები აქვს გადგმული საზოგადოებრივ სტრუქტურაში და კონკრეტულად ერთ ადამიანს ვერ მივანეროთ. აგრეთვე, არაერთ სამართლებრივ სისტემაში სინამდვილე, რომ სწორედ ინდივიდუალური პირია პასუხისმგებელი თანასწორობის უფლების აღსრულებაზე, მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა. ეს მეტისმეტად დიდ პასუხიმგებლობას აკისრებს ინდივიდუალური მოსარჩელების წყაროებს.

თანასწორობასთან, როგორც აზრთა ერთიანობასთან, დაკავშირებული მეოთხე პრობლემაა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულებები, რომლებსაც ის ქმნის: სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ პირს მოეთხოვებათ რასის საფუძველზე დისკრიმინაციისგან თავშეკავება. ურთიერთშენწყობის არანაირი პოზიტიური ვალდებულება არაა დაკისრებული. მიუხედავად ამისა, თანასწორობის დარღვევაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპასუხო მოქმედება უნდა იყოს სტრუქტურების მოწესრიგების დავალდებულება, რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვნებასთან შეგუებას. ეს საკითხი უკავშირდება სამართლის ამ დარგში კიდევ ერთ ცენტრალურ დიქტომიას, კერძოდ, საზოგადოებრივ-კერძო დაყოფას. თანასწორი უფლებების გარანტიებს შორის, როგორც იმ ფარგლების მიმართ, რომელშიც საზოგადოებრივი და კერძო არის გამიჯნული, რჩება ინტენსიური გაორებული დამოკიდებულება. კონსტიტუციური გარანტიები მიდრეკილია მხოლოდ საჯარო დისკრიმინაციის შეზღუდვისკენ, ხოლო კერძო დისკრიმინაციას ხელუხლებელს ტოვებს მაშინ, როცა კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი გარანტია

ბოჭავს კერძო მოქმედ პირსაც. გაერთიანებულ სამეფოში, დღევანდელ დღემდე წინააღმდეგობრივი სიტუაციაა, რომელშიც შებოჭილნი არიან კერძო პირები და არა სახელმწიფო. საკითხავია, დავძლევთ თუ არა ამ დაყოფას: ზოგიერთი კანონი თანასწორობის შესახებ მოიცავს დისკრიმინაციის მხოლოდ ისეთ კონკრეტულ ასპექტებს, როგორიცაა დასაქმება, განათლება და მომსახურების სფერო.

თანასწორობის, როგორც აზრთა ერთიანობის, საბოლოო პრობლემატური ასპექტი არის ის ფაქტი, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა შეფარდებითი ცნება: დიდი ხანია დაკმაყოფილდა მოთხოვნა, რომ მსგავსებს თანაბრად მოეპყრან. აღმოჩნდება რა ორ ინდივიდუალურ პირს შორის შესაბამისი მსგავსება, მოითხოვება მხოლოდ ერთნაირი მოპყრობა. თუმცა, პრობლემის არსი, შესაძლოა იყოს უარის თქმა ეთნიკური, რელიგიური ან კულტურული ჯგუფების სხვადასხვა საჭიროებებისა და სურვილების აღიარებაზე. უფრო მეტიც, თანასწორობას, როგორც შეფარდებით ცნებას, არ გააჩნია არსებითი საფუძველი, რამდენადაც მსგავს სიტუაციაში მყოფ ორ ინდივიდუალურ პირს ერთნაირად ეპყრობიან, უკვე აღარაა მნიშვნელოვანი მათ ერთნაირად კარგად ექცევიან, თუ ერთნაირად ცუდად.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ფორმალურმა თანასწორობამ ან თანასწორობამ, როგორც აზრთა ერთიანობამ, შეიძლება სასარგებლო როლი ითამაშოს აშკარა უსამართლობის აკრძალვისათვის. თუმცა, გამყარებული უნდა იყოს სულ მცირე, ძირითადი ღირებულებებით. რასისტული უსამართლობის კანონგარეშედ გამოცხადება ღირსებისა და ავტონომიის ძირითადი ღირებულებების ფიზიკური გამოვლენაა. რამდენიმე კონსტიტუცია პრეამბულასა თუ განმარტებით ნაწილში შეიცავს მოწოდებას, რომ ღირებულებები განივრცოს თანასწორობის გარანტიით, ხოლო უმრავლესობა კი შეიცავს ღირსებასა და ავტონომიას.²⁴ ადამიანის ღირსებისა და ავტონომიის ძირითადი ღირებულებებისადმი ასეთი ერთგულება, თანასწორობას საშუალებას არ აძლევს იმოქმედოს მხოლოდ როგორც შედარებითმა საზომმა: თანაბრად ცუდი მოპყრობა ვერ

²⁴ კანადის ქარტია, ეს ეი კონსტიტუცია.

შეუწყობდა ხელს ძირითად მიზანს – შედარებით დაჩაგრული ჯგუფების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამაღლდეს ინდივიდუალური პირების ღირსება, ავტონომია და მნიშვნელობა.

(ბ) ფორმალური თანასწორობის მიღმა

როდესაც ფორმალურ თანასწორობას ან თანაბარ მოპყრობას შესასრულებელი ფუნქცია აკისრია, განსაკუთრებით ინდივიდუალური უსამართლობის აღმოფხვრაში, ზემოთქმულიდან ნათელია, რომ მას ესაჭიროება კავშირი უფრო არსებით მიდგომასთან. ფორმალური თანასწორობის შეზღუდვების დაძლევის მცდელობები შესაძლოა დალაგდეს 4 განსხვავებული გზით, რომლებიც ერთმანეთს ფარავს: შედეგთა თანასწორობა; შესაძლებლობათა თანასწორობა; ფართო ღირებულებების დაზუსტება და დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების შესახებ პრინციპები; თანასწორობის დაკავშირება კონკრეტულ მატერიალურ უფლებებთან. რიგრიგობით თითოეული იქნება განხილული.

(გ) შედეგთა თანასწორობა

ამ თვალსაზრისით, თანასწორობის პრინციპი სცდება მსგავსთა მიმართ თანაბარი მოპყრობის მოთხოვნას და სანაცვლოდ მოითხოვს შედეგთა თანასწორობას. შედეგთა თანასწორობის გამოყენება შეიძლება სამი სხვადასხვა გზით. პირველი ყურადღების ცენტრს მიმართავს იმ შედეგისკენ, რაც გამოიწვია ინდივიდუალური პირისადმი თანაბარმა მოპყრობამ. მეორე ყურადღებას ამახვილებს არა ინდივიდუალური პირის, არამედ ჯგუფის შედეგებზე. არადისკრიმინაციულ გარემოში, ნებისმიერ ცალკეულ ორგანოს, იქნება ეს შრომითი რესურსები, საგანმანათლებლო დაწესებულება თუ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, უნდა ჰყავდეს სამართლიანი პრინციპით განაწილებული სხვადასხვა სქესის, რასისა ან რელიგიის მქონე თანამშრომელი. აქედან გამომდინარე, ერთი ჯგუფის სადმე არ დაშვება ან მისი განწესება ნაკლებად ხელსაყრელ ან ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას, განიხილება როგორც მოსალოდნელი დისკრიმინაციის ნიშანი. შედეგების ამგვარი გამოყენება დისკრიმინაციის დიაგნოსტიკაა,

საბოლოო მიზნის ზუსტად განსაზღვრის გარეშე. „შედეგთა თანასწორობის“ მესამე მნიშვნელობა იქნებოდა თანაბარი შედეგების მოთხოვნისთვის უფრო აშკარა, ძალების გადამაჯგუფებელი მიზანი. მაგალითად, ქალებისა და კაცების თანაბარი წარმომადგენლობა კონკრეტულ თანამდებობაზე. მართლაც, რამდენიმე იურისდიქციამ დასაქმების სფეროსა თუ საჯარო ოფისებში უმცირესობების ან ქალების წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით შექმნა კანონმდებლობა.²⁵ ხშირად, მართალია, ეს არ არის თანასწორობა, მაგრამ არის საჭირო თანაზომიერება, სამართლიანობა ან ბალანსი. ამგვარად, ევროკომისია ხელს უწყობს გადანყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და კაცთა დაბალანსებულ მონაწილეობას და იყენებს 30%-ს, როგორც კრიტიკული მასის ამსახველს. ყველაზე საკამათოა მოვალეობები, რომლებიც მოითხოვს ხელისუფლების ორგანოებისგან, მიზნებს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭებით მიაღწიოს. ეს წესი ახლა პოპულარულია გერმანიაში, სადაც ადგილობრივი ან პროვინციული ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული კანონები ზუსტად განსაზღვრავს, რომ თუ არ არის ქალების წარმომადგენლობა კონკრეტულ რანგში ან თანამდებობაზე, უპირატესობა უნდა მიენიჭოთ ქალებს მათი კომპეტენტურობის შემთხვევაში.

შედეგთა თანასწორობა სტრატეგიულ აზრს ქმნის, რამდენადაც შედეგები შედარებით ადვილად დათვლადია. თუმცა, ის პრინციპულად უაღრესად საკამათო აღმოჩნდა, უმეტესწილად იმიტომ, რომ როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება თანასწორობის სწორედ იმ პრინციპს, რომლის წინ წამოწევასაც ცდილობს, რადგან შავკანიანისთვის ან ქალისთვის უპირატესობის მინიჭება, თეთრკანიანთა ან მამაკაცთა დისკრიმინაციაა რასის ან სქესის საფუძველზე. ეს საკამათო თემა უკვე განვიხილე და ამიტომ მასზე აქ აღარ შევჩერდები.²⁶

პრივილეგირებულად მოპყრობის გარდა, შედეგთა თანასწორობა

²⁵ ბრძანება სამართლიანი დასაქმებისა და მოპყრობის შესახებ (ბსდმშ) მეხლი 4(1); სამართლიანი დასაქმების აქტი 1989; კანადის სამართლიანი დასაქმების აქტი ნაწილი 2.

²⁶ ფრედმანი, „დისკრიმინაციის შეცვლა“ 113 *კანონის პერიოდული მიმოხილვა* (1997) 575 ; ფრედმანი, „აფირმაციული ქმედება და მართლმსაჯულების სასამართლო“, ჯ. შოუ (რედაქტორი), *სოციალურ სამართალსა და პოლიტიკაში* (2000) 171.

პრობლემატურია, ვინაიდან ძალების გადაჯგუფების მიზანს შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიოს. ეს ხდება იმიტომ, რომ შედეგების კონტროლი არ საჭიროებს დისკრიმინაციის მიმდინარეობის ხელშეწყობის სტრუქტურების განსაკუთრებულ გადამოწმებას. რანგის ან სექტორის კანის ფერის ან სქესის შემადგენლობაში ცვლილებამ, მაშინაც კი, როცა გარკვეულწილად პოზიტიურია, შესაძლოა ასახოს მხოლოდ სულ უფრო მეტად წარმატებული ასიმილაციის პოლიტიკა. შესაბამისად, ქალები, რომლებიც იღებენ ამ თანამდებობას, ემორჩილებიან „მამაკაცთა“ სამუშაო მოდელს და ბავშვის მოვლის ვალდებულებას სხვა ქალებს აკისრებენ, ისეთი კატეგორიის ქალებს, რომლებსაც დაბალი ანაზღაურება აქვთ და დაუფასებელნი არიან. ეთნიკური უმცირესობების წევრები, რომლებიც იღებენ ამ თანამდებობებს შესაძლოა, ნებაყოფლობით განიცდიან ასიმილაციას ან სამოსის, რელიგიური წეს-ჩვეულებისა და ენის გამო სხვა არჩევანი არ რჩებათ. ზოგიერთი სახის სამუშაო ადგილებში დასაქმებულ ქალთა და შავკანიანთა რიცხვის ზრდა დაემთხვა ამ სამუშაოზე ანაზღაურების შემცირებას ან მისი სტატუსის დაწევას. ეს კარგად დავინახეთ კვების ორგანიზებაში, სადაც ქალებმა მკვეთრად გაზარდეს თავიანთი წვლილი საჭმეთა მართვაში. და მაინც, ყურადღებით თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ახლად ფემინიზებული საჭმეთა მართვის თანამდებობები შედარებით დაბალანაზღაურებადია (ხანდახან იმაზე ნაკლებიც, ვიდრე საშუალო სახელმწიფო ანაზღაურება) და, შესაბამისად, უკავშირდება დაწეულ სტატუსს. ამგვარად, რაოდენობრივმა ცვლილებამ შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ ასახოს ხარისხობრივი ცვლილება. უმნიშვნელოვანესია იმ საშიშროების არსებობა, რომ ყურადღების ცენტრის გადატანით შედეგთა თანასწორობაზე, მცირედი ყურადღება ეთმობა განსხვავებულთა თანასწორობის ასევე მნიშვნელოვან ცნებას ან არსებული სტრუქტურების მორჩილებით მრავალფეროვნებასთან შეგუების ვალდებულებას.

(დ) შესაძლებლობათა თანასწორობა

თანაბარი შესაძლებლობების მიდგომა შუალედურ ადგილს იკავებს თანაბარ მოპყრობასა და შედეგთა თანასწორობას შორის. ეს მიდგომა აღიარებს, რომ თავად დისკრიმინაციას შეუძლია მეტისმეტად გაურთულოს კონკრეტული ჯგუფის წევრებს

მსგავსების იმ ბარიერის გადალახვა, რომელიც საჭიროა თანაბარი მოპყრობის უფლების მისაღებად. რბოლაში ჩართული მოთამაშეების მეტაფორის გამოყენებით მტკიცდება, რომ ნამდვილ თანასწორობას ვერ მივაღწევთ, თუ ინდივიდუალური პირები რბოლას სხვადასხვა ათვლის წერტილიდან დაიწყებენ. ამგვარად, თანაბარი შესაძლებლობების მიდგომის მიზანია ათვლის წერტილის გათანასწორება და ამან შესაძლოა მოითხოვოს სპეციალური ზომები დაჩაგრული ჯგუფისათვის. მეორე მხრივ, დასაბუთებულია, რომ შედეგებზე ორიენტირებული მიდგომა შორს მიდის, როცა ინდივიდუალური მოპყრობის უფლებას, შედეგზე განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობის მინიჭებას უქვემდებარებს. მას შემდეგ, რაც ინდივიდუალური პირები ისარგებლებენ შესაძლებლობათა თანასწორობით, ამ თვალსაზრისით, ინსტიტუციური დისკრიმინაციის პრობლემა დაძლეულია და სამართლიანობა მოითხოვს მათ საკუთარი ინდივიდუალური ნიშან-თვისებების საფუძველზე მოეპყრან, სქესისა და რასობრივი კუთვნილების გათვალისწინების გარეშე. აქედან გამომდინარე, ეს მოდელი კონკრეტულად უარყოფს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს გაასწოროს დისბალანსი შრომით რესურსებში, კვოტებით ან ისეთი ამოცანების დასახვით, რომელთა მიზანიც ერთია – შედეგთა თანასწორობა.

თუმცა, თანაბარი ათვლის წერტილის მეტაფორა მაცდურად მარტივი ჩანს. რა ზომებია საჭირო იმ გარანტიის უზრუნველსაყოფად, რომ ინდივიდუალურ პირებს ნამდვილად შეუძლიათ თანაბრად მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრში? უილიამსი განასხვავებს თანაბარი შესაძლებლობების პროცედურულ და მატერიალურ მნიშვნელობებს. პროცედურული თვალსაზრისით, შესაძლებლობათა თანასწორობა მოითხოვს ქალების ან უმცირესობების დანინაურებისთვის დაბრკოლებების დაძლევას, მაგრამ შედეგად არ იძლევა უფრო დიდი არსებითი სამართლიანობის გარანტიას.²⁷ მაგალითად, სხვისი რეკომენდაციით სამსახურში აყვანის ან საქმესთან კავშირის არ მქონე შერჩევის კრიტერიუმის გაუქმებამ, მოხსნა პროცედურული შემათავსებელი გარემოებები

²⁷ უილიამსი, „თანასწორობის იდეა“, პ. ლასლეტი და ვ. გ. რანჩიმანი, *ფილოსოფია, პოლიტიკა და საზოგადოებაში* (მე-2 სერია, 1965) 110 და იხილეთ ვოლდრონი ს. გესტსა და ა. მილნესთან (რედაქტორები), *თანასწორობა და დისკრიმინაცია-ში* (1985) 97.

და, ამგვარად, კარი გაულო მეტ შესაძლებლობას, მაგრამ ის არ იძლევა გარანტიას, რომ უფრო მეტი ქალი ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გამოიყენებს ამ შესაძლებლობას. ისინი, ვისაც წარსულში განცდილი დისკრიმინაციის შედეგად აკლია საჭირო კვალიფიკაცია, ჯერ ვერ შეძლებენ სამსახურთან დაკავშირებული კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. ქალები, ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობით, ადვილად ვერ მოახერხებენ ანაზღაურებადი საქმის წამოწყებას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ლინდონ ჯონსონის, ცნობილი სიტყვებით, „შესაძლებლობათა ჭიშკრის გაღება არაა საკმარისი. ჩვენს ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მასში შესვლის შესაძლებლობა”.²⁸

ამის საპირისპიროდ, შესაძლებლობათა თანასწორობის მატერიალური გაგება მოითხოვს ზომების მიღებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების ყველა ფენის ადამიანს ჰქონდეს კრიტერიუმის დაკმაყოფილების ნამდვილად თანაბარი შანსი, რათა ხელი მიუწვდებოდეს კონკრეტულ სოციალურ სიკეთეზე.²⁹ ეს მოითხოვს პოზიტიურ ზომებს, როგორიცაა განათლება, ტრენინგი და ოჯახურ-მეგობრული გარემო. ის ასევე მოითხოვს ღირსების არსებული კრიტერიუმის ხელახლა განხილვას. ჰეპლეს თანახმად, ვერ ვუზრუნველყოფთ შესაძლებლობათა ნამდვილი თანასწორობის დაკმაყოფილებას, თუ გამოვიყენებთ ღირსების შეუცვლელ კატეგორიას ხალხზე, რომელსაც „ღირსების” ამაღლების შესაძლებლობა წაერთვა.³⁰

(ე) ღირებულებაზე ორიენტირებული მიდგომა

რამდენიმე იურისდიქციაში საკანონმდებლო ორგანოებმა და სასამართლოებმა ფართო ღირებულებებისა და პრინციპების პუნქტებად გადმოცემა დაიწყეს. ისინი გვაუწყებს თანასწორობის პრინციპს. შეიძლება გამოვარჩიოთ სამი ერთმანეთზე გადაჯაჭვული თემა. პირველი, ყველაზე გარკვევით გადმოცემული კანადის უზენაესი

²⁸ ლინდონ. პ. ჯონსონი, მისამართი ჰოვარდის უნივერსიტეტში (4 ივნისი, 1965), ციტირებული თერნსტორმში, „კენჭისყრის უფლება, კიდევ ერთი პოზიტიური ქმედებისათვის არეულობა”, 43 *ლოს ანჯელესში კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლაკუ) სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა* (1996) 2031 N 22.

²⁹ უილიამსი *იხილეთ* N 27, 125–6 ზე.

სასამართლოს მიერ, ხაზს უსვამს ინდივიდის ღირსებისა და ღირებულების პირველობას. ამგვარად, ბოლო დროის სასამართლო საქმის მიხედვით, კანადის ქარტიის თანასწორობის გარანტიებია: „ადამიანის ღირსების დაცვა და ამაღლება, თანაბარი შესაძლებლობების დანინაურება და ინდივიდუალურ უნარზე დაყრდნობით, ადამიანის პოტენციალის ზრდა“. დებულების მიზანია, დაიცვას „ადამიანის ღირსება ან თავისუფლება დარღვევისგან, გაათავისუფლოს შეზღუდვების, ჩაგვრის ტვირთისაგან და ასევე ნიშან-თვისებების სტერეოტიპული გამოყენებისგან, ვიდრე მათი ღირსების, უნარისა და გარემოების საფუძველზე“.³¹ მეორე და უფრო შედეგზე ორიენტირებული მიდგომა მოწოდებულია მოგვანოდოს თანასწორობის მიზნების ფორმულირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით ისეთ სფეროში, როგორიცაა დასაქმება, განათლება ან მაღალი თანამდებობა. შესაბამისად, ჩრდილოეთ ირლანდიის კანონმდებლობას აქვს მთავარი და ზუსტად განსაზღვრული მიზანი. ესაა სამუშაო ადგილებში კათოლიკეების და პროტესტანტების სამართლიანი დასაქმება, სადაც სამართლიანი დასაქმება განმარტებულია, როგორც პროპორციული წარმომადგენლობა. მესამე მიზანი, თვალნათლივ ძალების გადამაჯგუფებელია და ყურადღებას ამახვილებს თანასწორობის მიზანზე – გამოასწოროს ისტორიული ჩაგრულობა. ამგვარად, მწვანე ქალაქში, რომელიც შეიცავს პოლიტიკურ წინადადებას სამხრეთ აფრიკაში ახალი შრომის სამართლიანი კანონის მიღებაზე, გაცხადებულია კანონის მიზანი, არახელსაყრელი პირობების გამოსწორება, რომლებიც სათავეს იღებს წარსული რასობრივი პოლიტიკისგან. ზოგიერთმა კანადელმა მოსამართლემ, კანადის ქარტიაში ჩამოაყალიბა თანასწორობის გარანტიის მიზნები, როგორც სოციალურად, პოლიტიკურად და სამართლებრივად დაჩაგრული ჯგუფებისთვის დაცვის საშუალება.

ცხადია, რომ არსებობს ამ ღირებულებებს შორის კონფლიქტის საშიშროება. ღირსებასა და ღირებულებაზე აქცენტის გაკეთებამ, რომლებიც ინდივიდუალურ

³⁰ ჰეპლე, „დისკრიმინაცია და შესაძლებლობათა თანასწორობა“ – ჩრდილოეთ ირლანდიის გაკვეთილები”, 10 *ოქსფორდის ჟურნალი იურიდიულ კვლევებზე* (1990) 408, 411–89.

³¹ მირონი ტრუდელის წინააღმდეგ, 489.

ღირებულებაზე მეტად პოზიტიურია, შესაძლოა გამოიწვიოს უაღესად არაეგალიტარული შედეგები კეთილდღეობის თანაბარი განაწილების თვალსაზრისით. იმ ინდივიდუალური პირებისთვის, რომლებიც მიაღწევნ სტერეოტიპიზაციის ტვირთისა და დაღის მოხსნას, ცნება დიდ დაპირებას იძლევა, მაგრამ მათთვის, რომელთა შესაძლებლობები შეზღუდული იყო კუმულაციური ჩაგვრის შედეგად, ღირსებაზე დამოკიდებული თანასწორობა შესაძლოა იყოს ცრუ დაპირება. მეორე მხრივ, ყურადღების ცენტრის გადატანამ ჩაგვრის შემსუბუქებაზე, სტერეოტიპიზაციის და დაღის ცნებების შემოტანის გარეშე, შესაძლოა მიგვიყვანოს ზოგად კეთილდღეობაზე ორიენტირებულ პოლიტიკამდე, როგორცაა სოციალური უსაფრთხოების კანონი და არა კონკრეტული ანტიდისკრიმინაციული კანონები. ამავე დროს, შესაძლებელია (როგორც კანადის მაგალითზე ვნახეთ), რომ სინთეზირება მოხდეს რამდენიმე ღირებულების, რომლებიც მიაღწევს შესაბამის ბალანსს.

(ვ) თანასწორობა, როგორც მატერიალური უფლებების დამხმარე

თანასწორობის, როგორც აზრთა ერთიანობის, ცნების უშინაარსობასთან ბრძოლის, ერთი გზა არის ადამიანის ძირითადი უფლებების შეთანხმებული გამოყენების მოთხოვნა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი წარმოადგენს ამ მიდგომას. თანასწორობის დამოუკიდებელი უფლების ნაცვლად, მუხლი 14 მხოლოდ იმას ითვალისწინებს, რომ კონვენციაში დაცული უფლებები გამოყენებულ იქნეს ზუსტად განსაზღვრულ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. ეს შეუძლებელს ხდის თანასწორობის გამოყენებას ღონის დაბლა დაწევის ან უფლებათა ერთნაირად ჩამორთმევის გასამართლებლად. თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეცედენტული სამართალი გვიჩვენებს, ეს ხშირად გულისხმობს თანასწორობის მინიმალურ როლს. ეს მიდგომა ასევე შეზღუდულია. ვინაიდან, იგი შეეხება მხოლოდ კონვენციაში განსაზღვრულ უფლებებს. ამ უკანასკნელის აღიარებისას ახალი ოქმი, რომელიც ავრცელებს თანასწორობის გარანტიას, როგორც „კანონით გადმოცემულ“ ყველა უფლებაზე, ისე სახელმწიფო ორგანოების ყველა ღონისძიებაზე,

III თანასწორობის კონცეფციები სამართლებრივ დებულებებში

(i) პირდაპირი დისკრიმინაცია ან განსხვავებული მოპყრობა

როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო დონეზე, თანასწორობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმულირებაა ფორმალური თანასწორობა ან თანასწორობა, როგორც აზრთა ერთიანობა. პრინციპი „მსგავსებს ერთნაირად უნდა ეპყრობოდნენ“ სამართლებრივ ტერმინოლოგიაში გულისხმობს, რომ რასის ან სქესის საფუძველზე არავის არ უნდა მოეპყრან იმაზე ნაკლებად, ვიდრე საპირისპირო ჯგუფის წევრს ეპყრობიან. ასეთმა დებულებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, – როგორც საგანმანათლებლო, ისე ინდივიდუალური პირებისთვის სასიკეთო. თუმცა, ზემოთ ნახსენები შეზღუდვები ასევე თვალსაჩინო იყო. ყველაზე პრობლემატური, რასის კონტექსტში, ასიმილაციური ტენდენცია აღმოჩნდა. ³³

(ii) ირიბი დისკრიმინაცია ან განსხვავებული გავლენა

როგორც აღინიშნა, თანასწორობას, როგორც აზრთა ერთიანობას, შეუძლია თანასწორობის სამი მიზნის დაკმაყოფილება, კერძოდ, რასობრივი ცრურწმენისა და სტერეოტიპიზაციის. თუმცა, ცოტა რამეს თუ აკეთებს თანასწორობის ძალების გადამაჯგუფებელი და რესტრუქტურიზაციის მიზნებისათვის. ირიბი დისკრიმინაციის ცნების განვითარება ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობა იყო. ეს პრინციპი პირველად განავითარა შეერთებული შტატების სასამართლოებმა, რათა სამართლებრივად ელიარებინა, რომ აშკარად თანაბარ მოპყრობას შეეძლო ჩაგვრის გაძლიერება. ეს საჭირო გახდა, ვინაიდან დისკრიმინაცია შავკანიან ხალხთა წინააღმდეგ რასისტულ მიკერძოებაზე მეტი იყო და გადაიზარდა სტრუქტურულ და

³² ოქმი N 12.

³³ იხილეთ აჰმადი ლონდონის შიდა საგანმანათლებლო ორგანოს (ლმსო) წინააღმდეგ განცხადების ნომერი 8160/78 [1981] 4 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 127 (ევროკომისია), განხილული ქვემოთ.

ინსტიტუციონალურ ფაქტორებში, რამაც წარსული ჩაგვრა მუდმივი გახადა. პრინციპის ფორმულირებისა და გამოყენების შესაძლებლობა აღმოცენდა კარგად ცნობილ სასამართლო საქმეში *გრიგსი დიუკ პაუერის წინააღმდეგ*,³⁴ რომელშიც დამსაქმებელმა შავკანიან განმცხადებელთა არმილების თავისი სპეციალური მოქმედების წესი ჩაანაცვლა მოთხოვნით, რათა სამსახურის მაძიებლებს ჰქონოდათ საშუალო სკოლის კვალიფიკაცია ან ჩაებარებინათ ცოდნის დამადასტურებელი ტესტი. აღსანიშნავია ის, რომ სამუშაო ადგილები რომლებზეც იყო საუბარი, არ საჭიროებდა განსაკუთრებულ უნარებს და ასეთი კვალიფიკაციები არ იყო აუცილებელი წარმატებული მუშაობისათვის. განათლების სისტემაში დისკრიმინაციის არსებული შედეგები შავკანიანთა წინააღმდეგ ნიშნავდა იმას, რომ დიდმა რაოდენობამ ვერ შეძლო საჭირო სტანდარტების დაკმაყოფილება და პრობითი ძალა თითქმის მთლიანად თეთრკანიანებისგან შედგებოდა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ შავკანიანებს და თეთრკანიანებს ერთნაირად ეპყრობოდნენ, რადგანაც ისინი ერთსა და იმავე ტესტს აბარებდნენ, მიღებულ იქნა ჩაგვრის ხელშეწყობა. ამ მაგალითის აღიარებისას, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ თანაბარი მოპყრობა შეიძლებოდა ყოფილიყო დისკრიმინაციული, თუ შედეგი იქნებოდა ის, რომ დაკისრებული სამუშაოს სათანადოდ შესრულებისთვის აუცილებელი პირობის არარსებობის შემთხვევაშიც, ცოტა შავკანიანს თუ შეეძლებოდა მისი შესრულება. ეს იდეა სწრაფად გავრცელდა ატლანტიკისკენ, ჯერ ბრიტანეთში, შემდეგ კი ევროპაში. 1975 წლის კანონი სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ (კსდშ) და 1976³⁵ წლის კანონი რასათა ურთიერთობის შესახებ, შეიცავს ირიბი დისკრიმინაციის პრინციპის კანონით გათვალისწინებულ ფორმულირებას. ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (ეკმს), თავის მხრივ, მოარგო პრინციპი ევროკომისიის (ეკ) სქესობრივი დისკრიმინაციის კანონს და იგი კანონმდებლობაში მტკიცების ტვირთის დირექტივის ფორმით ჩამოყალიბდა.³⁶ ალბათ, ეს შეიცავს ირიბი

³⁴ 401 აშშ 424 (1971).

³⁵ კანონი რასათა ურთიერთობის შესახებ (კრუშ) 1976, ნაწილი 1(1) (ბ) და ასევე იხილეთ კანონი სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ(კსდშ), ნაწილი 1(1) (ბ).

³⁶ მტკიცების ტვირთის დირექტივა 97/80/ევროკომისია(ეკ).

დისკრიმინაციის ყველაზე სასარგებლო ფორმულირებას და მას განსაზღვრავს შემდეგნაირად:

გარეგნულად ნეიტრალურია დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა [რომელიც] ზიანს აყენებს ერთი სქესის წარმომადგენელთა უმეტეს ნაწილს, თუ ეს დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა არ არის შესაბამისი და აუცილებელი და შეიძლება გამართლდეს სქესთან კავშირის არმქონე ობიექტური ფაქტორებით.³⁷

შერბილებული ვერსია გამოიყენეს ევროკომისიის რასათა დისკრიმინაციის ახლად მიღებულ კანონში.

ირიბი დისკრიმინაციის ცნება მოქმედებს, როგორც ფორმალური თანასწორობის ან თანასწორობის, როგორც აზრთა ერთიანობის, მნიშვნელოვანი შემავსებელი. მაშინ, როცა, პირდაპირი დისკრიმინაციის ძირითადი იმპულსი არის მიკერძოებული აზრის შექმნა და რასობრივი სტერეოტიპიზაცია, ირიბი დისკრიმინაცია განიცდის პროგრესს განსხვავებულობასთან შეწყობაში. ის ამას აკეთებს ყურადღების ცენტრის გადატანით აშკარად ნეიტრალურ პრაქტიკასა და კრიტერიუმზე. ფაქტიურად, გვიჩვენებს, რომ ისინი მხარს უჭერენ დომინანტურ კულტურას ან რელიგიას. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეში *მანდლა ლიის წინააღმდეგ*,³⁸ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სკოლამ დისკრიმინაცია განახორციელა სიქ ბიჭზე მისი გარიცხვით, როცა მან უარი თქვა ჩალმის მოხდაზე, სკოლას კი სურდა ის დამორჩილებოდა წესს, რომელიც გულისხმობდა ბიჭების სკოლაში თავდაუხურავ სიარულს. ნამდვილად ნეიტრალური ნორმა, თანასწორობა ყველა მოსწავლისთვის აღიარეს ისე, როგორც ეს მოხდა ქრისტიანულ პრაქტიკაში, რომელიც მოითხოვდა ქრისტიანული ჩაცმის სტილის მორჩილებას და, ამგვარად, ქმნიდა დაუშვებელ ბარიერებს სხვა კულტურისა და რელიგიის მქონე ადამიანებისთვის.

მიუხედავად ამისა, ირიბი დისკრიმინაცია სავალალო აღმოჩნდა თავის ზემოქმედებაში. ამისათვის ოთხი ძირითადი მიზეზი არსებობს. პირველი მომდინარეობს

³⁷ იქვე., მუხლი 2 (2).

³⁸ [1983] სამრეწველო ურთიერთობების კანონმდებლობების მოხსენებები (სუკმ) 209 ლორდთა პალატა (ლპ).

ჯგუფისა და პირადი ინტერესების შეუთავსებელი კავშირისგან. ჩვენ ვნახეთ, რომ ირიბი დისკრიმინაციის ძირითადი ღირებულებაა იმისი აღიარება, რომ ის არაა ინდივიდუალური პირებისთვის დაწესებული თანაბარი მოპყრობა, რომელსაც აქვს მნიშვნელობა, არამედ ფაქტი რომ მას აქვს განსხვავებული გავლენა ინდივიდუალურ პირებზე, იმიტომ რომ ისინი არიან დაჩაგრული ჯგუფის წევრები. ბარიერების მოშლით, ირიბი დისკრიმინაცია ხელს უწყობს ჯგუფის იდენტურობის ღირებულების შემცირებას. თუმცა, ფარგლები, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ჯგუფის განფენილობა, გაურკვეველია. მიუხედავად იმისა, რომ ირიბი დისკრიმინაცია დაშორდა პირდაპირ „ერთი ერთში“ შედარებას, ის ჯერ კიდევ მოითხოვს შედარებას, რათა გვიჩვენოს, რომ გავლენა ერთი ჯგუფის წევრებზე უფრო სახიფათოა, ვიდრე დომინანტური ჯგუფის წევრებზე. და მაინც, დამტკიცდა, რომ არაა მარტივი ასეთი განსხვავებული გავლენის განმტკიცების მეთოდოლოგიაზე დათანხმება. საბოლოო სქემა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, რაც დამოკიდებულია: განიხილება თუ არა შავკანიანების ან ქალების რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ დაემორჩილონ წესებს, კვალიფიცირებული მუშახელის პროპორციულად; დაწესებულებაში ადგილების რაოდენობაზე ან მუშახელის მთლიან რაოდენობაზე. მას შემდეგ, რაც ამ ფორმულას გამოიყენებენ კონკრეტულ შემთხვევაში, კიდევ ერთი წინააღმდეგობა ჩნდება, კერძოდ, არის თუ არა განსხვავება საკმარისი, რათა დაამტკიცოს ირიბი დისკრიმინაცია? არის სტატისტიკური მნიშვნელობა საკმარისი, თუ განსხვავება „მნიშვნელოვანი“ უნდა იყოს ინტუიციური აღქმით? ეს სირთულეები საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი შეერთებული შტატების სასამართლო საქმეში *ვარდ ქოუვის შეფუთვის კომპანია ანტონიოს წინააღმდეგ*.³⁹ საქმე მუშახელს ეხება, რომელიც თითქმის მთლიანად გამოაცალკევეს. ყველა არაკვალიფიციურ სამუშაოს ფილიპინელი და სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მუშები ასრულებდნენ, ხოლო თეთრკანიანები კი – კვალიფიციურს. ქვედა ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სეგრეგაციის ასეთი დონე, დისკრიმინაციის შემთხვევა იყო, რასაც შეერთებული შტატების უზენაესი

³⁹ 109 აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული 2115 (1988)

სასამართლო არ დაეთანხმა. მისი გადაწყვეტილებით, არაკვალიფიცირებული ფილიპინელი თანამშრომლების შედარება თეთრკანიან კვალიფიცირებულ თანამშრომლებთან არ იყო სწორი. სამაგიეროდ, მხედველობაში უნდა მიეღოთ მხოლოდ საჭირო კვალიფიკაციის მქონე ფილიპინელები. რა თქმა უნდა, არ გაუთვალისწინებიათ წარსული დისკრიმინაციის წვლილი, რამაც ფილიპინელებს საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალება არ მისცა. ამგვარად, სათანადოდ კვალიფიცირებული ფილიპინელების არარსებობის გამო, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნაცვლად იმისა რომ ძალთა გადამატკეფებელი მოთხოვნისთვის შეეწყოთ ხელი.

მეორე პრობლემური მხარე შეეხება გამამართლებელი დაცვის როლს. ირიბი დისკრიმინაცია მხოლოდ მაშინ მოითხოვს ბარიერების მოშლას, თუ ისინი გაუმართლებელია სქესისა და რასის ნეიტრალურ საფუძველზე, მაგრამ ზოგიერთი ასეთი მიუღებელი ბარიერი შეიძლება მართლაც გამართლდეს. სამსახურთან დაკავშირებული კრიტერიუმი ისევ ძალაშია. დაჩაგრული ჯგუფებისთვის, მათი ასეთი მდგომარეობის წყალობით, შესაძლოა შეუძლებელი გახდეს წესების დამორჩილება. ეს ალბათ, განსაკუთრებით პრობლემურია ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც სამსახურის მისაღებად კვალიფიკაცია აუცილებელია, მაგრამ კვალიფიკაციის ვერ შეძენის მიზეზი წარსული ან მიმდინარე დისკრიმინაციაა. ამგვარად, როგორც ბრიტანეთში ბოლო დროს მომხდარი სასამართლო საქმე გვიჩვენებს, მენეჯმენტის სამსახურისთვის საჭირო ცოდნის შესასწავლ კურსებზე ადგილები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმ განმცხადებლებისთვის, რომლებმაც გამოცდილება ბრიტანეთში მიიღეს. პრომის ბაზარზე ადრე დაზარალებულებისთვის ან ახალი ჩამოსულებისთვის ამან შეუძლებელი გახადა ადგილის მოპოვება.⁴⁰ ეს ნიშნავს იმას, რომ ირიბი დისკრიმინაციის შესაძლებლობები – მიაღწიოს თავის ძალების გადამატკეფებელ მიზნებს – შეზღუდულია.

ირიბი დისკრიმინაციის მესამე პრობლემური ასპექტი არის ის, რომ ირიბი დისკრიმინაციის დადგენა არ აწესებს განსხვავებულობასთან შეგუების მოვალეობას, არც

⁴⁰ *ოჯუტიკუ თანამშრომელთა მომსახურების კომისიის წინააღმდეგ* [1982] სამრეწველო შემთხვევების ანგარიშები (სშა) 661.

იმას უზრუნველყოფს, რომ განმცხადებლები მომზადებულები იყვნენ სამსახურისთვის ან სხვა სარგებლის მიღებისთვის. ზემოთ აღნიშნულ სასამართლო საქმეებში არანაირი ვალდებულება არ იყო დაწესებული დამსაქმებელზე, რათა გამოეძეებნათ სხვა საშუალებები, რაც უზრუნველყოფდა შესაბამისი გამოცდილების ხელმისაწვდომობას ან სავარაუდო რისკის თავიდან აცილებას. ასეთი პოზიტიური მოვალეობების არარსებობა მეტყველებს ირიბი დისკრიმინაციის შეზღუდულ შესაძლებლობაზე, მიაღწიოს შესაძლებლობათა თანასწორობას.

საბოლოოდ, გამოსასწორებელი სტრუქტურა რჩება მთლიანად ინდივიდუალისტური. თუ დაზარალებულმა, თავად ინდივიდუალურმა პირმა უნდა შეიტანოს საჩივარი. მოპასუხე დადგენილი უნდა იყოს ინდივიდუალურად და უნდა დაუმტკიცდეს მიყენებული ზარალის მიმართ პასუხისმგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში წარმატებულმა სარჩელმა უნდა გამოიწვიოს დისკრიმინაციული ბარიერების მოშლა, ერთადერთი სამართლებრივი მოთხოვნა ინდივიდუალური მსხვერპლისთვის ზარალის ანაზღაურებაა.

(iii) ირიბი დისკრიმინაციის მიღმა: პოზიტიური მოვალეობები

პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის შეზღუდვების აღიარებამ, კანონმდებლები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ წასულიყვნენ ახალი მიმართულებით. კერძოდ, დისკრიმინაციისგან თავშეკავების მხოლოდ ნეგატიური მოთხოვნის ნაცვლად, თანასწორობისთვის ხელშესაწყობად შემოიღეს პოზიტიური მოვალეობებიც. ასეთმა მოვალეობამ მიიღო განსხვავებული ფორმები. ეს დაიწყო შეერთებულ შტატებში მთვარობის კონტრაქტორებზე პოზიტიური მოვალეობების დაკისრებით, რათა სამუშაო ადგილებში უმცირესობების და ქალების წარმომადგებლობა გაეზარდათ.⁴¹ ცოტა ხნის წინ, ინსტიტუციური რასიზმისა და სექსიზმის მოშლისათვის პოზიტიური გეგმების

⁴¹ პრეზიდენტის ბრძანება 10925, გამოცემული პრეზიდენტ კენედის მიერ 1961 წ. ახლანდელი ბრძანება 11246, გამოიცა პრეზიდენტ ჯონსონის მიერ 1964 წ. და ცვლილებები შევიდა 1967 წ., რათა გავრცელებულიყო სქესსა და რელიგიაზე, ფარავს 300, 000 ფედერალურ კონტრაქტორს, რომლებიც ასაქმებენ მშრომელი მოსახლეობის 40%-ს (იხილეთ ჰეპლუ, კუსი და კუდჰარი, *ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ძალაში შესვლის დამოუკიდებელი განხილვის ანგარიში* პარაგრაფი 3.23).

ხელშესაწყობად სულ უფრო გართულებული მოვალეობები დაეკისრათ როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ისე კერძო დამსაქმებლებს. ასეთი, „მეოთხე თაობის“⁴² ანტიდისკრიმინაციული დებულებები მიემართება თანასწორობის კანონმდებლობის არსებული სტრუქტურის რამდენიმე ძალიან სუსტი მხარისკენ. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს მიდგომა სცდება არსებული დისკრიმინაციის კანონის დანაშაულზე დაფუძნებულ მოდელს. როგორც ვნახეთ, არსებული პირდაპირი დისკრიმინაციის დებულებების მიხედვით, ინდივიდუალურ პირს, რომელსაც დაუმტკიცდა რომ მოსარჩელეს სქესის საფუძველზე მოეპყრა ცუდათ, შესაძლოა კანონიერად დაეკისროს პასუხისმგებლობა. ამის გამოსწორება ხდება მსხვერპლისთვის ჩვეულებრივი მარტივი კომპენსაციით. ირიბი დისკრიმინაციაც მოითხოვს მტკიცებულებას, რომ ინდივიდუალურმა დამსაქმებელმა შემოიღო წესი ან შექმნა ვითარება, რომელიც არ დაუშვებს ქალების და შავკანიანების არაპროპორციულ რაოდენობას. მისგან განსხვავებით, პოზიტიური მოვალეობის საფუძველში, აღიარებულია, რომ საზოგადოებრივი დისკრიმინაცია ადვილად იზრდება რასისტული ცრურწმენის ინდივიდუალური შემთხვევებით. ეს მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული როგორც მოვალეობის შინაარსთან, ისე მოვალეობის შემსრულებლის იდენტიფიცირებასთან. მოვალეობაა არა მხოლოდ დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემა, არამედ ინსტიტუტების რესტრუქტურიზაცია. შესაბამისად, მოვალეობის შემსრულებელი განისაზღვრება, როგორც ორგანო, რომელიც საუკეთესო ვითარებაშია მოვალეობის შესასრულებლად მაშინაც კი, თუ მას არ შეუქმნია პრობლემა. ასეთი მოვალეობის შემსრულებლებს მის აღმოფხვრაში მონაწილეობის პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძვლის ხელახალი ფორმულირების შედეგები ტალღასავით ვრცელდება მთელ გამოსასწორებელ სტრუქტურაზე. წესის ან რაიმე პირობის შედეგად წარმოშობილი ინდივიდუალური უსამართლობის ან გაუმართლებელი მოქმედების მტკიცებულების მოთხოვნის ნაცვლად, პოზიტიურ მოვალეობას ინვესტ სტრუქტურული დისკრიმინაციის ფაქტი. ამაში შედის: კონკრეტული ტიპის სამუშაო

⁴² ჰეპლე, კუი და კუდჰარი, *იხილეთ* N 41.

ადგილებში ან მაღალ თანამდებობებზე წარმომადგენლობის მუდმივად დაბალი მაჩვენებელი, შრომიდან მიღებულ სარგებელზე ან სახელმწიფო მომსახურების სფეროებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა, ან უჩვეულოდ დიდი ტარიფების დაწესება მათთვის, ვინც ცდილობს შეინარჩუნოს ის რელიგიური ან კულტურული თავისებურებები, რომლებიც დომინანტი ჯგუფის ასეთივე თავისებურებებს ეწინააღმდეგება. თავად მოვალეობას არ წარმოადგენს დაზარალებული პირისთვის უბრალო კომპენსაცია, არამედ, საჭიროა ცვლილებისთვის პოზიტიური ქმედება, იქნება ეს წახალისებით, შეგუებით თუ სტრუქტურული ცვლილებით.

მეოთხე თაობის თანასწორობის კანონების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განზომილება არის პოტენციალი, ხელი შეუწყოს დაზარალებული ჯგუფის წევრების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოვალეობა არის პოტენციური და ის შეიძლება შეიცვალოს არსებულ პრობლემებზე მოსარგებად. შესაბამისად, ის არ წარმოადგენს სტატიკურ მოვალეობას. თუმცა, მოითხოვს პრობლემების გამოკვლევის პროცესის გაგრძელებას, სავარაუდო პასუხების მოძებნას, სტრატეგიების ეფექტურობის კონტროლს და ამ სტრატეგიების საჭიროებისამებრ გარდაქმნას. თუ მონაწილეობა ამგვარი მოვალეობების ცენტრალურ ასპექტშია აგებული, მოსალოდნელია არა მხოლოდ ამ სტრატეგიების მეტი წარმატებულობა, არამედ, ზუსტად თანასწორობის მიღწევის პროცესი ხდება დემოკრატიული. მონაწილეობის უფლებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიგიური, ეთნიკური და კულტურული უმცირესობებისთვის უფლებათა კონტექსტში. ზევით უკვე განვიხილე, რომ ეროვნება არ უნდა მივიჩნიოთ სტატიკურ ცნებად, არამედ, მიმდინარე დინამიკური ურთიერთობის ნაწილად იმათ შორის, ვინც საკუთარ თავს ჯგუფთან აიგივებს და ასევე ჯგუფსა და დომინანტურ კულტურას შორის. შესაბამისად, ყველა მცდელობა, შევაჯამოთ უმცირესობათა უფლებების შინაარსი, ჯგუფების აქტიური მონაწილეობის გარეშე, იქნება ქედმაღლური, მცდარი და სავარაუდოდ, ნაკლებად წარმატებული.

პოზიტიურ მოვალეობაზე დაფუძნებული „მეოთხე თაობის“ თანასწორობის კანონები, რომელთა მიზანია თანასწორობის ხელშეწყობა და არა მხოლოდ დისკრიმინაციისგან თავშეკავება, აქტიურად ვითარდება სხვადასხვა ქვეყნის

იურისდიქციაში. ევროკავშირის დონეზე სქესობრივი თანასწორობის კანონის ქმედითობას ძლიერი სტიმული მისცა მეინსტრიმინგის პრინციპის მიღებამ. მეინსტრიმინგი ნიშნავს, რომ თანასწორობა არაა მხოლოდ დამატებითი ან პრინციპის შემდეგ გააზრებული, არამედ, ის არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გათვალისწინებულია ყველა სამოქმედო წესსა და აღმასრულებელ გადაწყვეტილებაში.⁴³ „ანტიდისკრიმინაციის რეაქტიურ და ნეგატიურ მიდგომას ანაცვლებს პროაქტიური, სიახლის მაუწყებელი და ინტეგრაციული მეთოდები.”

⁴⁴ საშინაო დონეზე, გაერთიანებული სამეფოს რასათა ურთიერთობის კანონმდებლობა, როგორც შორეულ 1976-ში, შეიცავდა მუნიციპალურ დაწესებულებებზე კანონით გათვალისწინებულ მოვალეობას:

მიიღოს შესაბამისი ზომები სხვადასხვა ფუნქციის საჭიროებისამებრ შესასრულებლად: (ა) აღმოფხვრას უკანონო რასისტული დისკრიმინაცია; (ბ) ხელი შეუწყოს შესაძლებლობათა თანასწორობას და კარგ ურთიერთობას სხვადასხვა რასობრივი ჯგუფის ადამიანთა შორის.⁴⁵

თუმცა, მოვალეობის გაურკვევლობამ და ინდივიდუალურმა ხასიათმა, რომელიც ერწყმის სასამართლო მტრულ დამოკიდებულებას,⁴⁶ ის დიდწილად უშედეგო გახდა. ჩრდილოეთ ირლანდიის 1998 წლის კანონში უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სამართლებრივად სავალდებულო მოვალეობას, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს ყველა მათი ფუნქციის განხორციელებისას, ავალებს „გათვალისწინონ შესაძლებლობათა თანასწორობისათვის ხელშეწყობის აუცილებლობა”.⁴⁷ კანონი სცილდება უბრალო რჩევას: თითოეულ ხელისუფლებას მოეთხოვება თანასწორობის გეგმის შედგენა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ხელისუფლების ღონისძიებები

⁴³ ევროპული საზოგადოების კომისია, *ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების ჩართვა ყველა სათემო პოლიტიკასა და აქტივობაში*. შეტყობინება კომისიისგან სი ოუ ემ(96) საბოლოო, ლუქსემბურგი; იხილეთ ზოგადად ტ. რისი, *ევროკავშირში მეინსტრიმინგის თანასწორობა* (1998).

⁴⁴ ჰეპლე, კუი და კუდჰარი, *იხილეთ* N41. პარაგრაფი 3.8-ზე.

⁴⁵ კანონი რასათა ურთიერთობის შესახებ(კრუშ) 1976, ნაწილი 71.

⁴⁶ *ვილერი ლესტერის წინააღმდეგ*.

⁴⁷ ჩრდილოეთ ირლანდიის 1998 წლის კანონი, ნაწილი 75; და იხილეთ მაკკრუდენი, თანაბარი შესაძლებლობების მოვალეობა ჩრდილოეთ ირლანდიის 1998 წლის კანონში: ანალიზი, *თანაბარი უფლებები და ადამიანის უფლებები – მათი როლი მშვიდობის შენებაში* (ბელფასტი, მართლმსაჯულების ადმინისტრირების კომიტეტი, 1999), 11-23 -ზე.

შესაძლებლობათა თანასწორობისთვის ხელშეწყობის პრინციპების სავარაუდო გავლენის კონსულტაციისა და შეფასებისთვის, ასეთი პრინციპების ნებისმიერი საზიანო ზემოქმედების კონტროლისთვის, მისი შეფასების შედეგების გამოქვეყნებისთვის, თანამშრომლების სპეციალური მომზადებისთვის, ინფორმაციასა და სერვისებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. ასეთი გეგმები უნდა დამტკიცდეს ჩრდილოეთ ირლანდიის თანასწორობის კომისიის მიერ. პოზიტიური მოვალეობების შემოღება ასევე შესაძლებელია კონკრეტულად მუნიციპალური დაწესებულებების დონეზე. ამგვარად, ახლახანს განახლებულ დიდი *ლონდონის ხელისუფლებას* ევალება თანაბარი შესაძლებლობებისათვის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს მის მიერ ამ მოვალეობის შესრულებისას გადადგმული ნაბიჯების ყოველწლიური ანგარიშის გაკეთების ვალდებულებას.⁴⁸ მსგავსი ვალდებულება დაეკისრა ბრიტანეთში ყველა სახელმწიფო ორგანოს ახალი კანონით რასათა ურთიერთობის შესახებ 2000 (შესწორებული).⁴⁹ ასეთი ვალდებულებები მოიცავს: პირველი, პრობლემის ანალიზს; მეორე, სამოქმედო მიზნობრივი გეგმის ოფიციალურად გამოცხადებას, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამისი ჯგუფების მონაწილეობას, როგორც ძირითად ელემენტს. დაბოლოს, სტრატეგიების ეფექტურობის შეფასების მექანიზმს. მორჩილების სტრუქტურები განსხვავდება: მენისტრიმინგი ევროკომისიის დონეზე არაა სავალდებულო, მაგრამ გამოწვეულია პოლიტიკური სურვილით მაშინ, როცა ჩრდილოეთ ირლანდიის კანონს კომისია მკაცრად აკონტროლებს.

როგორც ამ სახის ზოგადი მოვალეობები, არაერთი ქვეყნის იურიდიქციამ დაანესა კონკრეტული მოვალეობები, მაგალითად დამსაქმებლებზე, რომლებიც მიზნად ისახავს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობის გაზრდას და გადასახადებისა და პრივილეგიებით სარგებლობის გათანაბრებას. ასეთმა პოზიტიურმა მოვალეობებმა გზა გაიკვლიეს შეერთებულ შტატებში, სადაც 1961 წლიდან მთავრობის კონტაქტორებს მოეთხოვებოდათ არა მხოლოდ უკანონო დისკრიმინაციისგან თავშეკავება, არამედ მათ

⁴⁸ 1999 წლის დიდი ლონდონის ხელისუფლების კანონი, ნაწილი 33.

⁴⁹ იხილეთ შემდგომში ფრედმანი, „თანასწორობა: ახალი თაობა?“ *სამრეწველო სამართლის ჟურნალი* (2001) 145.

თანამშრომელთა რაოდენობაში რასობრივი უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდისთვის პოზიტიური ზომების მიღება.⁵⁰ მოთხოვნას, რომელიც შეეხება დაახლოებით 300,000 ფედერალურ კონტრაქტორს, რომელიც ასაქმებს მშრომელი მოსახლეობის დაახლოებით 40 %-ს, დამსაქმებლებზე უფრო ძლიერი გავლენა ჰქონდა, ვიდრე ინდივიდუალური საჩივრებისგან გამომდინარე გამოძიებებზე. მართლაც, შეერთებული შტატების ყველა დამსაქმებელმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ახლახანს ჩატარებულ კვლევაში აღნიშნა, რომ ვერ შეძლებდა მნიშვნელოვანი ზრდის შენარჩუნებას ქალებისა და უმცირესობების წარმომადგენლობაში, რაც მოხდა ორგანიზაციებში, სავალდებულო აფირმაციული ქცევის (პოზიტიური დისკრიმინაციის) მოთხოვნის გარეშე.⁵¹ ბოლო დროს, მსგავსი სტრატეგია გამოიყენეს ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც 1989 წლის კანონმდებლობამ პოზიტიური მოვალეობები დააკისრა დამსაქმებლებს, რაც გულისხმობდა, მათ შრომით რესურსებში პროტესტანტების და რომან-კათოლიკური ეკლესიის მიმდევრების თანაბარი რაოდენობით განაწილებისათვის საჭირო ზომების მიღებას. ⁵² ასეთ მოვალეობებში შედის იმ თანამშრომლების კონტროლის მოვალეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან თითოეულ თემს; დასაქმების პრაქტიკის პერიოდული შემოწმება და სადაც სამართლიანი თანასწორობა არ ვლინდება, პოზიტიურ დისკრიმინაციაში (არა ბოლომდე რევერსული დისკრიმინაცია) ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფების წარმომადგენლობის გაზრდას. სააღსრულებო უფლებამოსილება ენიჭება კომისიას და მოიცავს სახელმწიფო კონტრაქტების ან ფინანსური დახმარების უარყოფის სანქციას. კანადის პროვინციაში ონტარიოში ქალებისა და მამაკაცებს შორის თანაბარი ანაზღაურების სფეროში დაწესდა პიონერული პოზიტიური მოვალეობები. ონტარიოს სამართლიანი ანაზღაურების სტრუქტურა გვიჩვენებს ადრინდელ ანტიდისკრიმინაციულ კანონებთან კონტრასტს. მხოლოდ დისკრიმინაციის ინდივიდუალური პრეტენზიების საპასუხო მოვალეობის

⁵⁰ პრეზიდენტის ბრძანება 10925 (1961). მიმდინარე ბრძანება 11246 (გამოცემული 1964-ში) ასევე მოიცავს სქესს და რელიგიას.

⁵¹ ჰეპლერ, კუი, კუდჰარი, *გემოთ ნახსენები* N 41, 3.23–3.24; 3.29 პარაგრაფებში.

⁵² კანონი სამართლიანი დასაქმების შესახებ 1989, ახლა შედის სამართლიანი დასაქმებისა და მოპყრობის შესახებ 1998 წლის კანონში, ნაწილი VII.

ნაცვლად, დამსაქმებლებმა დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენისა და მოგვარების პასუხისმგებლობა უნდა აიღონ. ეს არის ერთობლივი პროცესი, რომელიც სამართლიანობის გეგმის შედგენის პროცესში, ყველა შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად სავაჭრო კავშირებს რთავს. კანონიერი კომისიის ხელში შესრულება იღებს სამეთვალყურეო უფლებამოსილების ფორმას, რომლის მთავარი მიზანია არა დასჯა, არამედ პროცესის მიმდინარეობისთვის ხელის შეწყობა.⁵³

პოზიტიური მოვალეობების პროაქტიური ბუნება ცვლის თანასწორობის კანონის სტრუქტურას, მაგრამ ეს საკმარისი არაა. პოზიტიურ მოვალეობებს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ისინი კონკრეტული მიზნისკენ მიისწრაფის. მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რის მიღწევას ვცდილობთ პოზიტიური მოვალეობებით. ზემოთ დასახელებული სამი მიზნიდან: დაღის მოშორება, ძალების გადაჯგუფება და შეწყობა, რომელი უნდა დავისახოთ? თანასწორობის რომელი პრინციპი უნდა გამოვიყენოთ: ფორმალური, შედეგთა თანასწორობა, შესაძლებლობათა თანასწორობა, თუ სხვა რომელიმე ძირითადი ღირებულება? ბევრი პოზიტიური მოვალეობის ფორმულირება მოხდა იმ თვალსაზრისით, რომ ხელს უწყობს კონკრეტულ სექტორში ქალებისა და უმცირესობების რიცხვის გაზრდას. ეს, როგორც ჩანს, ძალების გადამაჯგუფებელი მიზნის გაგრძელებას წარმოადგენს და შედეგთა თანასწორობის პრინციპს იყენებს. როგორც ასეთი, მისი შეზღუდვები არ უნდა უგულებელვყოთ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ შესაძლოა არ არსებობდეს მოცემული ძალების გადამაჯგუფებელი სტრუქტურების შეცვლის იმპულსი. პოზიტიური მოვალეობების ჭეშმარიტი ეფექტურობისთვის, ერთმანეთს უნდა შეერწყას შესაძლებლობათა თანასწორობისა და შედეგთა თანასწორობის ცნებები, მოთხოვნილ უნდა იქნას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არა მხოლოდ შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობაში, არამედ მათ გამოყენებაში. იგი უფრო მეტს აკეთებს, არა მხოლოდ არსებული

⁵³ ონტარიოს კანონი სამართლიანი ანაზღაურების შესახებ, და იხილეთ ა. მაკკოლგანი, *უბრალოდ ხელფასები ქალებისთვის* (1997).

სტრუქტურების კანის ფერისა და სქესის მიხედვით არსებულ წყობას ცვლის, არამედ ახალ ფორმას სძენს, რათა ისინი მრავალფეროვნებას შეეგუონ.

IV თანასწორობა, როგორც ადამიანის უფლება

როგორ შეგვიძლია ამ ანალიზის გამოყენება ადამიანის უფლებების დასაცავად? როდესაც ვასახელებთ თანასწორობას, როგორც ადამიანის უფლებას, ძირითადი გამოწვევა არის თანასწორობის ისეთი ცნების ჩამოყალიბება, რომელიც გადალახავს ტრადიციულ თანასწორობა-განსხვავების დიქტომიას ისე, რომ მოიცვას პოზიტიური განსხვავება მაშინ, როცა ამავე დროს, უარყოფს ცუდ მოპყრობას, რასობრივ, რელიგიურ ან ეთნიკურ საფუძველზე. ეს გამოწვევა წარმოიშობა სულ მცირე სამი სხვადასხვა გზით. პირველი, თანასწორობის მიღწევის ცნების გადანაცვებისას, საჭიროა იმისი გადანაცვება, თუ როდისაა სახელმწიფო უფლებამოსილი, ერთმანეთისგან განასხვავოს რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფები, გარეშე მიზეზების უგულებელყოფისათვის, თუ განზრახ, წარსული დისკრიმინაციის გამოსასწორებლად და თანასწორობის ხელშესაწყობად. მეორე, როდის მოეთხოვება სახელმწიფოს, რომ განასხვავოს ჯგუფები ერთმანეთისგან, იმისთვის, რომ დააწინაუროს თანასწორობის ღრმა ცნება? ეს კითხვა წარმოიშობა აშკარად ნეიტრალური წესების გარემოცვაში, რომლებიც, ფაქტიურად, ზემოქმედებს უმცირესობების რასობრივ, ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებზე. მესამე, არსებობს შემთხვევა, როცა სახელმწიფოს მოეთხოვება რელიგიურ, ეთნიკურ ან კულტურულ მოთხოვნათა უგულებელყოფა, უნივერსალური ნორმის სასარგებლოდ? უნდა აჯობონ თუ არა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების ფაქტორებმა რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის კულტურის საჯაროდ გამოხატვას? მაგალითად, როცა სიქებს სთხოვენ ჩალმის მოხდას და საავარიო ჩაფხუტის ტარებას მოტოციკლის მართვისას. ასევე, შეიძლება საკამათო იყოს ის, რომ ქალების უფლებები მომდინარეობს არა მათი კონკრეტული კულტურიდან, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი და უნივერსალური ნორმებიდან, რომლებმაც უნდა დაჩრდილოს კულტურული

გამოვლინებები. თითოეული ამ სამი ძირითადი შეკითხვის მეშვეობით, დილემა გაივლის ყველა ადამიანის უფლების დადგენის პროცესს. კერძოდ, საჭიროებს, რომ იპოვოს დემოკრატიული ახსნა, კონკრეტული მნიშვნელოვანი მოთხოვნების დემოკრატიულ საკანონმდებლო ორგანოებზე, იქნებიან ესენი უმცირესობები დემოკრატიულ პროცესში სრული ხმის გარეშე, თუ ქალები. ამასთან დაკავშირებულ დემოკრატიულ მოსაზრებას კავშირი აქვს ფარგლებთან, რომელშიც დაზარალებულ ადამიანებს, გადანაცვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება და შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. საბოლოოდ, საეჭვოა, ტრადიციული ადამიანის უფლებების მინიჭებას შეუძლია თუ არა თანასწორობის მდიდარი ცნების წარმოშობა, რომელებიც საჭიროა რასიზმის პრობლემის გადასაჭრელად. ადამიანის უფლებათა გადანაცვეტის ინდივიდუალური ბუნება ართულებს იმ უფლებების ფორმულირებას, რომელებიც ითვალისწინებს ჯგუფების განზომილებას. საყურადღებოა, არის თუ არა შესაძლებელი ადამიანის უფლებების სტრუქტურებისთვის მეოთხე თაობის დისკრიმინაციის კანონთან შეგუება, რომელიც უმთავრესად დაფუძნებულია პოზიტიურ მოვალეობებზე? თავის დანარჩენი ნაწილი დაეთმობა ამ რთულ შეკითხვებს.

(i) როდის არის სახელმწიფო უფლებამოსილი, რომ ჯგუფები განასხვავოს ერთმანეთისგან?

ბევრ იურისდიქციაში აღიარეს, რომ ყველა სახის განსხვავება დისკრიმინაციული არაა. არსებობს გარემოებები, სადაც სახელმწიფოსთვის სრულებით შესაფერისია, თუ ის ჯგუფებს ერთმანეთისგან განასხვავებს. შემდეგი გამოწვევა ინდივიდუალური დისკრიმინაციისა და შესაბამისი დიფერენციაციის ერთმანეთისგან განსხვავებაა. ამისათვის, ბევრი ქვეყნის იურისდიქციამ განავითარა თანაზომიერების ტესტი, რომელიც სახელმწიფოსგან ან მთავრობისგან მოითხოვს, ჯერ გვიჩვენოს მიზნების კანონიერება და შემდეგ ის, რომ მიზნის მისაღწევად განსხვავება შესაბამისია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გულდასმით შემოწმების სტანდარტს, თუ რომელი სასამართლოები ცდილობს მიმართოს ასეთ განსხვავებებს, ორივე შემთხვევაში, იმის გადანაცვეტისას, თუ რომელი მიზანი არის

კანონიერი და იმის დასადგენად, თუ რამდენად მჭიდრო კავშირია გამოყენებულ საშუალებებსა და საბოლოო მიზნებს შორის. ეს მიდგომა კარგად ჩანს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რომელმაც გადაწყვიტა, რომ განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ მაშინაა დისკრმინაციული, თუ მას არა აქვს „ობიექტური და გონივრული გამართლება“, რაც გულისხმობს, რომ ის არ ემსახურება კანონიერ მიზანს ან არ არის „პროპორციულობის სამართლიანი ურთიერთობა გამოყენებული“ საშუალებებსა და მიზანს შორის, რომლებსაც რეალიზება სჭირდება.⁵⁴ ამ სტანდარტის გამოყენებისას, სასამართლომ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ღირებულებათა იერარქიის შედგენას. მას შემდეგ, რაც ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის განვითარება დასახელდა ძირითად მიზნად ევროპის საბჭოს სახელმწიფოებს შორის, „ძალიან დამატერებელი მიზეზები“ უნდა წამოიწიოს წინ სქესის საფუძველზე განსხვავებულად მოპყრობისას, რათა ის ჩაითვალოს კონვენციის შესაბამისად.⁵⁵ ბუნდოვანია, იქნება თუ არა ასევე ძალიან დამატერებელი მიზეზები საჭირო ისეთ შემთხვევაში, როცა განსხვავება ხდება რასის, რელიგიის ან ეროვნების საფუძველზე. ეს იერარქია გვაგონებს შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ განვითარებულ სამდონიან სტანდარტს, პრიორიტეტთა განსხვავებული წყობის მიუხედავად. ყველაზე ძლიერი ან „მკაცრი შემოწმება“, შეერთებული შტატების იურისპრუდენციის ქვეშ, დაწესებულია რასობრივი კლასიფიკაციისთვის და მოითხოვს არა მხოლოდ ლეგიტიმურ სახელმწიფო კავშირს, არამედ ძლიერ ინტერესს, ასევე იმის შემოწმებას, რომ მიზნის მისაღწევად საშუალებები „ზუსტად არის გამოყენებული“. განსხვავებით, ყველაზე სუსტი სტანდარტი მოითხოვს სხვა არაფერს, გარდა რაციონალური ურთიერთობისა საშუალებებსა და კანონიერ სახელმწიფო ინტერესს შორის. ეს სტანდარტია, რომელიც ეხება ყველა განსხვავებულობას. სტანდარტი

⁵⁴ ბელგიის ლინგვისტური საქმე 1 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 252 მე–10 პარაგრაფში; *მარკსი ბელგიის წინააღმდეგ* 2 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 330 33–ე პარაგრაფში; *აბდულაზიზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1985) 7 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 491 72–ე პარაგრაფში.

⁵⁵ *აბდულაზიზი, გემოთ ნახსენები* N 54, 78–ე პარაგრაფში.

შეფერება სქესს და, ალბათ, სექსუალური ორიენტაცია, რელიგია და უფლებაუნარიანობა სადღაც შუალედურ ადგილს იკავებს.

განსაკუთრებით საინტერესო მიდგომა არის სამხრეთ აფრიკის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც შეიცავს სამართლიანი დისკრიმინაციის შესაძლებლობას გამოკვლევის პირველ ეტაპზე, მაგრამ ამსუბუქებს მოსარჩელის ტვირთს, ვინაიდან შეიცავს პრეზუმციას, რომ დისკრიმინაცია არის უსამართლო, თუ არ დამტკიცდება მისი სამართლიანობა. უსამართლო დისკრიმინაციაც კი შეიძლება გამართლდეს, თუ შეზღუდვა სამართლიანია და გამართლებულია ღია და დემოკრატიულ საზოგადოებაში დაფუძნებულ ადამიანის ღირსებაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე, ყველა ამ შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით: უფლების ბუნება; შეზღუდვის მიზნის მნიშვნელობა; შეზღუდვასა და მის მიზანს შორის კავშირი; მიზნის მისაღწევად ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები.⁵⁶ თუმცა, ყველაზე დახვეწილი ტესტიც კი დამოკიდებულია სამართლებრივ გამოყენებაზე და ყოველთვის არ ხდება საკმარისად ნიუანსირებული ტესტის განვითარება. „განსაკუთრებული“ მოპყრობა რევერსული დისკრიმინაციის ფორმაში, წარსული დისკრიმინაციის შედეგების გამოსასწორებლად, განსაკუთრებით რთული საკითხია, რომლის დეტალური განხილვა ამ თავის მიზნებს სცილდება.⁵⁷ თუმცა, ღირს მოკლედ იმისი აღნიშვნა, რომ პრივილეგირებული მოპყრობა გვევლინება მხოლოდ თანასწორობის ცნების დარღვევად, თუ თანასწორობის სიმეტრიული მიდგომა შენარჩუნებულია. სიმეტრიული თვალსაზრისით, თეთრკანიანთა დისკრიმინაცია რასის საფუძველზე ისევე აღმაშფოთებელია, როგორც შავკანიანთა, მიუხედავად იმისა, რომ გატარებული ღონისძიების მიზანი იყო შავკანიანთა წარსული დისკრიმინაციის შედეგების შემსუბუქება. შეხედულება თანასწორობაზე, რომელიც თავად თანასწორობას არ აღიქვამს, როგორც სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობებიდან ამოღებულ მიზანს, არამედ, როგორც საშუალებას ჩაგვრისა და სტიგმის შესამსუბუქებლად, შესაძლებელს გახდიდა, პრივილეგირებული მოპყრობა დაგვენახა, როგორც მატერიალური თანასწორობის დიდი მიზნის დაწინაურება.

⁵⁶ ნაწილი 36 (1).

⁵⁷ იხილეთ ფრედმანი, *გემოთ ნახსენები* N18, მე-9 თავში.

(ii) როდის მოეთხოვება სახელმწიფოს ჯგუფების განსხვავება?

დიფერენციაციის ნებადართულობის საკითხთან ერთად, სასამართლოებმა სახელმწიფოსა და ევროპის დონეზე უნდა უპასუხოს შეკითხვას, თუ როდის არღვევს ნეიტრალური წესები თანასწორობის გარანტიას. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს განსაზღვრას, არის თუ არა აშკარა ნეიტრალიტეტი კონკრეტულ საზოგადოებაში დომინანტი ჯგუფის წესების დამტკიცება. სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციაში პრეცედენტულ სამართალზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გასაოცრად მცირე პროგრესი აისახა თანასწორობის ცნების ფორმირებისას, რომელსაც შეუძლია ჩანვდეს აშკარად ნეიტრალურ წესებს, რომლებიც, ფაქტიურად, აფუძნებს დომინანტურ ნორმას. ეს განსაკუთრებით თვალნათელია, როდესაც სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ უფრო ძლიერი განმტკიცებული თანასწორობის ცნება ხელს შეუშლის „ხალხის ინტერესების განხორციელების“ სახელმწიფო ხელისუფლებისეულ მცდელობას.

ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ყოყმანობდა ელიარებინა, რომ საიმიგრაციო კანონები დისკრიმინაციულია, ვინაიდან ისინი უფრო მძიმედ მოქმედებს თანამეგობრობის ქვეყნებიდან და პაკისტანიდან მოსულ ემიგრანტებზე. სხვებთან შედარებით ნაკლები ზეგავლენა აქვს თეთრკანიანებზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ვინაიდან წესები შეეხებოდა ყველა იმიგრანტს რასისა და წარმოშობის მიუხედავად და ვინაიდან ისინი ხელს უწყობდა კანონიერ სახელმწიფო მიზანს, კერძოდ, დიდი უმუშევრობის დროს იცავდა შრომის ბაზარს, შესაბამისად, დისკრიმინაცია რასის საფუძველზე ვეღარ იქნებოდა.⁵⁸ ანალოგიურად, ირიბი დისკრიმინაციის პრინციპის თავისით განვითარების მიუხედავად, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ სწრაფად იმოქმედა მისი მიღწევის შესაზღუდად. ინდივიდუალური ბრალისა და პაუხისმგებლობის ცნების აღმავლობაში, სასამართლომ საქმეში *ვაშინგტონი დეივისის წინააღმდეგ* ⁵⁹ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ განზრახ დისკრიმინაციას შეუძლია თანასწორობის მუხლის დარღვევა მეთოთხმეტე შესწორებაში.

⁵⁸ აბდულაზიზი, *გემოთ ნახსენები* N 54.

განსხვავებული ზემოქმედება ან ირიბი დისკრიმინაცია ვრცელდება მხოლოდ სამოქალაქო უფლებების კანონის VII მუხლით გათვალისწინებულ ნორმატიულ სარჩელზე და არა მეთოთხმეტე შესწორებაში შესული კონსტიტუციური თანასწორობის გარანტიაზე.

რელიგიური და ეთნიკური იდენტობის კონტექსტში, ფორმალურად ნეიტრალური წესები, დომინანტური ნორმის ფარულად განმტკიცების მაღალ რისკს შეიცავს. განსაკუთრებით კი იქ, სადაც სახელმწიფოს მტკიცებით, წესი „ხალხის ინტერესს“ ემსახურება. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ბოშები ან რომას ხალხი. აღმოჩნდა, რომ ისინი არღვევდნენ დაგეგმარების კანონებს, რაც ეჭახებოდა მათი მომთაბარე ცხოვრების სტილს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სიბრმავეს ავლენს, როცა ხალხის ინტერესებს დომინანტი ჯგუფის ინტერესებს უტოლებს. ბოშის გამოსახლება მისი საკუთარი მიწიდან, დაგეგმარების რეგულაციების აღსრულებისათვის, რაც ეწინააღმდეგება სადაო მიწაზე საცხოვრებელი მანქანების დაყენებას, მოხდა ისე, რომ არ დარღვეულა კონვენციის არც მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) და არც მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან ერთად. სასამართლოს უმრავლესობამ „ეჭვის ვერანაირი მიზეზი ვერ დაინახა“, რამდენადაც გატარებული ღონისძიებები მისდევდა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ დასახულ კანონიერ მიზნებს, კერძოდ: საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა, ჯანდაცვა და სხვათა უფლებების დაცვა. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ დისკრეციის განხორციელებისას, შიდა სახელმწიფო ორგანოებს აქვს შეფასების ზღვარი, სასამართლომ დაადგინა, რომ ბოშები არ ყოფილა არაპროპორციული ლეგიტიმური მიზნისთვის. არც კი სცნო, მე-14 მუხლით გათვალისწინებული თანასწორობის მოთხოვნის მართებულობა.⁶⁰ უმრავლესობის მიერ დარწმუნებით მტკიცება, რომ ყველაფერი კარგად იყო, უნდა დავუპირისპიროთ

⁵⁹ 426 აშშ 229 (1976).

⁶⁰ ბაკლი *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [1996] 23 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 101 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (აუეკ) და იხილეთ ფი–ს სასამართლო საქმე.

განსხვავებულ განაჩენებს. ამგვარად, ნაწილობრივ განსხვავებულ მოსაზრებაში მოსამართლე რეიკმა აღნიშნა, რომ როცა:

უმცირესობის წარმომადგენლის ძირითადი უფლება ირღვევა, განსაკუთრებით ისეთი დაუცველი უმცირესობების, როგორიცაა ბოშები, სასამართლო ვალდებულია ასეთი ჩარევა განსაკუთრებით დიდი ყურადღებით განიხილოს. ჩემი აზრით, სასამართლომ ბოლომდე არ შეასრულა თავისი მოვალეობა, ვინაიდან მან არ გაითვალისწინა კომისიის მიერ წარდგენილი ყველა შესაბამისი საკითხი და ძალიან იჩქარა სახელმწიფოსთვის დატოვებული შეფასების ზღვრის მოთხოვნაში.

მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ თუ პირს უფლება მიეცემოდა ისევ დაეყენებინა მანქანა, ეს არც ისე კარგ შედეგს მოუტანდა სოფელს, რომელზეც შესაძლოა შენობები აშენდეს. აღიარებს რა ბოშებისთვის გადაადგილების სურვილის მნიშვნელობას აღნიშნავს, რომ ბოშას უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს თავისი მიწა, როგორც უსაფრთხო და სტაბილური ადგილი, სადაც შეიძლება სახლის აშენება და სადაც ბავშვები ივლიან სკოლაში. ის უნდა იყოს უფლებამოსილი, შეინარჩუნოს სკოლის დღეებში გადაადგილების უფლება. მოსამართლე ლომუსი თავის განსხვავებულ მოსაზრებაში წინდახედულად მიიწევდა თანასწორობის უფრო ფართო ცნებისკენ და არა უმრავლესობის აზრისკენ. აღნიშნავდა, რომ „თანასწორობის გასამყარებლად, განსხვავებული მოპყრობა შეიძლება საჭირო გახდეს კონკრეტული კულტურის არსებობის დასაცავად [უმცირესობების]”.⁶¹ ყველაზე ძლიერი იყო მოსამართლე პეტიტის განსხვავებული აზრი. მან საკითხი ბოშების უარყოფისა და გამორიცხვის ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში მოათავსა, ამას დაუმატა გენოციდი, რომელსაც ბოშები მეორე მსოფლიო ომის დროს განიცდიდნენ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მიზანი იყო სახელმწიფოებზე პოზიტიური ვალდებულებების დაკისრება, რათა დარწმუნებულიყო, რომ ძირითადი უფლებები გარანტირებული იყო დისკრიმინაციის გარეშე. უარყო რა აზრი, რომ დაგეგმილი კონტროლი იყო საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის, მოსამართლე პეტიტმა სანაცვლოდ აღიარა, რომ კონტროლი, ფაქტობრივად, დაწესებული იყო

⁶¹ ბაკლი, *ზემოთ ნახსენები* N 60, 136–ზე.

ადგილობრივი საზოგადოების სასარგებლოდ და იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სურდა ამ უკანასკნელს ბოშების მიღება. ეს იყო ის ინტერესები, რომლებიც მისი აზრით, არ უნდა დაექვემდებაროს ოჯახური ცხოვრების პატივისცემას. ისინი ნამდვილად არ იყო საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც ამას მოითხოვდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (აუევ).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (აუევ) უუნარობა, რომ აღიაროს ფარგლები, რომლებშიც ნეიტრალური წესები საზოგადოებაში დომინანტური ჯგუფის ღირებულებებს ამყარებს, კარგად დავინახეთ რელიგიური დისკრიმინაციის კონტექსტში. კარგი მაგალითი გვიჩვენებს ფარგლებს, რომლებშიც ცხოვრება აგებულია ქრისტიანულ რწმენაზე. განსაკუთრებით, სამუშაო კვირა ცოტა საშუალებას თუ გვაძლევს, რომ დავაკვირდეთ რელიგიურ დღესასწაულებს და რელიგიური უმცირესობების მიერ ყოველდღიური თაყვანისცემის ფაქტებს. ეს პრობლემა კარგად გამოიკვეთა სასამართლო საქმეში *აჰმადი ლონდონის განათლების შიდა ორგანოს წინააღმდეგ*,⁶² რომელშიც მორწმუნე მუსულმანმა განაცხადა, რომ აიძულებს დაეტოვებინა მასწავლებლის პოსტი მას შემდეგ, რაც ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულების დამსაქმებელი ამტკიცებდა, რომ ახლოს მდებარე მეჩეთში პარასკევის ღოცვაზე მისი დასწრება არ შეესაბამებოდა მის სრულ განაკვეთზე მუშაობის კონტრაქტს. გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლომ აღიარა მოსაზრება, რომ საქმე შეეხებოდა მე-9(2) მუხლის ნაწილობრივ გაუქმებას, რომელიც ითვალისწინებდა რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვას, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამ შემთხვევაში, გადაწყდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მოსწავლეთა უფლებები იყო საფუძვლიანი, რათა ჰქონოდა უპირატესი იურიდიული ძალა აჰმადის რელიგიის თავისუფლებაზე. აჰმადმა ეს საქმე წაიღო ლუქსემბურგში მხოლოდ იმიტომ, რომ აღმოჩენილიყო ნაკლებად კეთილმოსურნე ტერიტორიაზე.⁶³ კომისიამ თანასწორობის ვიწრო კონცეფციის

⁶² [1978] სამეფო სკამის განყოფილება (სსგ) 36 სააპელაციო სასამართლო (სს).

⁶³ *აჰმადი ლონდონის შიდა განათლების ორგანოს (ლშვო) წინააღმდეგ* N8160/78 4 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 127 (ევროკომისია).

საფუძველზე განცხადება დაუშვებლად გამოაცხადა. მიიჩნია რა, რომ მხოლოდ სხვა რელიგიური უმცირესობების წევრები იყვნენ შესაძარებელ მდგომარეობაში, კომისია დაეყრდნო მსჯელობას, რომ რადგანაც ყველა უმცირესობა ვალდებულია დაემორჩილოს უმრავლესობათა რელიგიურ ნორმებს, განმცხადებელს არ დაუმტკიცდა „ნაკლებად ხელსაყრელი მოპყრობა“. მან არ აღიარა, რომ შესაბამისი შედარების ობიექტი იყო უმრავლესობათა რელიგიის მიმდევარი. სამაგიეროდ, ის საფუძვლიანად მიიჩნევდა, რომ „ბევრ ქვეყანაში ხალხის უმრავლესობის რელიგიური დღესასწაულები აღინიშნება, როგორც საჯარო დღესასწაული“.⁶⁴

სხვა ქვეყნების იურისდიქციაში სასამართლოები მზად იყო უფრო მეტი გულისხმიერება გამოეჩინა აშკარად ნეიტრალური წესების მიკერძოებისადმი და დაიწყო თანასწორობის ცნების სრულყოფა, რომელიც მოითხოვდა მრავალფეროვნებასთან შეგუებას. ამგვარად, ადრე მომხდარ სასამართლო საქმეში, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მეშვიდე დღის ადვენტიტისტისთვის უმუშევრობის სარგებლის უარყოფა, ვინაიდან ის არ იმუშავებდა რელიგიური მიზეზებით შაბათობით, იყო რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის უფლების უარყოფა. უმრავლესობა ამ ნორმას ცნობდა, როგორც აშკარად ნეიტრალურს, რომელიც არ აღიარებდა სარგებელს ნებისმიერისთვის, ვინც განზრახ აცდენდა სამუშაოს, კვირა დღის გარდა. თუმცა, გადაწყდა, რომ უმრავლესობას არ შეეძლო უმცირესობისთვის დაეძალებინა უმრავლესობის რელიგიური რწმენის დაცვა.⁶⁵ მსგავსად, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა მოგვიანებით მომხდარ სასამართლო საქმეში, რომ უისკონსინის შტატს მოეთხოვებოდა დაეშვა გამონაკლისი იმ კანონში, რომელიც ითხოვდა სკოლაში გაკვეთილებზე დასწრებას 16 წლის ასაკამდე, ვინაიდან დასწრება 14 და 15 წლის ასაკში ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ რწმენას და ამიშების საზოგადოების ცხოვრების წესს.⁶⁶ თანასწორობის ალტერნატიულ ცნებაში ეს ძლიერი მცდელობები არ განმტკიცდა უზენაესი სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებებში.

⁶⁴ იქვე., 28-ე პარაგრაფში.

⁶⁵ *შერბერტი ვერნერის წინააღმდეგ* (1963).

⁶⁶ *უისკონსინი იოდერის წინააღმდეგ* (1972).

ამგვარად, სასამართლო მზად იყო, გაემართლებინა ებრაელის სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება, ვინაიდან ის უარს ამბობდა მოეხადა თავისი კიპა, რაც ეწინააღმდეგებოდა სამხედრო რეგულაციას, რომლის მიხედვითაც, შენობაში ჯარისკაცები თავდაუბურავნი უნდა ყოფილიყვნენ.⁶⁷ ერთიანობისთვის სამხედრო სამსახურის ღონისძიებები, კონკრეტული რელიგიური შეხედულებების გადაფარვისთვის ჩატარდა. და მაინც, როგორც მოსამართლე ბრენანი მსჯელობს, პრაქტიკული შედეგი ნეიტრალიტეტისა და საყოველთაო სამართლიანობის საფარქვეშ, ქრისტიანებისთვის სასარგებლო იყო. განსაკუთრებით დამამწუხრებელი იყო მოსამართლე სტივენსის აზრები, რომლესაც ბევრი დაეთანხმა. მისი მოსაზრების მიხედვით, ებრაელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება რაბებს გახსნიდა ისეთი უმცირესობებისთვის, როგორებიც არიან სიქები და რასტაფარიანელები. ამ ვიწრო სამრევლო შეხედულების ნაცვლად, როგორც მოსამართლე ბრენანი მსჯელობს, შესაძლებელი იქნებოდა კიპას ტარება სამხედრო ფორმასთან ერთად, როგორც „სიტყვიერი შეხსენება, რომ ამერიკელი სამხედროების საერთო და ამაყი იდენტურობა მოიცავს და აერთიანებს რელიგიურ და ეთნიკურ პლურალიზმს“. კიდევ უფრო შემამოთხევებელია ამერიკის უზენაესი სასამართლოს რეაქცია კონგრესის მცდელობისადმი, რომ მიანიჭოს კანონის ძალა რელიგიურ უმცირესობებთან შეგუების მოვალეობას. 1993 წლის კანონით რელიგიური თავისუფლების აღდგენის შესახებ, ზოგადი გამოყენების წესით, მთავრობას აეკრძალა, ადამიანის რელიგიის აღმსარებლობისთვის ხელის შეშლა, თუ მთავრობა ვერ შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ მისი ინტერესების გამყარებისთვის სასჯელი ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალებაა. უზენაესმა სასამართლომ კანონი გააუქმა იმ საფუძველით, რომ მან გადააჭარბა კონგრესის ძალაუფლებას.⁶⁸

ეს ნიშნები საერთაშორისო დონეზე განმეორდა. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაასკვნა, რომ სულ მცირე ერთ შემთხვევაში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

⁶⁷ გოლდმენი ვეინბერგერის წინააღმდეგ (1986).

⁶⁸ ქალაქი ბერნი ფლორესის წინააღმდეგ 117 აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული 2157.

საერთაშორისო პაქტის (სპუშპ) 26-ე მუხლში თანასწორობის გარანტია არ ვრცელდება კანონზე, რომელიც გამოიყენება ერთნაირად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რეალურად დისკრიმინაციული შედეგები.⁶⁹ საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ უფრო შორს მიდის, ვინაიდან მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან „სპეციალური და კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარკვეული რასობრივი ჯგუფების ან მათში შემავალი ინდივიდუალური პირების, ადეკვატური განვითარება და დაცვა“. თუმცა, ასევე აღნიშნულია, რომ „ეს ზომები არ უნდა მიიღებოდეს, როგორც სხვადასხვა რასობრივი ჯგუფისთვის უთანასწორო და გამიჯნული უფლებების შენარჩუნების შედეგი მას შემდეგ, რაც მიიღწევა ის მიზნები, რომლისთვისაც ისინი მიიღეს.“⁷⁰ გადანცდა, რომ ამ პირობის მიხედვით, მხოლოდ ფორმალური თანასწორობის დარღვევასთან ბრძოლის ზომების მიღებაა საჭირო.⁷¹

(iii) როდის მოეთხოვება სახელმწიფოს თანასწორობის ინტერესების დასაცავად უმცირესობათა მოთხოვნების უარყოფა?

აღბათ, მოვლენათა განვითარების ყველაზე რთული შემთხვევა არის უმცირესობათა და სხვა ისეთ ინტერესებს შორის კონფლიქტი, როგორიცაა ჯანდაცვა, უსაფრთხოება ან გენდერული თანასწორობა. ეს განსაკუთრებით რთულია, ვინაიდან ხშირად ხდება სხვადასხვა მოთხოვნის ურთიერთშეჯახება. ეს ისეთივე ჭეშმარიტებას წარმოადგენს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებისთვის, როგორც სქესობრივი დისკრიმინაციისთვის. ამგვარად, მართალია, ჩანს, რომ ისეთი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, როგორიცაა პეიოტი, ჰაშიში ან კანაფი ქვეყნის ყველა მოქალაქის საყოველთაო კეთილდღეობისთვის აიკრძალა, არის მოსაზრება, რომ ეს ნარკოტიკები საკმაოდ საშიშია საიმისოდ, რომ აკრძალვა გამართლდეს, შესაძლოა

⁶⁹ ფიფისი (ნიდერლანდების მოქალაქე) ნიდერლანდების წინააღმდეგ საძიებო ნომერი N 212/1986 (1988) ეი/43/40 244-ზე. იხილეთ კელერი, „ევროპაში ეთნიკური და კულტურული უფლებების გადახედვა“, 18 ოქსფორდის ურნალი იურიდიულ კვლევებზე, 55-ზე.

⁷⁰ მუხლი 2(2).

ირეკლავდეს დომინანტი კულტურის შეხედულებას. მაგალითად, უმცირესობათა კულტურებს შეეძლო, ალკოჰოლი, ისე საშიშად მიეჩნია, რომ საკუთარ ფარგლებში მისი სრული აკრძალვა გაემართლებინა, მაშინ როცა პეიოტს და ჰაშიშს რელიგიური, სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის აქვს. ანალოგიურად, სანამ დასავლეთელი ქალებისთვის მუსულმანური თავშლის ტარება დისკრიმინაციული და შემაჯიწროვებელი ჩვეულებაა, მუსულმანი ქალებისათვის თავშალი მათი ინდივიდუალობისა და თავისუფლებისთვის მნიშვნელოვანია. სხვა მოსაზრებით, შესაძლოა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას საფრთხეს თავად მორწმუნე პირი უქმნიდეს. შესაბამისად, სახელმწიფომ ადამიანს უნდა მისცეს რელიგიასა და უსაფრთხოებას შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება. ამის მაგალითია სიქების მიერ დამცავი ჩაფხუტის ტარება მოტოციკლის მართვისას ან მშენებლობისას. მეორეს მხრივ, არსებობს შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი წესის შეზღუდვა და აკრძალვა, მიუხედავად კულტურისათვის მისი დიდი მნიშვნელობისა, შესაძლოა კანონიერად გამართლდეს. ამ კატეგორიაში შედის ქალთა წინდაცვეთა. უფრო მეტიც, ხშირად, უმცირესობათა კულტურის დახასიათებას, როგორც სექსისტურს ან არაეგალიტარულს, შეცდომაში შევყავართ. ამით ითვლება, რომ უმცირესობათა კულტურის შიგნით დომინანტმა ქვეჯგუფმა შესაძლოა კანონიერად დაიცვას კულტურის ღირებულება. ასეთი შეხედულებები შეიძლება სადავო იყოს ჯგუფში: ქალებმა ჯგუფში შესაძლოა გამოთქვან თავიანთი აზრი. მათ მოსმენის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც სხვებს.

ყველა ეს საკითხი სასამართლოებში განიხილეს, თუმცა, არასაკმარისი გულისხმიერებით. სასამართლო საქმეში *დასაქმების განყოფილება სმიტის წინააღმდეგ*,⁷¹ შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს უნდა ეპასუხა კითხვისთვის, პეიოტის გამოყენების სისხლისსამართლებრივი აკრძალვა არღვევდა თუ არა *მშობლიური ამერიკული ეკლესიის* წევრების რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის უფლებას, რამდენადაც მან არ დაუშვა გამონაკლისი წამლის რელიგიური მიზნით გამოყენებისთვის.

⁷¹ კელერი *გემოთ ნახსენები* N69, 54–8ე.

⁷² 894 აშშ 872.

მოსამართლე სკალიამ უმრავლესობის სასარგებლოდ აღიარა, რომ მთავრობის შესაძლებლობა, დაანესოს საზოგადოებრივ მავნე ქცევაზე ზოგადი აკრძალვები, არ უნდა დაექვემდებაროს ინდივიდუალურ რელიგიურ წინააღმდეგობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ წინააღმდეგობას შესაძლოა აჯობოს დაცულმა სახელმწიფო ინტერესმა. უფრო გამჭრიახი იყო მოსამართლე ო'კონორის განაჩენი. მან სცნო მწვავე დილემის არსებობა, რომლის წინაშეც *მშობლიური ამერიკელი ეკლესიის* წევრები აღმოჩნდნენ. მათ არჩევანი უნდა გაეკეთებინათ რელიგიური რიტუალის განხორციელებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან აცილებას შორის. ამავე დროს, მან აღიარა კანონიერი სახელმწიფო ინტერესი ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და ზოგადი კეთილდღეობის ხელშესაწყობად. ორი ინტერესის დაბალანსებისას, რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობაში პოტენციური ჩარევის ფარგლები ნიშნავდა, რომ ის უმკაცრესი შემოწმება იყო რელევანტური, რომლის მიხედვითაც წესი იქნებოდა ძალადაკარგული, თუ ის არ ემსახურებოდა მტკიცე სახელმწიფო ინტერესს და ამ ინტერესზე არ იყო მორგებული. მაშინ, როცა ტესტი შესაბამისია, მისი გამოყენება უკვე დიდად არის დამოკიდებული სამართლებრივ აღქმაზე. ეს კარგად გამოჩნდა მოსამართლე ო'კონორის მიერ მკაცრი შემოწმების ტესტის გამოყენებისას. მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანმა ინტერესმა მის მომხმარებელს ზიანი უნდა აარიდოს თავიდან. ზიანი მომხმარებელს მისი მოტივაციის მიუხედავად მიაღება – საყოველთაო გამოყენება მნიშვნელოვანია მისი ეფექტურობისთვის. ამგვარად, მან განაცხადა, რომ აკრძალვამ მკაცრი შემოწმების ტესტი გაიარა, მაგრამ ყველა ამ მიზეზს შემოწმება სჭირდება. მომხმარებლის „ზიანი“ შეიძლება განისაზღვროს როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით. არ არის აუცილებელი შეუსაბამო მოტივაციის არსებობა – მაგალითად, ეკლესიაში ალკოჰოლური სასმელების რიტუალური გამოყენება. არც ისაა აუცილებლად ჭეშმარიტი, რომ საყოველთაო გამოყენება მისი ეფექტურობისთვის გადამწყვეტია. ფაქტობრივად, რამდენიმე სხვა სახელმწიფომ პეიოტის რელიგიური დანიშნულებით გამოყენებისთვის გამონაკლისი დაუშვა და ეს მთლიანობაში ამ წესის ეფექტურობის შემასუსტებლად არ გველინება.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებიც მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან მოტოციკლის მართვისას და მშენებლობისას დამცავი ჩაფხუტის გამოყენების მოთხოვნა ეწინააღმდეგება სიქებისთვის ჩალმის ტარების ვალდებულებას. ბრიტანეთში, სიქების პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ რეგულაციების გამო ისინი სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადიოდნენ, ვინაიდან მოტოციკლს ჩაფხუტის გარეშე მართავდნენ, სასამართლოებმა მცირედი ყურადღება დაუთმეს. მთავარი მოსამართლე ლორდ ვიდგერი მსჯელობს:

არავინ არაა ვალდებული მართოს მოტოციკლი...რეგულაციების შედეგები სიქების საზოგადოებაზე ზემოქმედებს, რადგან ის გულისხმობს, რომ ისინი ხშირად ვერ შეძლებენ მოტოციკლის მართვას არა ინგლისის კანონის, არამედ, მათი რელიგიის მოთხოვნების გამო.⁷³

თუმცა, როგორც პულტერი აღნიშნავს, სიქების მიერ მოტოციკლის მართვას კონკრეტულად რწმენა არ უშლიდა ხელს, არამედ, ინგლისის კანონმდებლობის დებულებები.⁷⁴ მიუხედავად ამისა, მსგავსი პასუხი ჰქონდა პრობლემის მოსაგვარებლად ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ჩალმიანი სიქების რელიგიის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გამართლებული იყო.⁷⁵ ასეთივე რეაქცია ჰქონდა კანადის უზენაეს სასამართლოს⁷⁶ და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს.⁷⁷ ამ უკანასკნელმა პირველის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა, კერძოდ, იმას, რომ ჩალმიანი სიქების დათხოვნა, ვინაიდან ისინი უარს აცხადებდნენ „დამცავი ჩაფხუტის“ ტარებაზე ტერიტორიაზე, სადაც ის აუცილებელი იყო, გამართლებულია, როგორც ობიექტური მიზნებისკენ მიზანშეწონილად მიმართული, რომელიც შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს. გაერთიანებული სამეფოსთვის, გამოსავალი იყო

⁷³ გვირგვინი ეილესბერის სამეფო სასამართლოს წინააღმდეგ ჩაპალის გარეშე [1976] საგზაო მოძრაობის ანგარიშები 489.

⁷⁴ ს. პულტერი, *ეროვნება, კანონი და ადამიანის უფლებები* (1998), 293–ზე.

⁷⁵ X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1978) 14 დეკემბერი და ანგარიში 234, 235-ზე.

⁷⁶ ბინდერი და კანადის რკინიგზის სახელმწიფო კომპანია (1986) 23 დომინიონი სამართლის ანგარიშები (დსა) (მე-4 სერია) 481.

კანონმდებლობა და არა სასამართლო. ძლიერმა პოლიტიკურმა მხარდაჭერამ, საბოლოოდ, ჩაფხუტის ტარების ვალდებულებისგან კანონიერად გაათავისუფლა თავსაბურავიანი სიქები.⁷⁸ ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ გათავისუფლება გარანტირებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ღირებულების ვალდებულება არ დაეკისრათ სიქ მოტიცოკლისტებს: ქვეყნის მასშტაბით დაფუძნებული სამედიცინო სერვისი დაფარავდა დაუცველ მდგომარეობაში მოტოციკლის მართვის შედეგად დამღვარი ზიანისთვის მკურნალობის ხარჯებს. ასევე უარყვეს არგუმენტი, რომ ამგვარი ცალკეული გათავისუფლებით ირღვეოდა კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი. ასეთივე რამ მოხდა მწვავე საპარლამენტო დებატების შემდეგაც. თავდაბურული სიქები გათავისუფლდნენ მშენებლობაზე დამცავი ჩაფხუტის ტარების ვალდებულებისგან. თუმცა, უბედური შემთხვევისას სასამართლოში კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ძალიან შემცირდა, რამდენადაც, სიქი მუშები, რომლებიც თავსაბურავს ატარებდნენ, ნებაყოფლობით რისკავდნენ.⁷⁹ თუმცა, რა თქმა უნდა, მკურნალობას უზრუნველყოფდა ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახური (ჯსს) სახელმწიფო სახსრებით.

ნაკლებად თანაგრძნობის გამოხატველი იყო რეაქცია ისეთ გარემოებებში, სადაც ზიანი, სავარაუდოდ, მიადგებოდა არა სიქს, არამედ სხვას. ამგვარად, სასამართლო დაეთანხმა მოსაზრებას, რომ შოკოლადის ქარხნის მიერ სიქების სამსახურში დაქირავებაზე უარის თქმა გამართლებული იყო, ვინაიდან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად წვერის ტარება აკრძალულია. ამ სასამართლო პრეცედენტებში ნაკლებად შეამოწმეს აუცილებელი იყო „უწვეროების არსებობის“ პრინციპი, თუ არსებობდა სხვა ალტერნატივებიც. ყურადღება არ მიაქცევს ფაქტს, რომ კანონი არ ამოქმედდა შვიდიდან ექვსი მეპატრონის ქარხანაში, არც იმის

⁷⁷ ბინდერი კანადის წინააღმდეგ საძიებო N 208/1986; ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიში (1990) II, 50.

⁷⁸ 1976 წლის კანონი მოტოციკლის საავარიო ჩაფხუტის შესახებ (რელიგიის საფუძველზე გათავისუფლება). იხილეთ 1988 წლის კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ, ნაწილი 16 (2); მოტოციკლის ტარების (დამცავი ჩაფხუტები) წესები დელეგირებული კანონმდებლობის აქტი N 1279 1980წ., ცვლილებები შევიდა დელეგირებული კანონმდებლობის აქტით N374 1981წ. რეგულაცია 4(2) (დასაწყისი).

⁷⁹ იხილეთ პულტერი, *გემოთ ნახსენები* N74, 3218გ.

შესაძლებლობას, რომ წვერის ტარებიდან მომდინარე საფრთხის არიდება შესაძლებელი იყო წვერზე ასათარებელი ბადის საშუალებით.⁸⁰ ცოტა ხნის წინ ბრიტანეთში, დასაბუთების სტანდარტი დანინაურდა და შესაძლებელია ამ საკითხებს უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს მომავალ სასამართლო საქმეებში.⁸¹

გენდერულ თანასწორობასა და უმცირესობების უფლებებს შორის კონფლიქტი კიდევ უფრო მწვავეა. შეწყობა და პატივისცემა უმცირესობებისთვის გენდერული უთანასწორობის ტოლერანტობასაც მოითხოვს? ზემოთ უკვე ვიმსჯელე, რომ არასწორია ჯგუფის ჰომოგენურად მიჩნევა. არ უნდა უგულებელვყოთ გჯუფში დომინანტობისა და დაქვემდებარების შიდა სტრუქტურები. გენდერულ უთანასწორობას შეიძლება მოწმობდეს თავად ჯგუფში დომინანტ მამაკაცთა ქვეჯგუფების არსებობა. ამან შეიძლება კარგად შენიღბოს იმავე ჯგუფში არსებული ქალთა ასეთივე ოპოზიცია. უმცირესობათა დამოუკიდებლობისათვის მათი უფლებების დაცვით, თავად ამ ჯგუფში დომინანტური სტრუქტურები ძლიერდება. კიმლიკა შეეცადა ამ პრობლემების მოგვარებას გარედან დაცვისა და შიდა შეზღუდვების ერთმანეთისგან განსხვავებით. ის ასაბუთებს, რომ ლიბერალური შეხედულება მოითხოვს „თავისუფლებას უმცირესობის ჯგუფში და თანასწორობას უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის“.⁸² კულტურული წევრობის დაცვის მიზეზი არის ის, რომ ასეთი წევრობა ადამიანს საშუალებას აძლევს გათვითცნობიერებულად აირჩიოს, თუ როგორ წარმართოს თავისი ცხოვრება. ამგვარად, უმცირესობათა ჯგუფის წევრების ძირითადი თავისუფლება და, ალბათ, მათი საზოგადოების ტრადიციული პრაქტიკის გადახედვა, ჯგუფში არსებული ძლიერი ორგანოების მიერ დანესებული შეზღუდვებისგან უნდა დაიცვას უფრო ფართო საზოგადოებამ. გენდერული უთანასწორობა ქალებს თავიანთ კულტურაში თანაბარი მონაწილეობის უფლებას ართმევს და ეს ის სფეროა, რომელშიც სახელმწიფო უნდა ჩაერიოს.

⁸⁰ სინგი შპს როუნთორის მეკინტოშის წინააღმდეგ [1979] სამრეწველო შემთხვევების ანგარიშები (სშა) 554; პანეზარი შპს ნესტლეს კომპანიის წინააღმდეგ [1980] სამრეწველო შემთხვევების ანგარიშები (სშა) 144 სიეი.

⁸¹ იხილეთ პულტერი, ზემოთ ნახსენები N74, 312–13–ზე.

⁸² ვ. კიმლიკა, მულტიკულტურული მოქალაქეობა (1995), 152–ზე.

სასამართლოები ამგვარი კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდა ისეთ საქმეებში, რომლებიც შეეხებოდა მკვიდრი ამერიკელების ან ინდიელების ტომის წეს-ჩვეულებას, რომელიც არ აღიარებდა ტომის წევრი ქალების გათხოვებას ტომს გარეთ და მათი ბავშვების ძირითად უფლებებს მაშინ, როცა ითვალისწინებდა დაქორწინებული მამაკაცების ასეთივე უფლებებს. ფაქტი, რომ დავის ინიციატორები თავად დაზარალებული ქალები იყვნენ, გვიჩვენებს, რომ შიდა იერარქია სადავო იყო. თუმცა, სასამართლოები კანადასა და შეერთებულ შტატებში ინდიელთა ტომების ავტონომიის დაცვას უფრო შეეცადნენ, ვიდრე ქალებისთვის თანასწორობის მიღწევას. ამგვარად, სასამართლო საქმეში *სანტა კლარა პუებლო მარტინეზის წინააღმდეგ*,⁸³ შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა ძალადაკარგულად გამოეცხადებინა ინდიელთა ტომის წეს-ჩვეულება, რომელიც არ აღიარებდა ტომის გარეთ დაქორწინებული ქალების შვილების ტომის წევრობას მაშინ, როცა ტომის წევრად იღებდა ბავშვებს, რომელთა მამებმაც იგივე გააკეთეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ კონგრესი დაეთმო ტომობრივი დამოუკიდებლობის მიზანს და დავის გადანაცვება დამოკიდებული იყო ტომის სასამართლოებზე. ეს ეწინააღმდეგებოდა მოსამართლე უაიტის აზრს. მას მიაჩნდა, რომ ინდიელთა სამოქალაქო უფლებების შესახებ კანონის მიზანი იყო უზრუნველყო ამერიკელი ინდიელებისთვის ფართო კონსტიტუციური უფლებების ისეთივე ხელმისაწვდომობა, როგორც სხვა ამერიკელებისთვის. მსგავსად, კანადის უზენაესმა სასამართლომ უარყო, რომ კანადის ბილი უფლებების შესახებ აუქმებდა ინდიელთა 1970 წლის კანონის დებულებას, რომელიც კრძალავდა არა ინდიელებზე დაქორწინებულ ქალთა რეგისტრაციას ინდიელებად.⁸⁴ თუმცა, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტი უფრო მეტად მგრძნობიარე იყო იმ მოსაზრებაზე, რომ ქალთა უფლებები, ისარგებლონ თავიანთი კულტურით, ისეთივე ქმედითი და ღირებულია, როგორც მამაკაცთა. სასამართლო საქმეში *სანდრა ლავლეისი*

⁸³ 436 აშშ 49.

⁸⁴ *კანადის გენერალური პროკურორი ლეველეს წინააღმდეგ* (1974) 38 დსა მე-3 481.

კანადის წინააღმდეგ,⁸⁵ მელესიიტელ ინდიელ ქალს, როგორც ინდიელს, ჩამოერთვა თავისი უფლებები და სტატუსი არაინდიელზე დაქორწინების გამო. კანადის შესაბამისი წესდებით, არა ინდიელ ქალზე დაქორწინებული ინდიელი კაცი არ კარგავდა თავის სტატუსს. აღსანიშნავია, რომ კომიტეტმა გადანყვიტა სარჩელის განხილვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც „უმცირესობებს არ უნდა ჩამოერთვათ უფლება, საზოგადოებაში სხვა ჯგუფის წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ საკუთარი რელიგია ან გამოიყენონ თავიანთი ენა“. ნაცვლად იმისა, რომ სქესის საფუძველზე არადისკრიმინაციის უფლება, დაეპირისპირებინა უმცირესობათა კულტურის ცნობისა და მისით სარგებლობის უფლებისათვის, კომიტეტმა მიიჩნია, რომ დისკრიმინაციის შესახებ კანონი მას ართმევდა თავის კულტურაში მონაწილეობის უფლებას. ამგვარად, მისთვის ინდიელების მიწაზე ცხოვრების უფლების შეზღუდვა უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ გონივრული და გასამართლებელი, არამედ, ამავე დროს, არადისკრიმინაციის დებულებების შესაბამისი.

თუმცა, ყოველთვის არ ხდება ისე, რომ გენდერული თანასწორობის დომინანტური შეხედულება, ჯგუფის წევრმა ქალებმა გაიზიარონ. ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ ქალთა უფლებების აშკარა მხარდაჭერა, ფაქტიურად, გულიხმობს დომინანტი ჯგუფის ღირებულებების დამკვიდრებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სადავო საკითხია მუსულმანი გოგონებისა და ქალების მიერ თავშლის ტარება. თუ, ზოგიერთი მოსაზრებით, თავშალი ქალების ჩაგვრის სიმბოლოა, ზოგიერთისთვის, განსაკუთრებით კი მუსულმანი ქალებისთვის, თავშალი მათი ღირსების განუყოფელი ნაწილია. მას იგივე რელიგიური მნიშვნელობა აქვს, როგორიც კიპას ებრაელებისთვის და თავსაბურავს სიქებისთვის. და მაინც, ევროპის ქვეყნები სასტიკად ეწინააღმდეგება თავშლის ტარებას, ათავისუფლებს ქალ მასწავლებლებს და გოგონებს სკოლებიდან რიცხავს. ეს კონფლიქტი საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი საფრანგეთსა და თურქეთში. ორივე მათგანი მოითხოვს სეკულარულ პრინციპს, როგორც მათი კონსტიტუციური მოწყობის განუყოფელ ნაწილს.

⁸⁵ საძიებო N 24/1977 (30 ივლისი 1981) გაერთიანებული ერები (გაერო) დოკუმენტი სისიფიარ/სი/ოუფი/1 83-ზე (1984).

ფრანგული პრინციპი *laïcité* ან სეკულარობა გამოყენებულია თანასწორობის ცნებისთვის სადავოდ. იგი ხაზს უსვამს ინდივიდუალობას და უგულებელყოფს ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ განსხვავებებს, გარდა პირადი ცხოვრების სფეროსა. ინდივიდუალობის და ერთიანობის ამ ცნებამ საფრანგეთი მიიყვანა იქამდე, რომ დაეცვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი კულტურით სარგებლობის, რწმენის გამოხატვისა და განხორციელების და საკუთარი ენის გამოყენების უფლებას. მართლაც, მან დაიცვა თავისი პოზიცია იმის აღიარებით, რომ საფრანგეთი იყო „ქვეყანა, სადაც არ არიან უმცირესობები“.⁸⁶ ამ პრინციპის აქტიური განხორციელებისას, მუსულმანი სკოლის მოსწავლე გოგონები საშუალო სკოლიდან გარიცხეს. თუმცა, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს შექმნილი ელიტარებინა, რომ ძალდაუტანებლობა სეკულარიზმის პრინციპთან ერთად, ფაქტიურად, მხარს უჭერდა უმრავლესობის კულტურას. აქედან გამომდინარეობს, რომ *laïcité*-ს პრინციპი შეესაბამებოდა რელიგიური შეხედულებების გამოხატვის უფლებას, რამდენადაც გამოხატვა პლურალიზმს და სხვების თავისუფლებას სცემდა პატივს. ამასთანავე, მან აღიარა, რომ რელიგიის უფლება, შესაძლოა შეიზღუდოს იმ საგანმანათლებლო პრინციპებით, რომლებიც შეიცავს ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის გარანტიებს. თუმცა, ამ შეზღუდვებმა სავსებით ბუნდოვანი დატოვა მდგომარეობა, რათა გაგრძელებულიყო სკოლიდან გოგონების გარიცხვა და 1995 წლისათვის 150 მათგანი გარიცხეს. სახელმწიფო საბჭომ ამ გარიცხვის გაუქმებისას, უარი თქვა მთავრობის ცირკულარის ბათილად ცნობაზე, რომელიც მხოლოდ მოკრძალებული ნიშნის გამოყენების უფლებას რთავს.⁸⁷

უფრო პრობლემატური აღმოჩნდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (აუეს) გამოხმაურება თურქეთის საერო უნივერსიტეტებში მუსულმანური თავშლის ტარების აკრძალვისადმი. სასამართლო საქმე *კარადუმანი თურქეთის წინააღმდეგ*⁸⁸ აერთიანებს ბევრ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ამ სფეროში ღირებულებათა

⁸⁶ პულტერი, „მუსულმანური თავშალი სკოლაში“, 17 *ოქსფორდის ჟურნალი იურიდიულ კვლევებზე* (1997) 43, 53–89.

⁸⁷ ეს ანგარიში მოცემულია იმავე ადგილიდან.

შორის ურთიერთკონფლიქტთან. განცხადებელს ამ საქმეში არ მისცეს ხარისხის სერთიფიკატი, რადგანაც მან წარადგინა სურათი, სადაც თავშალს ატარებდა, ეს კი ეწინააღმდეგებოდა წესებს, რომელთა მიხედვითაც ის თავდაუბურავი უნდა ყოფილიყო. თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ახლახანს ძალადაკრეფულად გამოაცხადა სამართლებრივი დებულება, რომელიც თავშლის ტარების უფლებას აძლევს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში იმის საფუძველზე, რომ ეს დებულება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციაში გაცხადებულ სეკულარობის პრინციპს. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში სეკულარობის ეს პრინციპი შორსაა ნეიტრალურობისგან, მაგრამ მოიცავს კონკრეტულ ღირებულებებს. თუმცა, განსხვავებით საფრანგეთში არსებული სიტუაციისგან, სადაც მუსულმანები პატარა უმცირესობას წარმოადგენდნენ, თურქეთში ისინი დიდ უმრავლესობად გველინება და უნივერსიტეტი ამტკიცებდა, რომ მისი ჩაცმის რეგულაციები შექმნილი იყო, ფაქტიურად, რათა დაეცვა უმცირესობების ეროვნული კულტურა ფუნდამენტალური რელიგიური მოძრაობების ძლიერი ზეწოლისგან. განსაკუთრებით, როგორც ასაბუთებდნენ, აკრძალვის მიზანი იყო, კონკრეტულად იმ ქალების დაცვა უმრავლესობის ნორმის ზეწოლისგან, რომლებიც არ ატარებენ თავშალს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ არ მიიღო მე-9 მუხლით გათვალისწინებული რელიგიის თავისუფლების უფლების დარღვევაზე განმცხადებლის პრეტენზია. უნივერსიტეტის მიზანი, დაეცვა არცერთი სარწმუნოების მიმდევარი სტუდენტები უმრავლესობის რელიგიის გავლენისგან, მიიჩნიეს აპლიკანტისთვის თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვად. ასეთ უნივერსიტეტში წასვლაზე არჩევანის გაკეთებით, განმცხადებელი უსიტყვოდ ეთანხმებოდა მის კულტურულ ხასიათს. სანამ ამ არგუმენტს დიდი ძალა გააჩნია, საკითხავია, იყო თუ არა პროპორციულობის დოქტრინა შესაბამისი სიზუსტით დაცული. ფოტოკამერისთვის თავშლის ტარებას ვერ ეწინებოდა სხვა სტუდენტებზე კონფორმისტული ზეგავლენა და, მართლაც, კომისიამ აღიარა, რომ სერთიფიკატს მხოლოდ დასაქმების მიზნით იყენებდნენ. უფრო მეტიც, არ არსებობდა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ იგი იძულებული იყო მისი ნების საწინააღმდეგოდ დაეცვა

⁸⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, N 1627/90 74 დიარ 93 (1993).

ჩაცმის წესები სასწავლო კურსის განმავლობაში. ამგვარად, საკამათოა, როცა თურქეთის სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის მიზნები კანონიერი იყო, გატარებული ღონისძიებები არაპროპორციულად მძიმე რატომ აღმოჩნდა.

(iv) შეუძლია ადამიანის უფლებების აღიარებას თანასწორობის მდიდარი ცნების წარმოქმნა?

დავინახეთ, რომ ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ შიდასახელმწიფოებრივ თუ საერთაშორისო დოკუმენტებში, თანასწორობის გარანტიების უმეტესობა განიმარტებოდა, როგორც ფორმალური თანასწორობის გამავრცელებელი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებით ყოყმანობდა უფლებების გაფართოებაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიტიურ მოვალეობებში.⁸⁹ იმედგასაცრუებელია ის, რომ ახალი ოქმი 12, რომელიც განავრცობს მე-14 მუხლს ცალკე მდგომ თანასწორობის უფლებამდე, ისე არ განახლებულა, რომ პოზიტიური ქმედების შესაძლებლობა გაეჩინა. პირიქით, განმარტებითი ხასიათის შენიშვნები მიუთითებს, რომ „ასეთი პროგრამული ვალდებულებები დააზიანებდა კონვენციის მთლიან ბუნებასა და მისი კონტროლის სისტემას, დაფუძნებულს ინდივიდუალური უფლებების კოლექტიურ გარანტიაზე, რომელიც ფორმულირებულია მისი საკმარისად გამართლებულობის თვალსაზრისით“. თუმცა, შიდასახელმწიფოებრივ კონსტიტუციებსა და საერთაშორისო სამართალში არსებობს დებულებები, რომლებსაც გააჩნია პოტენციური განავითაროს არა მხოლოდ ირიბი დისკრიმინაციის ცნება, არამედ, პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის მოვალეობაც. კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 2(2) მუხლში მოითხოვს, რომ მონაწილე ქვეყნებმა უნდა მიიღოს „სპეციალური და კონკრეტული ზომები, რათა დარწმუნდეს, რომ ევალება კონკრეტული რასობრივი ჯგუფების ან ინდივიდუალური პირების შესაბამისი განვითარება და დაცვა“. თუმცა, სპეციალური უფლებები არ უნდა მიენიჭოს მას შემდეგ, რაც ამოცანას

⁸⁹ ბელგიის ლინგვისტური საქმე [1968] 1 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 252.

შეასრულებს, ვინაიდან მუხლი წარსული დისკრიმინაციის გამოსწორების გარდა არაფერს მოითხოვს.⁹⁰ გარდა ამისა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობების წევრებს „საზოგადოებაში მათი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, თავიანთი კულტურით სარგებლობის, რელიგიის აღიარებისა და აღმსარებლობის და საკუთარი ენის გამოყენების უფლებას აძლევს“. გაეროს ახალი პოლიტიკის დოკუმენტები ადასტურებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებს პოზიტიური ღონისძიებების გატარების სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება იმაში დასარწმუნებლად, რომ უმცირესობათა ჯგუფები სრულყოფილი და ეფექტური თანასწორობით სარგებლობს.⁹¹

უფრო ორიენტირებული იყო ეროვნული უმცირესობების დაცვის სტრუქტურული კონვენცია, რომელიც ხელმოწერისთვის მზად იყო 1995 წლის 1 თებერვალს. ის მოქმედებს 29 ქვეყანაში და ხელი მოაწერა კიდევ 9 ქვეყანამ. კონვენცია ღიად განიხილავს რამდენიმე რთულად გადასაწყვეტ საკითხს, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. დასაწყისისთვის, იგი ცდილობდა ეთნიკური და რელიგიური თვითმყოფადობის ინდივიდუალური და ჯგუფური განზომილების დანახვას. შესაბამისად, კონვენციაში დაცული უფლებები, შესაძლოა საზოგადოებაში გამოიყენონ, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვასთან ერთად. არჩევანი შენარჩუნებულია ინდივიდუალური პირებისთვის. ისინი უფლებამოსილნი არიან, აირჩიონ მოეპყრან თუ არა მათ, როგორც ეროვნული უმცირესობის წევრს.⁹² მისი თანასწორობის პრინციპი პოტენციურად მდიდარია, მოიცავს მრავალფეროვან გარემოში თანასწორობის შესაძლებლობას და პოზიტიური ზომების მიღების ვალდებულებას. ამგვარად, მუხლი 4 შეიცავს რა კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობის ძირითად პრინციპსა და შესაბამის მოპყრობას, ხელისმომწერ მხარეებს ავალდებულებს „რომ გადაწყვიტოს სად გაატაროს საჭირო და ადეკვატური ღონისძიებები... სრული და

⁹⁰ კელერი, *ზემოთ ნახსენები* N 69, 54–ზე.

⁹¹ დეკლარაცია ადამიანების ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების კუთვნილების უფლებებზე, 32 *საერთაშორისო სამართლებრივი მასალები* (1993), 911–ზე; ზოგადი კომენტარი N 23 (50) (მუხლი 27, 15 სამართლის ჟურნალი ადამიანის უფლებების შესახებ(1994)). იხილეთ ზოგადად კელერი, *ზემოთ ნახსენები* N 69, 55–ზე.

ეფექტური თანასწორობა ადამიანებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობასა და უმრავლესობას”. ასეთი ზომები უნდა ვრცელდებოდეს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროზე და უნდა გაითვალისწინოს ადამიანთა ეროვნული უმცირესობის კუთვნილების კონკრეტული პირობები. პირდაპირ დადგენილია, რომ ასეთი ზომები არ უნდა განიხილებოდეს დისკრიმინაციულად. მუხლი 5 და მუხლი 6 ამყარებს ამ პოზიციას, მხარეებს სთხოვს საჭირო პირობების არსებობისათვის ხელშეწყობას, რათა ადამიანებმა, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს შეძლონ, თავიანთი კულტურის დაცვა და განვითარება და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების შენარჩუნება. მხარეებს მოეთხოვებათ თავშეკავება ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკისგან, რომლის მიზანია ეროვნული უმცირესობების წევრი ადამიანების მათი სურვილის საწინააღმდეგო ასიმილაცია და ვალდებულნი არიან დაიცვან ეს ადამიანები ყველა იმ ქმედებისგან, რომლის მიზანი ასიმილაციაა. ამასთანავე, მხარეებმა ხელი უნდა შეუწყოს ტოლერანტულ სულისკვეთებასა და ინტერკულტურულ დიალოგს და უნდა მიიღოს ეფექტური ზომები ორმხრივი პატივიცემისა და ურთიერთგაგების დასაწინაურებლად.

თუმცა, როგორც ახლახანს დამტკიცდა, დოკუმენტის „მნიშვნელოვან პოტენციალს” მთავარი საყრდენის არ არსებობის გამო ძირი გამოეთხარა.⁹³ პირველი, კანონპროექტის ავტორებმა ამჯობინეს არ განესაზღვრათ „ეროვნული უმცირესობები”, ვინაიდან, ის შეიცავდა ტრადიციულ და იმიგრანტ უმცირესობებს შორის არსებული თვითნებური დისკრიმინაციის განმტკიცების შესაძლო რისკს, ამ უკანასკნელთა საზიანოდ.⁹⁴ მეორე, პოზიტიური მოვალეობების შინაარსი და მიზნები არაა დაკონკრეტებული. ზემოთ დავინახეთ, რომ პოზიტიური მოვალეობების შემოღება საკმარისი არაა: მიზნებს მკაფიო ფორმულირება სჭირდება, ხოლო მოვალეობის შინაარსი უნდა განისაზღვროს მისივე ეფექტურობისთვის. მისი ნამდვილი ზემოქმედება დამოკიდებულია ხელისმომწერი მხარეების კეთილ ნებასა და საბოლოო კონტროლის მექანიზმზე. რადგან, პოზიტიური

⁹² მუხლი 3.

⁹³ კელერი, ზემოთ ნახსენები N 69, 31-ზე.

⁹⁴ იქვე., 43-4-ზე.

მოვალეობები თავიანთი ბუნებით ინდივიდუალური უფლების ცნებას შორდება მართებულია, რომ კონვენცია არ შეიცავდეს ინდივიდუალურად განხორციელებად უფლებას. სანაცვლოდ, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვება ქვეყანაში კონვენციის ამოქმედებიდან ერთი წლის ვადაში და შემდეგ, ყოველ ხუთ წელიწადში, წარადგინოს მოხსენება, რომელიც შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას საკანონმდებლო ორგანოსა და კონვენციის ეფექტურობისთვის განხორციელებულ სხვა ღონისძიებებზე. მოხსენება საჯაროა და მას წარუდგენენ სათათბირო კომიტეტს, რომელიც შედგება ანალიზისა და აზრის გამოსახატავად დამოუკიდებელი ექსპერტებისგან. მონაცემების შეფასებისას, სათათბირო კომიტეტმა შესაძლოა ინფორმაცია სხვა წყაროებიდან უფრო მიიღოს, ვიდრე სახელმწიფო მოხსენებებიდან და შესაძლოა დაეთანხმოს კიდევ ამგვარ ინფორმაციას ან მინისტრთა კომიტეტის თანხმობით, მოაწყოს შეხვედრა სხვა წყაროებიდან ინფორმაციის მისაღებად. აზრის მიღებისას, მინისტრთა კომიტეტი განიხილავს და აღიარებს მის დასკვნებს და ასევე შესაძლებელია, რომ გაითვალისწინოს მონაწილე მხარეებთან დაკავშირებული რჩევები. ესეც საჯაროდ ხორციელდება. ამგვარად, სახელმწიფო მოხსენებები მიღებულ იქნა 15 ქვეყნიდან და სათათბირო კომიტეტი კონვენციის შესრულების თაობაზე უფრო მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით სამჯერ ესტუმრა ქვეყნებს.

მექანიზმი, რომელსაც მნიშვნელოვანი ძალა გააჩნია, მთლიანად დამოკიდებულია მისთვის გამოყოფილი რესურსების დონეზე. სათათბირო კომიტეტი მუშაობას შეუდგა 1998 წელს ადამიანური რესურსების მინიმალური დონით. მალე ნათელი გახდა, რომ მასზე გადანაწილებული ფინანსური და ადამიანური რესურსები არ იყო საკმარისი მოვალეობის შესაბამისად შესასრულებლად, კონვენციის სანდოობისა და ეფექტიანობის მნიშვნელოვანი შედეგით. რესურსების ნაკლებობის გამო, თავდაპირველი მოსაზრებებიც კი გადაიღო. თუმცა, ადეკვატური რესურსების საჭიროებას პრიორიტეტი მიენიჭა, ერთადერთი დაპირება იყო მხოლოდ ის, რომ მინისტრთა კომიტეტი საკითხს 2001 წლის აგვისტოს შეხვედრაზე განიხილავდა.⁹⁵

⁹⁵ ინფორმაცია მოპოვებულია ევროპის საბჭოს ვებ-საიტიდან.

დასკვნა

ამ თავში დავინახეთ, რომ თანასწორობის პრინციპის წინაშე ბევრი რთული გამოწვევაა. თუ თანასწორობა ხელახლა ისე აიგება, რომ ეფექტურად ებრძოდეს რასიზმს, მაშინ ის უნდა გასცდეს ფორმალური თანასწორობის ინდივიდუალისტურ, სიმეტრიულ და დიქტომირებულ ბუნებას. მან განსაკუთრებით სახელმწიფოებს უნდა დაუწესოს პოზიტიური მოვალეობები, რათა მიმართოს სტიგმას, ჩაგვრასა და ზეწოლას იმისთვის, რომ ისინი თანასწორობის კონკრეტულ გამოვლინებებად ჩაითვალოს. თუმცა, საბოლოო შედეგი ისაა, რომ თანასწორობა ხელშეწყობის გარეშე რასიზმს ვერ დაამარცხებს. ძირფესვიანი სოციალური და ინსტიტუციური ცვლილება ეგალიტარული მომავლის საბოლოო გასაღებია. ამის შემდეგ კი თანასწორობას შეუძლია არსებობა, როგორც მიშვნელოვან, იდეალურად მამოძრავებელ ცვლილებას.

თავი 3

რასობრივი დისკრიმინაცია და უმცირესობის კულტურათა უფლებები

დიმიტრინა პეტროვა

რასიზმის უარყოფა რასისტთა დამოკიდებულების, შეხედულებების, გამონათქვამების, მოქმედებების და პოლიტიკის ყველაზე დამახასიათებელი და ფართოდ გავრცელებული თანამედროვე გამოვლინებაა. ამ თავში შესწავლილია რასიზმის უარყოფის რამდენიმე გზა და ასახულია შედეგები. შემდეგ თავში შესწავლილია რასიზმის არსებობის აღიარების შედეგები, რასიზმის მოწონების საშიშროება და რასობრივ დისკრიმინაციასთან სამართლებრივი მიდგომის სასარგებლოება.

I რასისტული კონსენსუსი და მისი შენიღბვა ¹

(i) უარყოფა: რასიზმის ახალი ფენომენოლოგია

ამ თავის დანიშნულებაში ივარაუდება შემდეგი: (1) ყველა საზოგადოება გარკვეულწილად რასისტულია; (2) რასიზმი საყოველთაოდ გავრცელებულია, სულ მცირე დამოკიდებულების დონეზე, თუმცა, სოციალურ ქცევაში რასიზმის არსებობა შესაძლოა სულაც არ იყოს ხილული; (3) კულტურები რასიზმის შენიღბვის სხვადასხვა ხარისხით უარყოფენ მის არსებობას; (4) რასიზმის აღიარება მისი დაძლევის წინაპირობაა (მაგრამ არა გარანტია ან ხიდი).

ცნება რასიზმი აქ გავებულია მისი ფართო მასშტაბისა და მნიშვნელობის პოლისემიის ან სიმრავლის მთლიანობაში. ცნება „რასისტი“ შეიძლება იყოს დამოკიდებულების (ინდივიდუალური პირების ან ჯგუფის მენტალური მდგომარეობა), იდეოლოგიის (მთელი საზოგადოების, კლასების, კულტურების და ასე შემდეგ, სოციალურად ნაგები და პოლიტიკურად ფუნქციონალური იდეების კომპლექტი),

სოციალური პრაქტიკისა და წეს-ჩვეულებების გამოხატვა. მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა რასიზმის საკითხებს ძირითადად სოციალურ პრაქტიკაში მიმართეს. ეს გასაგებია. სანამ რასისტული შეხედულებებისა და დამოკიდებულებების არსებობა შესაძლებელია ადამიანის გონებაში რწმენის, ცნობიერების, მიზნისა და ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხით, ჩვენ შეგვიძლია გარკვეულწილად განვსაზღვროთ და კანონით ავკრძალოთ რასისტული მოქმედებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად უშუალოდ ხელს უწყობს საზოგადოებაში ეთნიკურ და რასობრივ უთანასწორობას.

კრიტიკული რასობრივი თეორია, ახალი სამართლის ფილოსოფია, რომლის დასაწყისიც სათავეს იღებს 1989 წლის სემინარიდან, მედისონში, უისკონსინში, რასიზმს ფართოდ იაზრებს. რასიზმი დაანახულია არა როგორც ინდივიდუალური უსამართლობა და ყოველდღიური პრაქტიკა, არამედ როგორც ფენომენი, რომელიც ენასა და აღქმაში ღრმადაა ფესვგადგმული. რასიზმი თანამედროვე საზოგადოების ფართოდ გავრცელებული და გარდაუვალი მახასიათებელია და მისი საწინააღმდეგო ოფიციალური რიტორიკის მიუხედავად, რასა ყოველთვის არსებობს, თუნდაც ყველაზე ნეიტრალურ და უვნებელ პირობებში. ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „სამართლიანობა“, „სიმართლე“ და „საფუძველი“ ღიაა იმ კითხვებისთვის, რომლებიც ააშკარავენ ძალაუფლებასთან მათ კავშირს. გაუაზრებელი რასიზმის ასეთ განსაკუთრებულ გავრცელებას ხშირად სამართლებრივი სისტემა ყურადღებას არ აქცევს.²

არსებობს დიდი მოცულობის ლიტერატურა რასისტული დამოკიდებულების შეფასებასა და მის კვლევაზე, თეოდორ ადორნოსა და სხვათა კლასიკური კვლევის შემდეგ, *ავტორიტარული პიროვნება* (1950), ადგენს და ზომავს ეთნოცენტრიზმს, ანტისემიტიზმს, ფაშისტურ დამოკიდებულებასა და ანტიდემოკრატიული პროპაგანდისადმი მიდრეკილებას შეერთებულ შტატებში. ამგვარი კვლევა რასიზმის

¹ ამ თავის პირველი ნაწილი ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საბჭოსთვის მომზადებულ ადრეულ ვერსიას.

² ს. ვაგო, *სამართალი და საზოგადოება*, მეექვსე გამოცემა (2000), 68–86.

სოციალურ ფსიქოლოგიაზე დღესაც აქტუალურია და ანტი-რასისტული მოძრაობის მიერ ხელახლა მიბრუნებას იმსახურებს.

ადორნოს გუნდმა ეგრეთ წოდებულ „მაღალ-ქელიანებში“ დაადგინა „ანტიუტოპიური სინდრომის“ არსებობა. ფიზიკური პირები, რომლებმაც სხვადასხვა შკალაზე მაღალი ქულები მიიღეს, აყალიბებენ მეტ-ნაკლებად სტაბილური პიროვნების სტრუქტურას, რაც ადამიანს ანტიდემოკრატიული პროპაგანდისადმი მგრძნობიარეს ხდის. კვლევის კითხვარებისა და გასაუბრების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ პირების აზრით, არასდროს იარსებებს და არც უნდა იარსებოს უტოპიამ: „ადამიანები უნდა იყვნენ რეალისტურები“. თუმცა, მათ შემთხვევაში, „რეალიზმი“ არ არის ნაგულისხმევი, როგორც გასამართლებისა და გადანაცვებისათვის არსებული საჭიროება ობიექტური და რეალური თვითშეფასების საფუძველზე. ის უფრო ნაგულისხმევაა იმ გაგებით, რომ არ ხდება პიროვნებასა და მის განზრახვებზე არსებული წყობის უზარმაზარი ძალის სათანადოდ შეფასება.

„ავტორიტარული პიროვნების“ ანტიპოდი, ეგრეთ წოდებული „დაბალ-ქელიანები“, ასევე ჩვეულებრივ გვიჩვენებენ ანტიუტოპიურ აზროვნებას, მაგრამ სრულიად განსხვავებული გზით. თუ „მაღალ-ქელიანები“ ოფიციალურად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, რასაც თან ახლავს ადამიანის ბუნების უპატივცემულობის ღრმა მოტივები და ძირითადი სინქრონიზმი, „დაბალ-ქელიანები“ უფრო ადვილად გამოხატავენ უარყოფით ფაქტებს და ნაკლებად განიცდიან ჩვეულებრივი კლიშეს გავლენას, რომ ყველაფერი „კარგად არის“, მაგრამ ისინი გულის სიღრმეში ამულავნებენ დიდ ნდობას ადამიანის რასის თანდაყოლილი პოტენციალისადმი. თუ „მაღალ-ქელიანებს“ საბოლოოდ არ სურთ უტოპია, „დაბალ-ქელიანები“ სკეპტიკურად არიან განწყობილნი, ვინაიდან მის რეალიზაციას სერიოზულად იღებენ და, შესაბამისად, კრიტიკულნი არიან არსებული წყობისადმი მაშინაც კი, როდესაც ისინი აღიარებენ არსებული პირობების საფრთხეს, რათა გაანადგურონ მხოლოდ ის ადამიანური შესაძლებლობები,

რომლებსაც ისინი ემყარებიან თვითნათი სულის სიღრმეებში.³

შეგვიძლია ისტორიული გაგებით რასიზმზე საუბარი? იყო „რასიზმი“ მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებში? არის რასიზმი თანამედროვე ისტორიის ფენომენი, რომელიც მოგვევლინა ცხოვრების წესის ბიოლოგიური, ევოლუციური, გენეტიკური დახასიათების სწრაფი გაფართოვებით?

აქ დაკვირვება მხოლოდ ერთი საკითხით შემოიფარგლება: მივიღეთ რა რასიზმის ძალიან ფართო განსაზღვრება და ანაქრონიზმის რისკის სრული გააზრება, დღეს ჩვენ შეიძლება ვისარგებლოთ მთელი ისტორიის მანძილზე არსებული რასისტული დამოკიდებულების კვლევით. ძველ საბერძნეთსა და რომში, შეიძლება ითქვას, რასიზმი გამოხატული იყო მონებისა და მეტეკოს (ქალაქში მცხოვრები უცხოელები) მიმართ მოპყრობაში და მიაღწია გამოხატვის უკიდურეს ფორმებს ისეთ ადგილებში, როგორიცაა ბერძნული ერგასტერიონი. ის სპეციალური ციხე იყო, რომელშიც მონებს, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობისგან ეთნიკურად განსხვავებულებს, უმძიმეს სამუშაოს ასრულებინებდნენ. ამ თავში წარმოდგენილი მიდგომის უპირატესობა პოლიტიკურად დასაბუთებულია: მსჯელობის ისტორიულად შექმნილ პირობებს მიღმა, ჯერ კიდევ არსებობს გამოცდილება, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ჩვენთვის.

სტალინისტური და მარქსისტული სახელმძღვანელოების საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებებში, რასიზმი განიხილებოდა რეზიკის ქვეშ : „ბუნება და საზოგადოება“. რასიზმი დაგმეს, როგორც რეაქციული დოქტრინა, რომლის თეორიული ნაკლი „ნატურალიზაციაში“ შედგებოდა სოციალური ფენომენის, პროცესებისა და საკუთრებისგან.⁴ „რასა“ მიიჩნეოდა ბიოლოგიურ ცნებად მაშინ, როდესაც რასობრივ საფუძველზე დისკრიმინაცია დაიგმო. თუმცა, რასობრივი დისკრიმინაცია და რასიზმი კომუნისტური იდეოლოგიის თვალსაზრისით, გამოიყენეს ისეთ შემთხვევებთან

³ თ. უ. ადორნო, ელს ფრანკელ ბრანსვიკი, დენილ ჯ. ლევენსონი და რ. ნევიტ სენფორდი, *ავტორიტარული პიროვნება; უსამართლობის კვლევა* (1950), 695–696–89.

⁴ ურისონი, „რასიზმი“, 4 *ფილოსოფიის ენციკლოპედია* (რუსულად).

მიმართებაში, როგორცაა: შეერთებულ შტატებში შავკანიანთა მიმართ მოპყრობა, აპართეიდი სამხრეთ აფრიკაში და მსგავსი „შავკანიანთა და თეთრკანიანთა“ საკითხები, სადაც არც რასიზმი და არც რასობრივი დისკრიმინაცია არ იყო აღიარებული, როგორც შესაძლებლობა „სოციალისტური საზოგადოების“ კონტექსტში. რასიზმის პოლიტიკური ლოკალიზაცია ეწინააღმდეგებოდა უფრო ზოგად და, რა თქმა უნდა, ბუნებასა და საზოგადოება/კულტურას შორის არსებული ურთიერთობის ბევრად უფრო დახვეწილ მარქსისტულ მიდგომას. მანჰაიმის გაგებით, თეორიული პრეტენზიის უნივერსალობასა და თეორიის შეზღუდულ პოლიტიკურ განხორციელებას შორის დაშორება დამახასიათებელი იყო მარქსისტული იდეოლოგიისთვის, როგორც ნებისმიერი „იდეოლოგიისთვის“.⁵

ამგვარად, პოსტ-კომუნისტური (1989 წლის შემდეგ) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებები არ იყო მზად რასობრივი დისკრიმინაციის უფრო ზოგადი დეფინიციის მისაღებად, რომელიც გვხვდება საერთაშორისო სამართალში, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონვენციაში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (სკრდამ). 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, მთავრობა და რეგიონის პოლიტიკური კლასები იყო და ბევრგან ჯერ კიდევ აღშფოთებულია იმ მოსაზრებით, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ანტიბოშურ რასიზმზე საუბარი შესაძლებელია.⁶ ასევე, სასამართლოებმაც ვერ შეძლო „რასისა“ და „რასობრივი დისკრიმინაციის“ ცნებების ფართო გაგებით გამოყენება, რომელშიც ისინი აგებული რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში. არა-ბოშა პირები 1995 წლის 30 ოქტომბერს

⁵ აქ მითითებაა „იდეოლოგიის“ ინტერპრეტაციის მდიდარ ტრადიციაზე, რომელიც იდეებს წარმოადგენს სოციალური პოზიციების ფუნქციად და ერთ-ერთმა დამფუძნებელმა კარლ მანჰაიმმა, იდეოლოგიის, როგორც „ცრუ ცნობიერების“ მარქსისტული ინტერპრეტაციის ზეგავლენა განიცადა. (იხილეთ, მაგალითად, კ. მანჰაიმი, იდეოლოგია და უტოპია(1954)). მანჰაიმის მიხედვით, იდეოლოგიის ცნება ირეკლავს პირველ აღმოჩენას, რომელიც გაჩნდა თანამედროვე პოლიტიკური კონფლიქტისგან. კერძოდ, მმართველ ჯგუფებს, მათი აზრით, შეუძლიათ მოცემულ სიტუაციაში ისე შეიზღუდოს მათი ინტერესებით, რომ ვეღარ შეძლოს კონკრეტული ფაქტების დანახვა, რაც მათი დომინანტობის შეგრძნებას გამოაღვიძებდა.

⁶ ქვემოთ მოცემულია გავრცელებული ცნობები ბოშების, ევროპის ყველაზე დაჩაგრული ხალხის შესახებ. ეს თავი ბოშებზე მოყვანილ მაგალითებში გვიჩვენებს ავტორის, როგორც ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის დირექტორის (ებუც) გამოცდილებას. ეს ბუდაპეშტში დაფუძნებული საერთაშორისო საჯარო ინტერესების დამცველი ორგანიზაციაა, რომელიც იცავს ბოშათა უფლებებს ევროპის მასშტაბით.

ჩეხეთის რესპუბლიკაში, მატარებელში 4 ბოშას ცემით დაემუქრნენ და მატარებლიდან ჩამოყარეს. ამას შედეგად მოჰყვა ორი ბოროტმოქმედის მიმართ საქმის აღძვრა. სხვა საქმეებს შორის, მათ ბრალი დასდეს რასობრივ ნიადაგზე მოტივირებულ ძალადობაში. 1996 წლის 20 ნოემბერს ჰრადეც-კრალოვეში საოლქო სასამართლომ ბრალდებულები გაამართლა. მისი განმარტებით, ბოშა დაზარალებულნი არ მიეკუთვნებოდნენ განსხვავებულ რასობრივ ჯგუფს და „ეკუთვიან (ეკუთვნიდნენ) იმავე რასას“, რომელსაც ბრალდებული (ეროვნებით ჩეხები). ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო დაეყრდნო რასის ვიწრო, ბიოლოგიურად ფესვგადგმულ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც, ბოშები, ჩეხების მსგავსად, მიეკუთვნებიან „ინდოევროპულ“ რასას. სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელი არ დააკისრა.⁷

შემეცნების თვალსაზრისით, შეიძლება არსებობდეს რასიზმის შეგნებისა და გაცნობიერების სხვადასხვა ხარისხი: სრულიად ცხადი ცნობიერებიდან, ფარულ ვარაუდამდე და მარტოოდენ ცოცხალ გამოცდილებამდე ან ჩვეულებამდე. მაგალითად, ხალხმა შეიძლება ვერ შეძლო ზოგადი რასისტული ან ეთნოცენტრიკული პრინციპების ფორმულირება როგორც ასეთი, მაგრამ მათ იციან, რომ ისინი არ ეთანხმებიან იმიგრაციის ხელშეწყობას ან უმცირესობებისთვის შეღავათიანი სამუშაოს გამოყოფას. რასისტული დამოკიდებულების გაცნობიერების დონეები, შესაძლოა ასევე დამოკიდებული იყოს იმაზე, არის თუ არა ეს დამოკიდებულება დომინანტური იდეოლოგიის ნაწილი. როგორც ტეუნ ანდრიანუს ვან დიჯკი აღნიშნავს:

მაშინ, როცა ოპოზიციური იდეოლოგიები ახსნით ცდილობს იყოს უფრო ზუსტი და გასაგები ჯგუფის წევრებს შორის, დომინანტური იდეოლოგიები ცდილობს იყოს

⁷ 1997 წლის 8 აგვისტოს ჩეხეთის იუსტიციის სამინისტრომ, რომელიც მოქმედებდა საგანგებო პროცედურების ფარგლებში უკანონო სასამართლო გადაწყვეტილებების გადასახედად, შუამდგომლობისთვის მიმართა ჩეხეთის უზენაეს სასამართლოს, რათა გამოეცხადებინა, რომ ორი ბრალდებულის გასასამართლებლად საოლქო სასამართლოს მიერ მოყვანილი მიზეზი არღვევდა ჩეხეთისა და საერთაშორისო სამართლის კანონს. ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრმა უზენაეს სასამართლოს საქმის ვითარება გააცნო. ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრი ამტკიცებდა, რომ საოლქო სასამართლოს „რასის“ ვიწრო ანთროპოლოგიური განმარტება ფესვს ვერ უწყობდა საერთაშორისო სამართალს, რომელმაც დაადასტურა, რომ „რასა“ და „ეროვნება“ ერთიერთდაკავშირებული და ერთმანეთთან თანმხვედრი ცნებებია და ფართო ინტერპრეტაცია სჭირდება. უზენაესმა სასამართლომ 1997 წლის 9 ოქტომბერს საქმე მოისმინა, არ დაეთანხმა საოლქო სასამართლოს აზრს და დაადგინა, რომ საქმე დაბრუნებოდა საოლქო სასამართლოს შემდგომი სამართალწარმოებისთვის.

ნაგულისხმევი და უარყოფილი ან ჯგუფის წევრების მიერ აღიქმებოდა, როგორც „ბუნებრივი“. ასეთი ჯგუფის წევრები შესაძლოა მართლაც ვერ აცნობიერებდნენ მათ იდეოლოგიას (როგორც წესი, ასევეა მამაკაცთა შოვინიზმი, რასიზმი და სხვა), სანამ მას სხვა ჯგუფის წევრები არ დაუპირისპირდებიან.⁸

რასიზმის უარყოფის შემთხვევას ძალიან შეესაბამება ადამიანის უფლებების დარღვევის უარყოფაზე სტენლი კოენის მსჯელობის უმეტესი ნაწილი მის 1995 წლის წიგნში *უარყოფა და აღიარება*. კოენი აანალიზებს უარყოფას იმ გავებით, „თუ როგორ რეაგირებს ხალხი სხვის ტანჯვაზე“.⁹ მისი თქმით, თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები ადამიანის უფლებათა დარღვევით გამოწვეული ტანჯვის შესახებ ინფორმაციაზე, რასიზმის გამოცდილებასა და მის შემთხვევებზე ვრცელდება.

„რასიზმის უარყოფა“ ქვემოთ ნაგულისხმევა შემდეგი გავებით: ა) რასიზმის მსხვერპლთა ტანჯვის უარყოფა; ბ) თავად ადამიანში ან საზოგადოებაში იმ დამოკიდებულების არსებობის უარყოფა, რომელიც ამ ტანჯვას შესაძლებელს ხდის; გ) რასიზმის პრაქტიკისა და ინსტიტუტების არსებობის უარყოფა.

რასიზმის უარყოფა, მეორე მსოფლიო ომის რასიზმის სანქციაზე, როგორც სოციალურად მიუღებელ აზრზე რეაქციაა.¹⁰ რასიზმის არსებობას განსაკუთრებით ძლიერ უარყოფს ის კულტურები, რომლებმაც, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, უფრო მეტი რამ გააკეთა რასიზმისა და მასთან დაკავშირებული არატოლერანტობის შესაზღუდად. უარყოფა წარმოადგენს საზოგადოებაში ადამიანის უფლებების რეალიზებისა და ანტირასისტული დღის წესრიგის განხორციელების გარკვეულ დონეს. რაც უფრო მეტ პროგრესს მიაღწია საზოგადოებამ რასიზმის, როგორც სოციალური და

⁸ ტეუნ ანდრიანუს ვან დიჯკი, *იდეოლოგია: მულტიდისკიპლინარული მიდგომა* (1998), 98-ზე. ვან დიჯკის მიხედვით, იდეოლოგიის ცნება ნეიტრალურია, რაც შეეხება ძალაუფლებისა და დომინანტობის ურთიერთობას და არ შემოიფარგლება იმ მოსაზრებებით, რომლებიც ასახავს სტატუს-ქვოს სტაბილურ და გრძელვადიან ასპექტებს. მანჰაიმის „უტოპია“, რომელიც „იდეოლოგიის“ საწინააღმდეგო მოსაზრებაა, ვან დიჯკის მიხედვით, აგრეთვე არის „იდეოლოგიის“ სახეობა. ვან დიჯკი „კარგი“ და „ცუდი“ იდეოლოგიების ნაცვლად საუბრობს: უკანასკნელი უარყოფს, მაღავს, აკანონებს ან აკვირდება სოციალურ უთანასწორობას და წარმოდგენილია რასიზმით, სექსიზმით და კლასობრივი დომინანტობით.

⁹ ს. კოენი, *უარყოფა და აღიარება: ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის გავლენა* (1995), 1-ზე. უარყოფის კონცეფცია განხილულია მე-2 თავში, 19-58 გვერდებზე.

¹⁰ რასიზმის უარყოფის შესამოწმებლად, იხილეთ ვან დიჯკი, „დისკურსი და რასიზმის უარყოფა“, 3 *დისკურსი და საზოგადოება* (1992) 87.

პოლიტიკური ბოროტების დაგმობაში, მით უფრო ძლიერია მისი არსებობის უარყოფა. ირონიულია, რომ რასიზმის უარყოფა მის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესის შედეგია.

მაგალითად, დასავლეთის დემოკრატიულ საზოგადოებებში, ხალხის უმრავლესობა, რომელიც რასისტულ აზრებს იზიარებს და მის შესაბამისად იქცევა, უარყოფს, რომ ის რასისტია, რადგან რასიზმი ოფიციალურად და კულტურულად დაგმობილია, მაშინ, როცა ტოლერანტობა, რასობრივი თანასწორობა და ადამიანის უფლებები დომინანტური იდეოლოგიური ღირებულებებია. ამგვარად, ახლა რასიზმი იშვიათად არის თვითდახასიათება. სულ უფრო მეტად, დასავლური დემოკრატიული ქვეყნებისა და საერთაშორისო ანტირასისტული მოძრაობის გავლენით, ის ძირითადად ის იარლიყია, რომელიც მიეწერება ჯგუფს ან ინდივიდუალურ პირებს სხვათა მიერ. მართალია არსებობს აშკარად რასისტული ჯგუფები და პარტიები, მაგრამ დღევანდელი „რასისტების“ უმეტესობა, რომლებიც კონკრეტული ეთნიკური წარსულის მქონე ხალხს უპატივცემულოდ და მტრულად ეპყრობა, ამავე დროს წინააღმდეგია, რომ მათ „რასისტები“ ეწოდოთ. ავსტრიის თავისუფლების პარტიის პოპულარობა გაიზარდა 1980-იანი წლების შუა პერიოდში, ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, რის შედეგადაც ქარიზმატული დემაგოგი იერგ ჰაიდერი პარტიის სათავეში მოვიდა და მას თან მოჰყვა გაძლიერებული პოპულისტი, უცხოური ენის წინააღმდეგ ბრძოლა და ავსტრიის თანამონაწილეობის ხელახლა სათანადოდ ვერ შეფასება მესამე რაიხის რასისტულ დანაშაულებში. ამის მიუხედავად, პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების უმრავლესობამ პარტიის რასისტული ხასიათი არ აღიარა.

მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული (როგორც პირდაპირი შედეგი) სულ მცირე დასავლურ კულტურებში, რასისტული უსამართლობა ღრმად ჩაიძირა წინარე შეხედულებების შრეებში და გარდაიქმნა უფრო დახვეწილ ვარაუდებად. თანამედროვე ტიპის რასიზმის უმეტესობა ბიოლოგიას არ გულისხმობს, მაგრამ „კულტურული რასიზმის“ ფორმას იღებს. თუმცა, ეს იარლიყი, მომხრეთა მიერ, რა თქმა უნდა, ასევე უარყოფილია. ამ განვითარების მნიშვნელოვან მაგალითს დინემ დე სუბას ნაშრომი

წარმოადგენს. მის წიგნში *რასიზმის დასასრული*,¹¹ დავინახავთ აფირმაციული ქცევის ნებისმიერი ფორმის ძლიერ უარყოფას, ეგალიტარულ ღირებულებებზე უარის თქმას, მსხვერპლთა საყოველთაო დადანაშაულებასა და შავკანიანთა კულტურის „პათოლოგიებზე“ ხაზგასმას. მისი შეხედულებები ასევე შეაფასეს, როგორც „სიმბოლური რასიზმი“.¹² ამგვარად, აკადემიურ და ინტელექტუალურ–იდეოლოგიურ დონეზე, „კულტურული რასიზმი“ უარყოფის ფორმაა, რამდენადაც მისი მომხრეები ცდილობენ „რასისტის“ დაღის თავიდან არიდებას, თუმცა, ჯერ კიდევ იმ მოსაზრებას ემხრობიან, რომელიც რასობრივ და ეთნიკურ უთანასწორობას უკვდავყოფს და აუარესებს.

იმ გზის ილუსტრაცია, რომელშიც რასიზმმა ნეიტრალური პოლიტიკის თვალსაზრისით შეიძლება გამოავლინოს თავი, წარმოადგენს ევროკავშირისა და დასავლეთის ქვეყნების მიერ საიმიგრაციო შეზღუდვების გამართლებას. დასავლეთის პოლიტიკური კლასი მარკეტიზაციას ზრდიდა და მასთან ერთად, ხელს უწყობდა კაპიტალისა და საქონლის თავისუფლად გადატანას. მაგრამ მან უარი თქვა შრომის თავისუფალი გადაადგილების იდეაზე და ცდილობდა შეეზღუდა ხალხის მიერ საზღვრების გადაკვეთა. ამ ღირებულების მიხედვით, იმიგრაციისთვის დაბრკოლებების შექმნაზე ევროკავშირის ამჟამინდელი პოლიტიკა რასობრივად ნეიტრალურია და მისი გამართლება შეიძლება იყოს კანონიერი იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროა შიდასახელმწიფოებრივი შრომის დასაცავად, სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, ეროვნული კულტურისთვის და ასე შემდეგ. თუმცა, უფრო ღრმა დონეზე, პოლიტიკა უცვლელი რასისტული მოსაზრებების საფუძველზე მოქმედებს და უფრო მეტად გამოიყენება რასისტული მიმართულებით.

1911 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა (იმიგრაციის გამო) „ამერიკული კაპიტალის“ „გაუარესების“ დასადასტურებლად აწარმოა კვლევა. 40 ნაწილიან

¹¹ დ. დე სუზა, *რასიზმის დასასრული: მრავალრასიანი საზოგადოების პრინციპები* (1995).

¹² „სიმბოლურ რასიზმსა“ და „თანამედროვე“, „ყოველდღიურ“ ან „ახალ“ რასიზმთან დაკავშირებული ფორმებზე, იხილეთ მ. ბარკერი, *ახალი რასიზმი* (1981); ჯ. ფ. დოვიდიო და ს. ლ. გარტნერი (რედაქტორები), *უსამართლობა, დისკრიმინაცია და რასიზმი* (1986); პ. ჯ. მ. ესედი, *ყოველდღიური რასიზმის გაცემა: ინტერდისციპლინარული თეორია* (1991).

ანგარიშში, ფრანც ბოასი ერთადერთი იყო, ვინც აზრს გამოთქვამდა რასობრივი დეტერმინიზმის წინააღმდეგ. სულ მცირე, შეგვიძლია დავინახოთ პროგრესი, რადგანაც დღეს ევროკავშირი, იმიგრაციის თვალსაზრისით, ჩართულია სხვადასხვა სახის პრევენციულ ღონისძიებაში. ეგრეთ წოდებული „ბუდაპეშტის პროცესი“, რომელიც დაიწყო 1994 წელს და რომელიც გულისხმობს შეხვედრას ორმოც სახელმწიფოსა და ათ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მიზნად ისახავს პანევროპული პოლიტიკის „ჰარმონიზაციას“ უკანონო მიგრაციის თავიდან ასაცილებლად. ამჟამად ბოშათა მიგრაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკავშირში გაფართოების პროცესთან. უკანასკნელი წლების განმავლობაში, რამდენიმე შემთხვევაში, ბოშათა დაახლოებით 20–დან 1000–მდე ჯგუფი, თავშესაფრის საძებნელად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, შეერთებულ შტატებსა და კანადაში გადავიდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მთავრობის საპასუხო რეაგირება იყო სავიზო ვალდებულების ხელახალი შემოღება მათთან დაკავშირებული სახელმწიფოებისთვის, როგორცაა სლოვაკეთი. მეორე მხრივ, ევროკავშირის ფორუმზე საუბარი იყო „ბოშათა მოულოდნელი „გამოსვლის“ შიშზე, რაც ერთ–ერთი მთავარი მიზეზია იმისა, თუ რატომ სჭირდებათ ევროკავშირში შესასვლელად ვიზა რუმინელებს. ევროკავშირის სავიზო რეჟიმი ყველა შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება იქ, სადაც უკანონო მიგრაციის საფუძვლიანი შიში არსებობს.”¹³

რასისტული პრეზუმცია აშკარაა პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებში, რომლებიც იმ ქვეყნებიდან მოდიან, სადაც სამოქალაქო და პოლიტიკური შფოთია და ეთნიკურ ჯგუფებს ჩამორთმეული აქვს ძირითადი უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები შეიძლება ერთდროულად უკიდურესი და ინსტიტუციონალიზებული სიღარიბის მსხვერპლნი იყვნენ, ხშირად დევნის ნამდვილი მსხვერპლნი „ლტოლვილის“ განსაზღვრების მნიშვნელობით ხდებიან, რაც გათვალისწინებულია ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებული 1951 წლის უენევის კონვენციის 1 (ა)(2) მუხლით. თუმცა, თუ ლტოლვილების რაოდენობას დასავლური ხელისუფლება მნიშვნელოვნად ჩათვლის,

¹³ იხილეთ მარტიჟნ პლუიმი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის სახელით პრეზენტაცია ეუთოს კონფერენციაზე, „ბოშები ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებში: ინტეგრაციის გამოწვევები“ (ვენა, 26 სექტემბერი, 2000), 2–ზე.

მათ აღარ მიიღებენ და მიაკუთვნებენ მხოლოდ „ეკონომიკურ მიგრანტებს“ ან სხვა საფუძვლით მოსულებს.

რა არის საშიში ევროპის გარედან (ან იმავე ნიშნით აღმოსავლეთ ევროპიდან მოსული ბოშები, როლებიც თავშესაფარს დასავლეთის ქვეყნებში ეძებენ) დევნილი ეთნიკური ჯგუფების დასახლების პერსპექტივაში დასავლეთის მშვიდ და სუფთა ქალაქებში? ერთი შეხედვით, პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ისინი იათვი შრომის შეთავაზებით სოციალურ კეთილდღეობას ძირს გამოუთხრიან, შესაძლოა დამაჯერებელი აღმოჩნდეს მათთვის, ვისაც არ სურთ ან ვერ ფიქრობენ პოპულისტური დღის წესრიგის წვრილმანების მიღმა. კიდევ სხვა პრეტენზია, რომ ეთნიკური იმიგრანტთა ეს ჯგუფები მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ კულტურას ვერ შეერწყებიან, ვინაიდან ვერ შეძლებენ ან არ ენდომებათ შერწყმა (იხილეთ „ასიმილაცია“), შეესაბამება დასავლური საზოგადოების დიდი სეგმენტის უშუალო თანაგრძნობას.

არგუმენტისთვის დავუშვათ, რომ მართლაც ემიგრანტების შემოღინება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მდიდარი მასპინძელი ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობის ზოგიერთ ასპექტს ან ასუსტებს ეროვნულ კულტურას. რჩება უმნიშვნელო, მაგრამ შემამოფოთებელი შეკითხვა: რატომ არის დასავლეთ ევროპის მოქალაქე მისი თანამემამულეების კეთილდღეობასა და კულტურულ იდენტურობაზე უფრო მეტად შემოფოთებული, ვიდრე ფიზიკური უსაფრთხოებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადარჩენის ძლიერ საფრთხეზე?

აქედან ჩანს, რომ სწორედ რწმენა და შეხედულება (საზოგადოება, ერი), რომელიც ჩვენ პასუხიმგებლობის გრძნობას გვიჩენს და აზრებს გვიცალიბებს, სავსეა რასისტული ხასიათის მოსაზრებებით. უმრავლესობას სჯერა, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ უმთავრესად ჩვენ საკუთარ საზოგადოებას (სამეზობლო, ქალაქი, კლანი, ერი), მაშინაც კი, თუ ვაღიარებთ, რომ „გარეთმყოფნი“ უფრო მეტად დაიტანჯნენ, ვინაიდან მათთვის უფრო სერიოზულად დაირღვა ადამიანის უფლებები, ვიდრე ჩვენი საზოგადოების წევრებისთვის.

ამგვარად, დასავლეთის უმრავლესობის შემოფოთების პრიორიტეტები კარგად არ შეესაბამება პრიორიტეტთა იმ სიას, რომელიც შესაძლოა შედგა მაშინ, როცა

გადაწყვეტილების ერთადერთი საფუძველი იყო ჰუმანიტარული ან დაკავშირებული ჰუმანიტარული უფლებების დარღვევების სერიოზულ ხასიათთან. როგორც ჩანს, დასკვნა გარდაუვალია, რომ სხვაობა – განსხვავება პრიორიტეტთა რეალპოლიტიკაში – რომ ერთი ჯგუფი ძირითადად ტრიალებს შიდასახელმწიფოებრივი კეთილდღეობის საკითხების გარშემო და მეორე ტრიალებს მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების გარშემო – შესაძლებელი გახდა, ზუსტად იმიტომ, რომ რასიზმი გადაწყვეტილებაში ერევა. მეორე მხრივ, ანტირასისტული მოძრაობები, თავისი არსით, სახელმწიფო-ერის წინააღმდეგ გამოწვევაა, რომ არა მათ მიერ გაცხადებული მიზნები.

ევროცენტრულ რასიზმს დიდი წარმომავლობა აქვს. როგორც ასჩერსონი მსჯელობს, ის შესაძლოა მომდინარეობს უძველესი ვარაუდიდან (რომელიც ჯერ კიდევაა გავრცელებული ევროპაში), რომ დამკვიდრებული სოფლის მეურნეობა და მოსავლის მომყვანი გლეხობის არსებობა წარმოადგენს უზარმაზარ წინსვლას ცხოვრების მომთაბარე წესის ადრეულ ეტაპზე.

აქ ფსევდო-ანთროპოლოგია აძლიერებს ძირითად ევროპულ კომმარს: იმ ადამიანთა შიში, რომლებიც გადააგილდებიან. ... ეს კომმარი გრძელდება ახალ ევროპაში 1989 წლის რევოლუციის შემდეგ. ის არსებობას აგრძელებს, როგორც მოგზაური ადამიანების დასავლური შიში, იმ მილიონით ადამიანისა, რომლებიც ევროპის ჭიშკარს აწყდებიან, როგორც „თავშესაფრის მაძიებელნი“ ან „ეკონომიკური მიგრანტებისა“, რუსეთში მომხდარი სოციალური კოლაფსისა, რაც გამოიწვევდა იმას, რომ მშვიერი მოსახლეობის ნახევარი მიაწყდებოდა გერმანიას.

ევრო-რასიზმის წარმომავლობა უძველესი ბერძნების მიერ „ევროპის“ მშენებლობას უკავშირდება.

შავი ზღვის სანაპიროზე დაიბადნენ სიამის ტყუპები სახელად „ცივილიზაცია“ და „ბარბაროსობა“. ეს ის ადგილია, სადაც ბერძენი კოლონისტები სკვითებს შეხვდნენ. პატარა ზღვისპირა ქალაქ-სახელმწიფოების კულტურა შეხვდა სტეპების მომთაბარეების ცვალებად კულტურას. ხალხი, რომელიც უამრავი თაობის განმავლობაში ცხოვრობდა ერთ ადგილას, მოჰყავდა მოსავალი, თევზაობდა ზღვის სანაპიროზე, ახლა შეხვდა

ხალხს, რომელიც ვაგონებსა და კარვებში ცხოვრობდა და დაეხეტებოდა ბალახიანი მდელოს უსაზღვრო ჰორიზონტზე საქონლის ჯოგისა და ცხენების უკან. ეს არ იყო პირველი შემთხვევა ადამიანების ისტორიაში, როდესაც ფერმერები შეხვდნენ მეჯოგეებს. ნეოლითური რევოლუციიდან, დამკვიდრებული სოფლის მეურნეობის დასაწყისიდან მოყოლებული, არაერთხელ უნდა გადაეკვეთა ცხოვრების ამ ორ სტილს ერთმანეთი. არც ურბანული კულტურის მქონე ხალხისთვის იქნებოდა მომთაბარეობასთან პირველი შეხვედრა: ეს იყო ჩინელებისთვის უკვე ნაცნობი გამოცდილება ჰანის დომინიონების დასავლეთ საზღვრებზე. მაგრამ, სწორედ ამ კონკრეტული შეხვედრისას დაიბადა „ევროპის“ იდეა, მთელი თავისი ქედმაღლობით, ნაგულისხმევი უპირატესობით, მასზე დაკისრებულ პრიორიტეტსა და სიძველეზე პასუხისმგებლობით, დომინირების თანდაყოლილ უფლებებზე მთელი თავისი პრეტენზიებით.¹⁴

უარყოფის თვალსაზრისით, რასიზმის განხილვა შესაბამისია რასიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადაც ის მაშინვე გამოხატავს განმანათლებლობის („განათლებას ყველაფერი შეუძლია“), როგორც სტრატეგიის, პარადიგმატულ შემღუღევებს. უარყოფის განხილვა აქარწყლებს ნებისმიერ ილუზიას, რომ მოქმედების მოტივად საკმარისია მხოლოდ ცოდნა, ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ დონეზე. მაშინაც კი, როცა ადამიანებმა აშკარად იციან, რომ არსებობს რასობრივი შეურაცხყოფის ფაქტები, ისინი არ მოქმედებენ სწრაფად და ადეკვატურად. რატომ? უარყოფის პრობლემური საკითხი პასუხს ეძებს რასისტული სტატუს ქვოს გამართლებასა და რეალიზებაში.

უფრო მეტიც, უარყოფის ცნება ცოდნისგან ითხოვს იმის ჩვენებას, რომ არჩევანი „მათ იცოდნენ“ და „მათ არ იცოდნენ“ არც მარტივია და არც ამომწურავი. დღეს რასიზმის ფენომენოლოგიის ჩამოყალიბებაში, ჩვენ ვხედავთ საკუთარ თავებს, უარყოფის ფენომენის ფართო სპექტრის აღწერაში.

¹⁴ იხილეთ ნ. ასჩერსონი, *შავი ზღვა* (1996), 49–ზე. ევროცენტრიზმზე, როგორც რასისტულ შეხედულებაზე, ასევე იხილეთ ჯოზეფ, რედი და სერლი ჩატერჯი, „ევროცენტრიზმი სოციალურ მეცნიერებებში“, 31 *რასა და კლასი* (1990) 1.

(ii) რასიზმის უარყოფის სახეები

უარყოფის არაერთი სახე, რომელიც გამოვლინდა სტენლი კოენის *უარყოფასა და აღიარებაში*, ღიდად შეესაბამება რასიზმის უარყოფის კონკრეტულ შემთხვევას. კოენის განსხვავებების კვალდაკვალ, ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ უარყოფის სხვადასხვა ფორმა, სუბიექტის (სუბიექტების) ჭეშმარიტი-ღირებული ცოდნის პატივისცემით:

- უარყოფა არის კარგი რწმენა, როცა სუბიექტს პატიოსნად სჯერა, რომ ის სიმართლეს ამბობს.
- უარყოფა პირდაპირი სიცრუეა, როცა რასისტული შეურაცხყოფის სიმართლე ცნობილია, მაგრამ უარყოფილია, როგორც განზრახ მოტყუების შემთხვევაში ინდივიდუალურ ან პოლიტიკურ დონეზე ხდება დებინფორმაციის გავრცელება, მანიპულაცია და დანაშაულის დაფარვა.
- ნაწილობრივი ცოდნის ყველა სხვა შემთხვევაა, როცა „უარყოფელი“ სუბიექტი, ზემოთ ნახსენებ არცერთ ფსიქიკურ მდგომარეობაში არ იმყოფება.

თეორიასა და პრაქტიკაში ყველაზე რთული მესამე შემთხვევაა. ფილოსოფიური აზროვნების რამდენიმე სკოლამ და სოციალურმა მეცნიერებამ მიმართა „იცოდე იმის გარეშე, რაც იცი“-ს გამოცდილებას, კანტისეული „ტრანსცენდენტალური აპერცეფციის“ ნაკლებობას ან თვითშეგნებას, რომელიც თან ახლავს „ობიექტის“ გონებრივ „საკუთრებას“. „ქვეცნობიერის“ ფსიქოანალიტიკური მეტაფორა, აღქმის, როგორც, ობიექტის შემადგენელი ნაწილის ფენომენოლოგიური თეორიები და თვითმყოფადობის ეგზისტენციალური იდეა, ყველა წარმოადგენს უარყოფის ტრანსცენდენტალური შესაძლებლობის განხილვისთვის შესაძლო ფარგლებს.

ფსიქოანალიტიკური ტრადიცია, რომელიც აშკარაა, რომ დასავლეთში საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ნაცნობია, დაჟინებით ამტკიცებს, რომ უარყოფა – ჩვენს შემთხვევაში არსებობის ან რასისტული შეურაცხყოფის მნიშვნელობის უარყოფა – არის ერთგვარი უნებლიე თავდაცვის მექანიზმი, შემამოფოთებელი ფსიქიკური აზროვნების დასაძლევად. ამ თვალსაზრისს საზღვრები აქვს სწორედ იმ ვარაუდით, რაც უარყოფის ცნებას შესაძლებელს ხდის. ერთ-ერთი ასეთი ვარაუდი გულისხმობს, რომ თუ მათ ამის

კეთებისას ხელი არ შეეშლებათ, იმ სხვადასხვა ბარიერით, რომელიც გაჩნდა გადარჩენისა და კეთილდღეობის მოთხოვნით, ხალხი დაინახავს „უარყოფილს“, როგორც „არსებულს“. შესაბამისად, ნებისმიერმა ადამიანმა, უნდა დაინახოს მარტივი ჭეშმარიტება, რომ ხალხი, რომელიც განსხვავებულ რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის თანასწორია და ფლობს ღირსებასა და უფლებებს. ფაქტი, რომ ინდივიდუალური პირები „უარყოფენ“ ამ მარტივ ჭეშმარიტებას, გამოწვეულია იმით, რომ თავიდან აირიდონ ტანჯვა, თუ ეს „ჭეშმარიტება“ ვინმეს გონებაში გარკვევით არსებობს. და მაინც, რატომ უნდა ვივარაუდოთ ფსიქოანალიტიკოსებთან ერთად, რომ ნებისმიერი წინასწარ შექმნილი აზრისგან შეფერხების გარეშე ადამიანებმა უნდა დაინახონ საქმის ვითარების „ჭეშმარიტება“. კერძოდ, რატომ უნდა დაინახონ მათ ადამიანის ძირითადი უფლებების პრინციპი, როგორც ნათელი და უნივერსალური ჭეშმარიტება? ისტორიის განმავლობაში, კულტურათა უმრავლესობაში, ადამიანთა სიცოცხლესა და საზოგადოებაზე „ჭეშმარიტება“ არ არის „დაუფარავი“, არამედ „განვითარებული“.

უფრო მეტიც, რატომ უნდა ვივარაუდოთ ფსიქოანალიტიკოსებთან ერთად, რომ ხალხი იტანჯება, როდესაც ისინი ხედავენ სხვა ადამიანების უსამართლო ტანჯვას? უარყოფის განსაზღვრება, რომელიც განავითარა კონემა და რომელიც აქ არის გამოყენებული, ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო მოქმედებასა და ადამიანის ბუნების, როგორც სხვის ტანჯვაზე ემოციურად თანამგრძნობის გაგებას. ის უგულებელყოფს ან ამ თავის შემთხვევაში, შესაძლებლობას განზრახ ზღუდავს, რათა მაგალითად, ადამიანების ყველაზე ღრმა და ძირითადი ემოციები არ არის ალტრუისტული, არამედ უმთავრესად და არსებითად შეესაბამება მათ საკუთარ „ინტერესებს“. ამგვარად, თუ ვინმე ვერ შენიშნავს რასისტულ პრაქტიკას, ეს გამოწვეულია არა ინდივიდუალური პირების მცდელობით, რომ თავიდან აირიდონ ტანჯვა, რაც მის აღიარებას მოსდევს, არამედ უფრო გლობალური რეაქციით, რომელიც დამოკიდებულია ადამიანთა ცხოვრებისეულ ინტერესებზე. „არ დანახვით“ ადამიანი შეიძლება გაუთანაბრდეს ცხოველის სავარაუდო გულგრილ დამოკიდებულებას ბიოლოგიურად უადგილო ობიექტებზე. ეს იმას ხომ არ გულისხმობს, რომ ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით ჩვენ უფრო მეტი „ადამიანურობით“ ვართ აღჭურვილნი, ვიდრე

სინამდვილეში ვართ? ჩვენი გაიდებულეული „ადამიანობა“ უფრო ნორმატიული, მორალური იდეაა, ვიდრე ფსიქოლოგიური და სოციალური რეალობა? სანამ ეს ფილოსოფიური სპეკულაციაა და შესაძლოა მორალურად არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს, ჩვენ ყველა თეორიული არჩევანი ღია უნდა დავტოვოთ, იქნება ეს პრინციპის თუ ცნობისმოყვარეობის საკითხი. სოციოფსიქოლოგიური ჰიპოთეზის ტესტი შესაძლოა დამოკიდებული იყოს *შერცხვენის მექანიზმის* გაგებაზე, განსაკუთრებით კი სოციალურ და პოლიტიკურ დონეებზე, რაზეც ბევრი კვლევა არ ჩატარებულა.

ადამიანის უფლებების დარღვევის პირდაპირი, განმარტებითი და ფარული უარყოფის კონსიდეული განსხვავება¹⁵ ასევე კარგად შეესაბამება რასიზმის უარყოფას. პირდაპირი რასისტული უარყოფა ფართოდაა გავრცელებული, როგორც ადამიანის უფლებათა ანგარიშებზე მთავრობის უარყოფითი რეაქცია და გამოხატულია ისეთ წინადადებებში, როგორიცაა: „თქვენი ანგარიშები გადამეტებულია“, „თქვენი პოზიცია პანიკისა და სენსაციის გამომწვევი და საზიანოა“ ან „ჩვენ ვმუშაობთ საკითხებზე კონსტრუქციულად, ხოლო თქვენი გამოვლენის გზები დესტრუქციულია“. განმარტებითი უარყოფა გამოიყენება მაშინ, როცა ფაქტები არ არის სადავო, მაგრამ ფაქტების ინტერპრეტაცია გულისხმობს რასისტული მიდგომის შენიღბვას. ამგვარად, „განმარტებები“, რომ „პოლიციის მოქმედება არ იყო სადამსჯელო ექსპედიცია, როგორც ამას ადამიანის უფლებათა დამცველებმა უწოდეს, არამედ ეჭვმიტანილთა კანონიერი ძებნა ბოშათა სამეზობლოში; მართალია რომ ძალა გამოიყენეს, მაგრამ პოლიცია თავს იცავდა“ ან „ეს არ იყო ეთნიკური წმენდა, არამედ მხოლოდ ანტი-პარტიზანული მოქმედება შეიარაღებული სეპარატისტების იზოლირებისათვის“, არ იქნებოდა ადვილად მიღებული საზოგადოების მიერ, თუ „კვლევის“ ან „მოქმედების“ სუბიექტი იყო ერის უმრავლესობასთან ეთნიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად იდენტური სამეზობლო ან სახლი.

„ფარული“ უარყოფა წარმოადგენს ყველაზე რთულ გამოწვევას რასისტულ უარყოფასთან გამკლავებაში. ამ შემთხვევაში, სუბიექტი – ინდივიდუალური პირი თუ

¹⁵ კონი, *გემოთ ნახსენები* N 9, 23–5–ზე.

კოლექტივი – გონივრული დასაბუთების ფარს დებს ფაქტებსა და რაზეც ფაქტები მოგვიწოდებს მის მორალურ პასუხიმგებლობას შორის. რასისტული შეურაცხყოფის მოწმემ შეიძლება აღიაროს, მაგალითად, პოლიციის მიერ ქუჩაში მცხოვრები ბომა ბავშვების ბუქარესტში ან სოფიაში ცემის ფაქტები. მოწმემ შეიძლება თქვას:

ეს არის რასისტული და აღმაშფოთებელი, მაგრამ ამას ჩემთან კავშირი არ აქვს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თვითმფრინავზე მაგვიანდება. მსოფლიოში არსებულ ყველა ბოროტებას მე ვერ გამოვასწორებ. უფლება მაქვს სხვა უფრო მნიშვნელოვანი რამ გავაკეთო. ამჟამად, ძალიან დაკავებული ვარ რომ სხვა მნიშვნელოვანი საქმე გავაკეთო, მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის და არა ეგოისტურად ჩემთვის. რომც გავჩერდე და ჩავერიო, ჩემნაირმა ჩვეულებრივმა ადამიანმა რა უნდა გააკეთოს? საბოლოოდ, უნდა არსებობდნენ ადამიანები და დარწმუნებული ვარ, რომ სადღაც არსებობენ კიდევ, რომელთა საქმეა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემასთან და მათ მიმართ არსებულ სისასტიკესთან გამკლავება. ო, დიახ, მე ვიცი რომელი ორგანიზაცია მუშაობს ამგვარ საკითხებზე. ამგვარად, ნება მომეცით აეროპორტში წავიდე.

ფარული უარყოფა – როდესაც, ფაქტები და მათი ახსნა, როგორც რასისტული შეურაცხყოფა ორივე აღიარებულია, მაგრამ მნიშვნელობა უარყოფილია – ბევრი ჩვენგანის ყოველდღიურ რეალობას წარმოადგენს. როგორც კოენი აღნიშნავს *გაკვრით*, კეთილსინდისიერად, თითქმის ეს აღნიშვნა მთელ ამ კვლევას თავდაყირა არ ატრიალებდეს, „პრობლემა არ მდგომარეობას იმის ახსნაში, თუ როგორ „უარყოფს“ ხალხი, არამედ იმაში, თუ როგორ აქცევს ყურადღებას ოდესმე ვინმე“ (გვ.30).

კოენთან განსხვავებათა კიდევ ერთი წყება ბრუნავს ინდივიდუალური უარყოფის, ოფიციალური უარყოფისა (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული) და კულტურული უარყოფის გარშემო. ეს უკანასკნელი კვლავ წარმოადგენს ყველაზე რთულ გამოწვევას რასისტული უარყოფის საკითხთან მიმართებაში : საზოგადოების წევრებმა, იმის აღიარების გარეშე, თუ რაზე უნდა იფიქრონ, მიაღწიეს უთქმელ შეთანხმებას, თუ რა შეიძლება იქნეს საჯაროდ აღიარებული. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებობს ფართო შეთანხმება, რომ იმიგრაციაზე გამკაცრებული კონტროლი კარგია და, შესაბამისად, ისინი არ ჩაითვლებიან რასისტებად.

„მასმედიის მიერ ომების გაშუქება, დანაშაულები და ადამიანის უფლებათა ისტორიები ყველაზე მნიშვნელოვან არენას წარმოადგენს ოფიციალურ და კულტურულ უარყოფას შორის ორმხრივ დამოკიდებულებაზე დაკვირვებისთვის,” წერს კოენი.¹⁶ ეს ურთიერთდამოკიდებულება აშკარა იყო 1999 წელს კოსოვოს ომის დროს დასავლეთის წამყვანი მედიის ანტი-სერბულ მიკერძოებაში. („კიდევ ერთი დატვირთული ღამე ჩვენი პილოტებისთვის იუგოსლავიის გამო” განაცხადა აშშ-ს სი-ენ-ენ-ის საინფორმაციო გამოშვებაში კორესპონდენტმა 1999 წლის აპრილის ბოლოს, ერთ დილას. ერთ-ერთი ავტორი წერს, იმგვარად, როგორც 1999 წლის გაზაფხულზე, „სერბეთის ნაღები საზოგადოება ძირითადად ემიგრაციაში წავიდა და დარჩენილთა უმეტესობამ, რეალობასთან შეხება დაკარგა”.) ანალოგიურად, ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვის შემდეგ, თუ როგორ გამოაცხადეს კოსოვოს ბოშათა საზოგადოების განადგურების ფაქტი მთავარი მედიით, უმეტესწილად კულტურული უარყოფის მაგალითი იყო. ნაცვლად იმისა, რომ პროცესი წარმოედგინა, როგორც ეთნიკური წმენდა, მედიამ ხაზი გაუსვა შურისძიების „გასაგებ” ასპექტს „სერბებთან” ბოშათა სავარაუდო თანამონაწილეობის გამო.

საბოლოოდ, არცერთ კონკრეტულ წყობას არ მისდევს რასისტული უარყოფის რამოდენიმე რიტორიკული ფორმის მოკლე აღწერა. აღწერა ორიენტირებულია ბოშებზე, რომლებიც რასა-ეროვნების ნიშნით ევროპაში ყველაზე დაჩაგრული ადამიანები არიან. ქვემოთ მოყვანილი უარყოფის ფორმები არაერთხელ განიხილეს ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის თანამშრომლებმა დისკუსიებსა და ბოშათა საკითხების შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში. სია ადვილად შეიძლება გაფართოვდეს.

(1) *რასა და ეროვნება წარმოდგენილია, როგორც სოციალური და ეკონომიკური პრობლემა.* აღმოსავლეთ ევროპაში ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ: „ჩვენ არ ვართ რასისტები და არ ვახორციელებთ დისკრიმინაციას. ჩვენ პრობლემა არ გვაქვს ბოშების რასასთან ან ეროვნებასთან, მაგრამ ეს ჯგუფი ეკონომიკურად და

¹⁶ იქვე., 27–8ე.

სოციალურად სუსტია. ფაქტი იმისა, რომ მისი წევრები არიან იგივე, ბოშური ეროვნების, უმნიშვნელოა (შეუსაბამო, შემთხვევითი ან სხვა).” ამ შემთხვევაში, მთავრობა თავს იმართლებს, რომ არ განიხილა რასობრივი დისკრიმინაცია, როგორც გადაუდებელი საკითხი. მთავრობის ვალდებულება შემცირდა კითხვის ნიშნის ქვეშ მდგარი ეთნიკური ჯგუფის მატერიალური პირობების, საგანმანათლებლო სტატუსის და ა. შ. ნელა განვითარებამდე და იქ, სადაც ეს შესაძლებელია, რაც დამოკიდებულია რესურსების ხელმისაწვდომობაზე. ის, რომ ჯგუფი ასევე არის სოციალურად დაჩაგრული, იზოლირებული და გამორიცხული ცხადია, მაგრამ ეს ჭეშმარიტება ისე შემობრუნდა, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს რასისტული რელობის უარყოფისთვის.

(2) „კანონის წინაშე თანასწორობის” არგუმენტი. გარკვეულწილად ეწინააღმდეგება რა უარყოფას, რასის, როგორც განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის წარმოდგენით, ეს არგუმენტი ხაზს უსვამს კანონის წინაშე თანაბარი დაცვის სავარაუდო შესაძლებლობას. პრეტენზია არის ის, რომ „რასობრივი უმცირესობის წევრები თანასწორნი არიან კანონის წინაშე ან კანონით მათთვის გათვალისწინებულია თანაბარი დაცვა და, შესაბამისად, არ იტანჯებიან დისკრიმინაციისგან ჩემს ქვეყანაში. ნებისმიერი რამ, რაც მათ უპირატესობას მიანიჭებს, უსამართლოა”. ხანდახან, შესაძლოა არსებობდეს კონფლიქტი კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნასა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობის აუცილებლობას შორის. ამ შემთხვევაში, კონკრეტული ჯგუფებისთვის ჩაგვრის გამოსასწორებლად სპეციალური პროგრამები განვითარდა („აფირმაციული ქცევა” შეერთებულ შტატებში, „პოზიტიური ქცევა” ევროპაში). კონკრეტულ კონტექსტებში, სამართლებრივ თანასწორობაზე, როგორც რასათა თანასწორობის საკმარის გარანტიაზე, აქცენტი შეიძლება იყოს შესამჩნევად კანონიერი და უარყოფის კარგად შენიღბული ფორმა.

(3) „თანაბარი შესაძლებლობის” (მერიტოკრატიული) არგუმენტი. ეს არგუმენტი „სამართლებრივი თანასწორობის” არგუმენტის მსგავსია. ამ შემთხვევაში, პრეტენზიამ შემდეგი ფორმა უნდა მიიღოს: „ბოშათა ეთნიკური ჯგუფის წევრები ჩვენს საზოგადოებაში ყველა სხვა დანარჩენთან ერთად სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით. თუ

როგორ იყენებენ შესაძლებლობებს, ეს მათზეა დამოკიდებული. ფაქტი, რომ ისინი კარგად არ იყენებენ შესაძლებლობებს, ჩვენი ბრალი არაა. საბოლოოდ, ხალხი იმას იღებს, რასაც იმსახურებს.” უარყოფის ეს ფორმა ხანდახან ესაზღვრება მსხვერპლთა გაკიცხვას: „ბოშებს რაღაც არასწორად უნდა ჰქონდეთ გაკეთებული, თუ ახლანდელ თაობას არა, მაშინ წინა თაობას. სხვა შემთხვევაში, ისინი ისეთ უბედურებაში არ აღმოჩნდებოდნენ [ციხეში, ქუჩაში და ასე შემდეგ].”

(4) *აკრძალვასა და ჯარიმაზე არსებული რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შეზღუდვა.* ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ საკმარისად დაუპირისპირდა რასიზმს საზოგადოებაში, თუ რასობრივი დისკრიმინაცია (მისი ყველაზე სასტიკი ფორმები) უკანონოდაა გამოცხადებული და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლებრივი დაცვის საშუალება მსხვერპლთათვის გათვალისწინებულია. იდეაში, ეს იყო ანტირასისტული სტრატეგია, რომელიც ასახულია გაერთიანებული ერების ძირითად კონვენციებსა და პროექტებში. მიუხედავად სტრატეგიისა, რომ რასობრივი დისკრიმინაცია უკანონოა და შეურაცხყოფის შემთხვევაში სასამართლო პროცესები აუცილებელია, ის მართკმდე ვერ შეძლეს საზოგადოებაში რასისტული პრაქტიკის (რომ არაფერი ვთქვათ დამოკიდებულებაზე) ამოძირკვას ან საგრძნობლად შემცირებას. ისევე, როგორც დანაშაულის აღმოფხვრა ან შემცირება ვერ ხორციელდება მხოლოდ სისხლის სამართლის სისტემის მეშვეობით, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად კარგად არის განვითარებული. ამგვარად, რასიზმის აღმოფხვრა ან შემცირება შეუძლებელია, თუ რასიზმთან ბრძოლის სტრატეგიები კანონის მიღებაში შეზღუდულნი არიან. დავა არ არის საყოველთაო და საკმარისი რეაქცია რასიზმზე. კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული საზოგადოება, შესაძლოა ასევე იყოს რასისტული თვითკმაყოფილების საზოგადოება. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია მაშინ, როდესაც სამართალწარმოება ძალიან ძვირი და მსხვერპლთა უმრავლესობისთვის მიუწვდომელია.¹⁷

¹⁷ ამ დაბრკოლების აღიარებაში და მის დასაძლევად, რასობრივი დისკრიმინაციის სფეროში, საჯარო ინტერესთა სამართალი სწრაფად განვითარდა შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოსა თუ კიდევ სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც დაზარალებულებს ეძლევათ სასამართლო დაცვის შესაძლებლობა, მაშინაც კი, თუ მათი ფორმალური ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე დაფარულია ცარიელი ხარჯებით. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებრივი ინტერესის კანონის მსგავსი განვითარების

(5) *ერში განსხვავებათა ხელახალი გადასინჯვა, როგორც გონებრივი უუნარობა.*

უარყოფის ამ ფორმის ილუსტრაცია, შესაძლოა იყოს ჩეხეთის რესპუბლიკაში სასკოლო სისტემაში ბომა ბავშვების ფაქტობრივად რასობრივი სეგრეგაცია, სადაც ამ ბავშვებს აგზავნიდნენ გონებრივად ჩამორჩენილთა ეგრეთ წოდებულ „სპეციალურ სკოლებში“. ეს პოლიტიკა დამყარებულია სტერეოტიპზე, რომ ბომა არის ქვედადამიანი და „ბომა ბავშვები არ არიან მზად ჩვეულებრივი სკოლისთვის“. შედეგად მივიღეთ ბომა ბავშვების უმრავლესობისთვის თანაბარი განათლების შესაძლებლობის უარყოფა. ევროპის ბომათა უფლებების ცენტრის მიერ დაფიქსირებული მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ ქალაქ ოსტრავაში, მაგალითად, ბომა ბავშვისთვის „სპეციალურ სკოლაში“ ჩარიცხვის შანსი 27-ჯერ მეტია, არა-ბომა ბავშვისაზე. თუმცა, ბოშები წარმოადგენენ ოსტრავაში ყველა დაწყებითი სკოლის ასაკის მოსწავლეების 5%-ზე ნაკლებს, ისინი შეადგენენ სპეციალური სკოლის მოსწავლეების დაახლოებით 50%-ს. სახელმწიფოს მასშტაბით, როგორც ჩეხეთის მთავრობა აღიარებს, ბომა ბავშვების დაახლოებით 75 % დადის სპეციალურ სკოლაში და სპეციალური სკოლების მოსწავლეების ნახევარზე მეტი არიან ბოშები.¹⁸ ეს განსაკუთრებული რასობრივი განსხვავება წარმოადგენს იმას, რაც რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე გაერთიანებული ერების კომიტეტმა დაგმო 1998 წელს, როგორც „დე ფაქტო რასობრივი სეგრეგაცია“ განათლების სფეროში და ის საერთაშორისო სამართლით ჩეხეთის მთავრობის ვალდებულებასთან შეუსაბამოა. ბევრი ჩეხი პოლიტიკოსი და განმანათლებელი უარყოფს, რომ ბოშების სპეციალურ სკოლებში გაგზავნა რასისტული პოლიტიკაა. თუმცა, რასობრივად ნეიტრალური ფაქტორები (როგორიცაა ენობრივი უნარების ნაკლებობა ან სიღარიბე) მართო ვერ ახერხებს სკოლებში უთანასწორო წარმომადგენლობის ახსნას.

(6) *ერში განსხვავებათა ხელახალი გადასინჯვა, როგორც ქცევითი აშლილობა.*

უნგრეთში „კერძო სტუდენტის“ მოწყობის მიხედვით, თუ მათი ქცევა ზიანს აყენებს

პერსპექტივებზე იხილეთ პეტროვა, „პოსტ კომუნისტურ საზოგადოებებში საზოგადოებრივი ინტერესის კანონის განვითარებაზე პოლიტიკური და სამართლებრივი შეზღუდვები“, 3 აღმოსავლეთ ევროპის სამართლის პარკერის სკოლის ჟურნალი (1996).

საკუთარ ან სხვის სამუშაოს, მოსწავლეები შეიძლება გაირიცხონ სკოლიდან და ჩაერთონ კერძო სწავლების სქემაში, რომელიც არ გულისხმობს სკოლაში დასწრებას. ამ, ერთი შეხედვით, რასობრივად ნეიტრალურმა განთავსებამ შედეგად გამოიწვია ბომა მოსწავლეების ჩვეულებრივი სკოლიდან გარიცხვა. რამდენადაც ამ მოსწავლეებს ჯერ კიდევ მოეთხოვებათ გამოცდის ჩაბარება, ბევრი მათგანი სკოლიდან გაირიცხა. გადანაწილების მსგავსი ფორმა დაფიქსირდა გაერთიანებულ სამეფოში შავკანიანი კარიბელი ბიჭების შემთხვევაში, რომლებიც სკოლიდან ცუდი საქციელის გამო გარიცხეს.

„განათლებისა და დასაქმების სტატისტიკის დეპარტამენტის მიხედვით, შავკანიანი კარიბელი ბიჭებისთვის გაერთიანებული სამეფოს სკოლებიდან მუდმივად გარიცხვის შანსი ექვსჯერ უფრო მეტია, ვიდრე თეთრკანიანი ბიჭების. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთსა და უელსში სკოლიდან გარიცხვის დიდ მაჩვენებელზე მედია დიდ ინტერესს იჩენდა, სტატისტიკა შოკს აღარავის ჰგვრის. და მაინც, შავკანიანი კარიბელი ოჯახებისთვის მათი ბავშვებისთვის განათლების სფეროში ეს კრიზისს აღწევს. 1995–6 წლების განმავლობაში (როგორც შეფასდა 10000–14000 მუდმივი გარიცხვებით) სკოლები ყოველწლიურად პატარა ქალაქის მოსახლეობას წმენდდა. ეს მიგვანიშნებს სკოლებში ცუდ პრაქტიკასა და შესაძლო უკანონო დისკრიმინაციაზე ქცევის მართვის სფეროში. სკოლიდან გარიცხვა ხშირად ნიშნავს ბავშვის განათლების უფლების უარყოფას. როცა ერთხელ გარიცხავენ მოსწავლეს, ძირითად სკოლაში დაბრუნების შანსი მხოლოდ 15%–ია.”¹⁹

(7) *მოვალეობებია დაკისრებული, როგორც უფლებებით სარგებლობის წინაპირობები.* ამ საკითხის ლოგიკა გულისხმობს, „თუ ბოშები თავიანთ მოვალეობას არ შეასრულებენ, x, მაშინ აღარ შეუძლიათ უფლებების მოთხოვნა, y.” ამგვარი იყო უფლებებზე კომუნისტური მიდგომა: უფლებები განპირობებული იყო დაკისრებული

¹⁸ მეტი დეტალურობისთვის, იხილეთ ევროპის ბომათა უფლებების ცენტრი, „სპეციალური სასამართლო დაცვის საშუალება: ბოშები და სკოლები გონებრივი ნაკლის მქონეთათვის ჩეხეთის რესპუბლიკაში”, ქვეყნის ანგარიშები, N 8, 1999 წლის ივნისი.

¹⁹ ოსლერი, „სკოლიდან გარიცხვები: განათლების უფლების უარყოფა”, 18 ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ბიულეტენი (შემოდგომა, 1997).

მოვალეობის შესრულებით. კომუნისტური კონსტიტუციების შესაბამისი ნაწილი დასათაურებული იყო ამგვარად „მოქალაქის უფლებები და მოვალეობები“. ბოშა ბავშვების დანყებითი სკოლიდან მაღალი გარიცხვის მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა ფაქტი, რომ ბოშა მშობლები მშობლის მოვალეობას არ ასრულებდნენ. ამის გამო ანაწილებენ ბოშა ბავშვებს იმ ბავშვებს შორის, რომლებიც განთავსებულნი არიან მშობლის თანხმობის გარეშე: ფენომენი, რომელიც ირეკლავს ბოშა მშობლის, როგორც არაკომპეტენტურის, საზოგადოებრივ რასისტულ აღქმას. ამ შემთხვევაში არ არსებობს შესაძლებლობა ან სურვილი უფლებები გაიგონ, როგორც უფლებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული სუბიექტის წარსულ, ახლანდელ ან მომავალ ქცევაზე. ადამიანის უფლებათა პერსპექტივის ამგვარი ნაკლებობა კარგად ჩანს ბოშათა საკითხებისადმი უაღრესად პატერნალისტური სოციალური დახმარების მიდგომაში, სადაც ბოშები გვევლინებიან, როგორც უფრო მეტად დახმარების პასიურად მიმღებნი, ვიდრე უფლებათა სუბიექტები. იტალიაში, მაგალითად, არაერთი საქველმოქმედო დაწესებულება ხარჯავს სახელმწიფო თანხას, რათა ბოშებისთვის „მომთაბარე ბანაკების“ შემოღობულ სამყაროში უზრუნველყოს სოციალური სამუშაოს სერვისები.

(8) უარყოფა „პოზიტიური მაგალითის“ არგუმენტით. „შეხედე უმცირესობათა ჯგუფის ამ წევრებს, რომლებმაც საზოგადოებას მიაღწიეს [კომპანია და ასე შემდეგ].“ ამგვარი წინადადებები სოციალურ პრაქტიკაში ირეკლავს ტოკენიზმის პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება რასიზმისა და დისკრიმინაციის ბრალდებების წინააღმდეგ.

(9) უარყოფა უარის თქმით. ეს არის კლასიკური არგუმენტი: „ჩემი რამდენიმე საუკეთესო მეგობარი არის ებრაელი [ბოშა, შავკანიანი]“, რომელიც აგრეთვე თვალსაჩინოა ამ ტიპის უარყოფით წინადადებებში: „ბევრი ებრაელი [ბოშა, შავკანიანი] არის ასეთი და ასეთი, თუმცა, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისები.“ პირადი უარის თქმა იმდენად დამახასიათებელია თანამედროვე რასისტული დისკურსისთვის, რომ შეიძლება მივიჩნიოთ იდეოლოგიის ჩამომყალიბებლად. ფაქტობრივად, ზემოთ მდებარე წინადადებებს (ებრაელებთან დაკავშირებით) აღორნოს 1950 წლის ზიანზე კვლევის კითხვარი შეიცავდა. მათ წარმოადგინეს მაღალ ქულიანთა და დაბალ ქულიანთა პასუხებს შორის დაჯგუფება.

(10) *ინდივიდუალიზაცია და უმრავლესობისგან თვითგამორიცხვა.* „მე მიყვარს შავკანიანი მეზობელი და მასთან მეგობრობა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვებთან. ასეთი პირადი კავშირები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფრო დიდ საზოგადოებაში რასათა ურთიერთობა.” მსგავსად, „მე რასისტი ვერ ვიქნები, რადგან ჩემს კორპუსში იყო ბოშების ოჯახი და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა.” (ეს უკანასკნელი წინადადება ეკუთვნის ამჟამინდელ ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში (ოქტომბერი, 2000წ.) რასიზმის ბრალდებების საპასუხოდ. ფაქტიურად, ამ კონკრეტულმა საჯარო მოხელემ პოლიტიკისადმი თავის მიდგომაში გამოავლინა აშკარა რასისტული დამოკიდებულების ნაირსახეობა.)

(11) *გაიდებულები სტერეოტიპი.* რომანტიკულ სტერეოტიპს ბევრი ეთნიკური ჯგუფის შემთხვევაში, როგორიცაა: ბოშები, შავკანიანები და ადგილობრივი ამერიკელები შეერთებულ შტატებში ან მკვიდრი ავსტრალიელი ხალხი, აუცილებლად თან ახლავს უარყოფითი სტერეოტიპი. ბოშების რომანტიკული სტერეოტიპი მოიცავს ისეთ „მახასიათებლებს”, როგორიცაა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნიჭი, ძლიერი სიყვარულის უნარი და სხვა ძლიერი ემოციები, სპონტანური, თავისუფალი და სულიერი პიროვნება, ჯადოსნური ურთიერთობა ბუნებასთან და საკუთარი თავის სიყვარულის უნარი.²⁰

(12) *ისტორიული ოპტიმიზმის გადაჭარბება.* ეს არგუმენტი ეფუძნება რასათა ურთიერთობაში ისტორიული პროგრესის ცნობას. ისეთი წინადადებები, როგორებიცაა:

²⁰ აქ გაიდებულების პრაქტიკის წარმოშობის შესახებ საინტერესო საკითხია, რომელიც აღმოჩენილია ასჩერსონთან: „ბერძენმა ტრაგიკოსებმა, როდესაც მათ გამოიგონეს ბარბაროსები, მალე დაიწყეს ბერძენების „შიდა ბარბარიზმებით” თამაში. ალბათ, ბარბაროსების სხვაობის ნაწილი იყო ის, რომ ცივილიზებულისგან განსხვავებით, ისინი მორალურადაც ყველანაირი იყო – არა დუალისტური ხასიათის, რომელშიც კარგი ხასიათი უპირისპირდება ცუდს, მაგრამ მთლიანობაშიბარბაროსები ერთნაირები იყვნენ ცივილიზებული ხალხი მრავალგვარი და განსხვავებული იყო. ბერძენი ტრაგიკოსები ფიქრობდნენ, რომ ეს ამგვარადვე იქნებოდა როგორც გონებისთვის, ასევე სხეულისთვისაც. თუ ეს იქნებოდა, ისინი არ იყვნენ დარწმუნებული, რომ კონტრასტი ბერძნულ და ბარბაროსულ ფსიქოლოგიას შორის უპირველეს ყოვლისა რთული და ჩახლართული, მეორეს მხრივ სპონტანური და ბუნებრივი – იყო მთლიანად მისაღები ბერძენებისთვის. სადღაც აქედან იწყება ევროპის გრძელი დაუსრულებელი ბალადა დიდგვაროვანთა სისასტიკეზე, მონადირე-შემგროვებლების საკუთარი თავისა და გარემოს დაცვაზე, მწყემსებზე, საქონლის

„შეადარე და განიხილე თუ რამდენი რამ შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში. ნახე X უმცირესობის მდგომარეობა როგორ გაუმჯობესდა” დამახასიათებელია ამ არგუმენტისთვის.

(13) *ნორმალიზაციის უძლეულება*. ევროპაში ბოშათა გეტოების სტუმრობისას, ვინმემ შეიძლება თქვას მხრების აჩეჩვით: „ეს სწორედ ის არის, რაც ყოველთვის ხდება ხოლმე ამგვარ ადგილებში.”

(14) *განმარტებითი ხასიათის უარყოფა ზიანის ნაკლებ მნიშვნელოვნად წარმოჩენით*. „სერიოზული ზიანი არ დამდგარა. ბოშებს მართლაც არ ექცეოდა პოლიცია ძალიან თავაზიანად, მაგრამ ისინი თავს არ გრძნობენ შეურაცხყოფილად და დამცირებულად, ვინაიდან ისინი ძალადობას მიჩვეულნი არიან. მათ მხოლოდ ძალადობის ენა ესმით.”

(15) *გამკიცხველთა გაკიცხვა*. განსაკუთრებით ცენტრალური ევროპის პოლიტიკოსები ოფისში ამბობენ: „დასავლეთის მთავრობები ჩვენ გვკიცხავენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჩვენზე ზეწოლის მოხდენა სურთ. სულაც არ აწუხებთ ეთნიკური თანასწორობის საკითხი და მათი კრიტიკა გეოპოლიტიკური თამაშია.”

ზემოთ ნახსენები რასისტული უარყოფის რიტორიკული ფორმებიდან მათი ცალკე განხილვის შემთხვევაში, რასისტული დამოკიდებულების აღწერისთვის თითქმის არცერთი არ იქნება საფუძვლიანი. რასისტული წინადადებები კონტექსტუალურია. ჩვენ შეგვიძლია დავახასიათოთ დამოკიდებულება როგორც რასისტული მხოლოდ მაშინ, თუ მოსაზრებებს განვსაზღვრავთ, მეტ-ნაკლებად აშკარა მიკერძოებად ან სტერეოტიპად. სხვა შემთხვევაში, გაგვიჭირდებოდა რასიზმის ისეთი უვნებელი, მორალურად ნეიტრალური შენიშვნებისგან განსხვავება, როგორიცაა „ესპანელები ცუდი მძღოლები არიან”.

უარყოფის ფორმების უმრავლესობას ახასიათებს ადგილი ხელმისაწვდომობა. ისინი ჩნდება საჭიროებისამებრ, როგორც ახსნა-განმარტება რასაზე დაფუძნებული ჩავგრის მიზეზებზე, შემთხვევაზე, რომლისთვისაც დაუფიქრებელი ყოველდღიური დისკურსის დონეზე, არასდროს არის მათი ნაკლებობა. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება თქვას

ყაჩაღებზე, ბოშებსა და კაზაკებზე, ბელუინ მომთაბარეებსა და აბორიგენებზე, რომ მიაბიჯებდნენ სიმღერის სტროფებს შორის უნაყოფო უდაბნოდან”, ასჩერსონი, *ზემოთ ნახსენები* N 14, 148–ზე.

„ბოშები ირიცხებიან სკოლიდან, იმიტომ რომ ისინი ღარიბები არიან” და ერთი წუთის შემდეგ უმატებს, იმ არგუმენტის გააზრების გარეშე, რომელიც მას მოჰყავს „ისინი არიან ღარიბები, იმიტომ რომ კარგად არ სწავლობენ”. „ლოგიკურობა” „იდეოლოგიური” აზროვნების თვისებებში არ შედის. მხოლოდ ბევრი ფიქრის შემდეგ შეიძლება აღამიანმა გაიგოს, რომ რასისტული რაციონალისტური ახსნა არაა საკმაოდ გონივრული და ხშირად ცუდ წრეში ტრიალებს.

(iii) აღიარების შემდეგ

რასიზმის უარყოფაზე მსჯელობას თან უნდა ახლდეს აღიარებაზე მსჯელობა. უარყოფის არსებობის გაცნობიერება და რასიზმის არსებობის აღიარება შესაძლოა იყოს როგორც ინდივიდუალურ, ისე პოლიტიკურ და კულტურულ დონეებზე ტრანსფორმაციის დასაწყისი. აღიარებამ შესაძლოა მიგვიყვანოს რასისტული დამოკიდებულების შესუსტებამდე და ანტირასისტულ ქმედებამდე, მაგრამ, მან შესაძლოა ასევე მიგვიყვანოს თანხმობამდე. ეს მეორე არჩევანი ისეთი აღმაშფოთებელია, რომ ესაჭიროება ახსნა-განმარტება.

შესაძლებელია, რომ რასისტული უსამართლობა გარკვევით არსებობს სოციალურ ან პოლიტიკურ პირში, ეს არც უარყოფილია და არც შენიღბულია და ეს პირი მას აღიარებს და ეთანხმება. ახლა ჩვენი გამოწვევა უფრო მეტად დათანხმებაა, ვიდრე უარყოფა. საჯარო ინტერესებისთვის დათანხმება უფრო საფრთხის შემცველია, ვიდრე უარყოფის სხვადასხვა ფენომენი. უარყოფის საშუალებით ანტირასისტულმა კულტურამ რასობრივი სამართლიანობისკენ მიმავალი ბილიკის ნახევარი გაიარა, რამდენადაც უარყოფა შეიძლება მოგვარდეს აღიარების მეტ-ნაკლებად მტკივნეული კათარზისით, რაც შეიძლება იყოს საწყისი წერტილი რასიზმის აღმოფხვრის პრაქტიკული სამუშაოსთვის. განვიხილოთ სხვა შემთხვევა, რომელშიც სუბიექტი ფიქრობს, რომ რასისტულ მიკერძოებასთან გასამკვლავებლად ის საკმარისად კარგი ან საკმარისად ძლიერი არაა.

რასიზმი უდავოდ სირცხვილია და ჩვენ არ გვეპატიება ამ პრობლემის სწრაფად და შესაბამისად არ მოგვარება. და მაინც, ცხოვრება ძალიან რთულია. ჩვენ, ადამიანები, შეცდომებისკენ ვართ მიდრეკილნი და უნდა მივიღოთ ჩვენი თავი ასეთად. არავინაა სრულყოფილი და არ ვცხოვრობთ სრულყოფილ სამყაროში. შეიძლება ვიფიქრო, რომ რასისტული ფიქრები მე თავს დამნაშავედ არ მაგრძნობინებს და, შესაბამისად, მე არ უნდა დავიტანჯო და არ უნდა შევწირო ჩემი კეთილდღეობა.

სრული აღიარების ეს პოზიცია, რომელიც პიროვნების ბოროტებასთან მონაწილეობასთან ან ვინმეს სისუსტესთან ერთიანდება, იშვიათია დემოკრატიულ საზოგადოებებში. მაგრამ დაუტყერებელი არაა იმისი აღიარება, რომ ის შეიძლება ამოტივტივდეს კონკრეტულ პოლიტიკურ კონტექსტებში. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი ის შეიძლება აყვავდეს „თავი კარგად იგრძენი“ პოპულარული კულტურის ნიადაგზე, რომელიც ძალას საკუთარი თავის ან საკუთარი დანაშაულის მიღებით იღებს.

II რასობრივი დისკრიმინაცია

(i) რასობრივი დისკრიმინაცია, როგორც რასიზმის სოციალური

პრაქტიკა

სანამ მიღების აზრი ამჟღავნებს ძირითად შეზღუდვებს რასისტული უარყოფის წინაღმდეგ ბრძოლაზე და მოითხოვს „აღიარების“ არა ყოველთვის უსაფრთხო პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობის ანალიზს, ის ასევე გვითითებს კიდევ ერთი ცნების სიძლიერეზე. ეს არის რასობრივი დისკრიმინაცია. რასიზმი ფართო და ბუნდოვანი ცნებაა, რომელშიც ჩართულია გონებაც და რეალობაც და მისი ფენომენოლოგია საკმაოდ ცვალებადია. თუმცა, „რასობრივი დისკრიმინაცია“ უფრო გარკვევით განისაზღვრა და სამართლებრივი ღირებულება, ყურადღება მიენიჭა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (რდასკ) 1-ელ მუხლში.²¹

²¹ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია 1-ელ მუხლში განსაზღვრას რასობრივ დისკრიმინაციას, როგორც „ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, აკრძალვას ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, წარმოშობის, სახელმწიფო ან ეროვნული

რასიზმისაგან განსხვავებით, რასობრივი დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა სამართალში გაგებულია, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა. უფლება იმისა, რომ იყო რასის საფუძველზე (ეროვნების ჩათვლით) დისკრიმინაციისგან თავისუფალი ხასიათდება საყოველთაოობით, ხელშეუხებლობით და ძირითადი უფლებების დემოკრატიული ბუნებით. როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია ასკვნის, წევრმა სახელმწიფოებმა რასიზმის შემცირების მიზნით პრაქტიკული ღონისძიებების გატარება და საზოგადოებრივი აზრის გადალახვაც კი შეძლეს, თუ ეს უკანასკნელი ნელა მიმდინარეობდა. რასობრივი დისკრიმინაციის ცნება რასიზმის საკითხს იღებს აღიარებაზე მისი დამოკიდებულების ფარგლებს გარეთ. ამით ჩნდება იმისი შესაძლებლობა, რომ საზოგადოებებმა, ისევე როგორც ადამიანებმა, შეიძლება ვერ ისწავლონ რასისტული მიკერძოებისგან გონებრივი გათავისუფლება, სანამ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაიდგმება. ანტირასიზმისაგან შემდგარი საუკეთესო სახელმძღვანელო შეიძლება იყოს ანტიდისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანი მონუმობის გამოცდილება.

რასობრივი დისკრიმინაციის ამგვარმა განსაზღვრებამ რასობრივ დისკრიმინაციზე კვლევისას, გაერთიანებული ერების იმ კომიტეტს უხელმძღვანელა, რომლის მიზანიც დისკრიმინაციის ფორმების განსაზღვრა იყო, რომლებიც რეალურად ამოცნობადი და კანონიერად გამართლებულია, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღიარებული მთავრობის ანგარიშებსა ან პოლიტიკაში. თუმცა, რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევების სამართლიანობა ძალიან იშვიათია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიდგომაში.

ცოტა ხნის წინ, ევროპის საბჭოს დირექტივამ 43/2000 (29 ივნისი 2000) „რასობრივი ან ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად, ადამიანებს შორის თანაბარი მოპყრობის პრინციპის

წარმოშობის საფუძველზე, რომელსაც მიზნად ან შედეგად აქვს აღიარების, სარგებლობის ან განხორციელების ანუღირება ან შესუსტება ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე,

განხორციელება” ანტიდისკრიმინაციული პროცესისთვის ახალი პერსპექტივები გახსნა ევროპულ საზოგადოებებში. მან ეს შეძლო ყურადღების გადატანით რასისტული ქცევის ობიექტურ და უამრავ ასპექტზე. აღწერს არა მხოლოდ პირდაპირ, არამედ ირიბ რასობრივ დისკრიმინაციას, როგორც საზიანო შედეგებზე ადვილად ამოცნობად სოციალურ ფენომენს. სამოქალაქო ანტიდისკრიმინაციულ საქმეებში მტკიცების ტვირთის სიმძიმე გადააქვს მოპასუხეზე, დამნაშავეთა შორის კი შედიან არა სახელმწიფო პირები. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (აუევკ) ოქმი 12 (რომელიც რატიფიკაციისთვის მზად იყო 2000 წლის 4 ნოემბრიდან), ანტიდისკრიმინაციული პროცესისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ნათლად წარმოაჩენს მომავალს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში დაცული უფლებების უზრუნველყოფით, რასისა და ეროვნების საფუძველზე დისკრიმინაციისგან დასაცავად, არამედ შიდასახელმწიფოებრივად დაცული უფლებების უზრუნველყოფითაც.

„ნეგატიური უფლებების” ასპექტის გაძლიერებით ამგვარი განვითარება ხელს უწყობს ანტი–რასისტულ მიმართულებას. ეს არის ამ მიმართულების უნარი რასობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. შეიძლება ახლა შესაძლებელი და სასარგებლო იყოს იმისი განჭვრეტა, რომ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ორი ეტაპად მიმდინარეობს:

- *რასობრივი თანასწორობა.* პირველი ეტაპი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის ბრძოლაა. ამ ბრძოლის მიზანია სტაბილური სიტუაციის მიღწევა, რომელშიც არადისკრიმინაცია ნორმაა.
- *რასობრივი სამართლიანობა.* მეორე ეტაპის განმავლობაში, რომელიც ეფუძნება არადისკრიმინაციას, სრულყოფილი რასობრივი და ეთნიკური სამართლიანობის მიღწევის ძალისხმევა მიისწრაფვის „უმცირესობათა კულტურების უფლებებისკენ”, როგორც უილ კიმლიკამ და სხვებმა გამოიყენეს ტერმინი.²² ტერმინი პოლივალენტურია, მაგრამ ის აქ გამოყენებულია მხოლოდ

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ნებისმიერ სფეროში”.

²² უ. კიმლიკა (რედაქტორი.), *უმცირესობათა კულტურების უფლებები* (1995).

უფლებებთან და მათი ძალაში შესვლის პროცესებთან დაკავშირებით, რაც რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრას სცდება და ეძებს ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების დამატებით თავისუფლებას.

ადამიანის უფლებათა იერარქიის ფონზე,²³ უნდა გავითვალისწინოთ უმცირესობის წევრთა ისეთი ძირითადი სამოქალაქო უფლებების უპირატესობა უმცირესობათა სპეციალურ უფლებებზე, როგორცაა დისკრიმინაციისგან თავისუფლება, რომელიც ვრცელდება არადისკრიმინაციის დაცვის ფარგლებს გარეთ. ეთნიკურად ან რასობრივად მოტივირებული ძალადობა, ეთნიკური წმენდა, სათანადო პროცესის დარღვევა ან სისტემური რასობრივი სეგრეგაცია საგანმანათლებლო სფეროში, უფრო აქტუალურია ამ თვალსაზრისით, ვიდრე ისეთი (პოზიტიური) უფლებები, როგორცაა ვინმეს კულტურის, ხმის მიცემის ან უმცირესობის თვითმმართველობასთან დაკავშირებული უფლებების დაცვა. ეს უპირატესობა უნდა მოვათავსოთ ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის, განუყოფლობისა და ურთიერთდამოკიდებულების ჩარჩოებში.

როგორც ლუის ჰენკინმა და ბევრმა სხვამ აღნიშნა, ადამიანის უფლებები ჯერ კიდევ თეორიის ძიებაშია. ცალკეული ყოვლისმომცველი თეორია ინდივიდუალური პირის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე საფუძვლად არ ედება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებს ან გაზიარებულია ხელისმომწერი მხარეების მიერ. და მაინც, მცდელობისას, რომ რასობრივი დისკრიმინაციისგან თავისუფლების უფლება მოვათავსოთ სხვა უფლებათა კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, უპირველეს ყოვლისა, რომ ადამიანის უფლებათა დემოკრატიული ბუნება გულისხმობს ადამიანთა თანასწორობას ადამიანთა უფლებების გამოყენებაში. ამგვარად, იგულისხმება, რომ რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა მოქმედებს ყველა ადამიანისთვის, ყველა განსხვავების მიუხედავად.

²³ მორალური პატიოსნება შეუძლებელია ადამიანის ღირებულებებისა და პრინციპების იერარქიაში განთავსების გარეშე, ვიდრე მათი ხელში მომზადებულ მდგომარეობაში შენარჩუნება საჭირო შემთხვევაში გამოსაყენებლად, როგორც დამახასიათებელია „იდეოლოგიებისთვის“. ეს არგუმენტი სხვა კონტექსტშიც გამოიყენეს: ადამიანის უფლებების პრობლემის ანალიზი, წარმოდგენილი ნატოს მიერ განხორციელებული დაბომბვის მიერ, კოსოვოს ომის განმავლობაში. იხილეთ პეტროვა, „ომი და ადამიანის უფლებათა ერთიანობა“, 8 *ადმოსავლეთი ევროპის საკონსტიტუციო მიმოხილვა* (ზაფხული 1999).

მომდევნო განსხვავებები შეიძლება განვიხილოთ დისკრიმინაციისაგან თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული უფლებების არანაკლები ორი ჯგუფისთვის საერთო საფუძვლის დადგენის თვალსაზრისით:

- ზოგიერთი (შეზღუდული რაოდენობა) უფლება არსებობს ყველა ადამიანისთვის ნებისმიერი განსხვავების, მათ შორის რასისა და ეთნიკური განსხვავების გარეშე. (ესენია ერთი განმარტების მიხედვით „ადამიანის უფლებები“.)
- ყველა უფლება (ან უფრო სუსტი ვერსიის მიხედვით, ყველა უფლება, რომელიც არსებობს როგორც შიდასახელმწიფოებრივ სამართალში კანონიერი უფლება) არსებობს ყველა ადამიანისთვის რასისა და ეთნიკური განსხვავების გარეშე. (გაითვალისწინეთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არასავალდებულო აქტი 12 ითვალისწინებს ამ პრინციპს და ამგვარადვე იქცევა 2000 წლის 29 ივნისის ევროპის საბჭოს დირექტივა 2000/43. თუმცა, არცერთი დოკუმენტი არ სთავაზობს უფლების დაცვის გაფართოებას, რომ მოიცვას დისკრიმინაცია უფრო ფართო ფრონტზე, ამგვარად, ფაქტიურად დისკრიმინაციას ტოვებს, ყველაფერთან ერთად, მოქალაქეობის საფუძველზე.)

უფლებათა ეს ორი ჯგუფი ნაწილობრივ კვეთს ერთმანეთს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. უფლების მქონე პირის თვალსაზრისით, ჯგუფები ემთხვევა: „ადამიანის უფლებები“ საკუთარი (ჯგუფი 1) და არადისკრიმინაციული უფლებები (ჯგუფი 2). ორივეთი სარგებლობს ყველა ადამიანი. უფლებათა შინაარსის თვალსაზრისით (პასუხი შევითხვამე „რომელი უფლებები?“), პირველი მეორის უმრავლესობის ნაწილია, ვინაიდან რამდენიმე უფლება, ეგრეთ წოდებული „ძირითადი“ უფლებები, არსებობს ყველა ადამიანისთვის ყოველგვარი განსხვავების გარეშე. მეორე მხრივ, დისკრიმინაციის თვალსაზრისით მეორე პირველის უმრავლესობის ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები ამჟამად სუსტია იმ საშუალებების უზრუნველყოფაში, რომლებიც ანტიდისკრიმინაციის დამცველებს შეუძლიათ გამოიყენონ, რათა შედეგად მიიღონ დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

შესაბამისად, შიდა და საერთაშორისო სასამართლოებში სამართალწარმოება, სისტემატური რასობრივი დისკრიმინაციის შემთხვევებში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული დისკრიმინაციის განზრახვის მტკიცებულებაზე. თუმცა, ჩანს, რომ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ადვოკატები, სულ მცირე ევროპაში, შეიძლება იყვნენ რასობრივი ცვლილების განხორციელების ზღვარზე. სასამართლოს შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილების მიხედვით, სქესის ანტიდისკრიმინაციის სფეროში და ახლახანს მიღებული ევროპის საბჭოს დირექტივის 43/2000 თვალსაზრისით და გზებით, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აქტი 12-ის ძალაში შესვლის შემდეგ გაიხსნება, შესაძლოა ახლოვდება ის დრო, როდესაც სასამართლოები გამოაცხადებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოასწორებს სისტემურ რასობრივ დისკრიმინაციას, სადაც მიღებული მტკიცებულებები ამტკიცებს პრაქტიკის განსხვავებულ შედეგს რასის გათვალისწინებით, განზრახვის მიუხედავად.²⁴

(ii) რასობრივი დისკრიმინაცია და ჯგუფის უფლებები

„იმ პრინციპით, რომ ცუდი იდეები არასოდეს კვდება, არამედ უბრალოდ ხელახლა ჩნდება ახალი ფორმით, ჯგუფის უფლებების ცნება ხელახლა ამოდის ზედაპირზე და ამას საკმაოდ არასწორად აკეთებს“, წერდა ალბი საჩესი 1992 წელს აფრიკაში. „საჩივარი მზადდება იმისათვის, რომ გადალახოს ის, რაც მკაცრად არის გაკრიტიკებული, როგორც მაჟორიტარიზმი. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში უნდა არსებობდეს სპეციალური წარმომადგენლობა პოლიტიკური უმცირესობებისთვის.“²⁵ თუმცა, ალბი საჩესი თეთრკანიანებს ეძახის „პოლიტიკურ უმცირესობას“ და ის, ჩვენთვის პოლიტიკური დემოკრატიის საფუძვლის შეხსენებით, უარყოფს ნებისმიერ პრეტენზიას

²⁴ იმედისმოცემი პრეცედენტია ევროპის ბოშათა უფლებათა ცენტრის სარჩელი, რომელიც ამჟამად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემადგენლობაშია, რამდენიმე ბოშური ოჯახის სახელით ჩეხეთის რესპუბლიკიდან, ოსტრავადან. განმცხადებლები შეეცდებიან, აღმოეჩინონ სასამართლოს გადაწყვეტილებით გაყოფილი სკოლების ძლიერი სისტემა, რომელიც ბოშათა ბავშვების განათლების შესაძლებლობებს ზიანს აყენებს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში მათი უფლებების შემდგომ დარღვევებს იწვევს. მეტი დეტალისთვის სასამართლო დავაზე, იხილეთ ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის ვებ-გვერდი

<http://www.errc.org/publications/indices/czechrepublic.html>.

²⁵ ა. საჩესი, ადამიანის უფლებების დანინაურება სამხრეთ აფრიკაში (1992), 41–8ე.

ჯგუფის უფლებებზე. ფაქტი, რომ უმცირესობა, რომელიც მალე პოლიტიკურად დამარცხებული უნდა გამხდარიყო დაემთხვა რასობრივ ჯგუფსაც. და მაინც, აქ განხილვაში, ჯგუფის უფლებების „ცუდი იდეის“ თავიდან არიდება რთულია. უმჯობესია, მის შინაარსს პირისპირ შევხედოთ და დავინახოთ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი სასარგებლოება.

პირველი შეკითხვა: გვეხმარება ჯგუფის უფლებების ცნება რასობრივ დისკრიმინაციასთან მიმართებაში? თუ დისკრიმინაციისგან თავისუფლების უფლება რასის, ეთნიკურობის, კანის ფერის ან ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე გაგებულია მკაცრად ინდივიდუალურად, როგორც ერთპიროვნულად ინდივიდუალური უფლება, ან ინდივიდუალურ უფლებების დონემდე შესამცირებელი უფლება, ამის შემდეგ ჩვენ უფრო ძლიერ ან სუსტ მდგომარეობაში ვართ: (ა) რასობრივი დისკრიმინაციის პრაქტიკის განსაზღვრისთვის, (ბ) დისკრიმინაციის არსებობის საჩვენებლად ან (გ) სასამართლო დაცვის მისაღებად სასამართლოში.

მეორე შეკითხვა შეეხება ჯგუფის უფლებების ცნების სასარგებლოებას რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყებაში არადისკრიმინაციის ფარგლებს გარეთ. არსებობს ჯგუფის უფლებების ცნების სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გამოყენება, როცა ერთი გადადის რასობრივი დისკრიმინაციისგან თავისუფლების ძირითადი უფლების გარანტიიდან უმცირესობის უფლებების ფორმულირებამდე, როგორც პოლიტიკური წარმოდგენა ან უმცირესობის კულტურის დაცვა?

დისკუსიის მიზნისთვის, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოთ ჯგუფის უფლებების ცნების შესაბამისი ასპექტები. როგორც უილ კიმლიკამ აღნიშნა, განსხვავება „არადისკრიმინაციასა“ და „ჯგუფის უფლებებს“ შორის ლიტერატურაში ნაცნობია, მაგრამ, თავად კიმლიკა მკაცრად არ გამოხატავს განსხვავებას.

„რასაც ვოლზერი ეძახის „ნეიტრალურ სახელმწიფოს“, შეიძლება დავინახოთ, როგორც „ჯგუფის უფლებების“ სისტემა, რომელიც ამყარებს უმრავლესობის ენას, ისტორიას, კულტურასა და კალენდარს“, ამბობს ის მაიკლ ვოლზერისა და ნათან გლეიზერის პოზიციის ანალიზისას. „ამის საპირისპიროდ, რასაც გლეიზერი ეძახის

„ჯგუფის უფლებების” მოდელს ჩანს, როგორც არადისკრიმინაციის უფრო ძლიერი ფორმა.”²⁶

განიხილეს, რომ უმცირესობათა მოპყრობის არადისკრიმინაციული მოდელი მოქმედებს იმ საზოგადოებებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები იმიგრანტი ჯგუფებია, როგორც შეერთებულ შტატებშია. „ახალი მსოფლიო პლურალიზმი”, რომელიც გამოწვეულია „ნეიტრალური სახელმწიფოს” მიერ ეთნიკური ჯგუფის წევრების თანაბარი მოპყრობით, დაუპირისპირდა „ძველ მსოფლიო პლურალიზმს”, რომელიც გამოწვეულია სიტუაციისგან, რომელშიც ეთნიკურ უმცირესობებს ურჩვენიათ მათი კულტურული განსხვავებულობა და თავს იკავებენ უფრო დიდ საზოგადოებასთან შერწყმისგან. ამ უკანასკნელის უპირატესობის განმარტებაში მიიჩნევა, რომ ძველი მსოფლიოს უმცირესობათა კულტურები ერთი კულტურიდან მეორეზე გადავიდა არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებითი შერწყმით დაპყრობის, კოლონიზაციის ან ტერიტორიის დათმობის შედეგად. უმცირესობები არ არიან კმაყოფილნი არადისკრიმინაციული და საბოლოო ინტეგრაციით, არამედ მოითხოვენ უფრო მეტს, თვითმმართველობას, პროპორციულ პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ წარმომადგენლობას ან უმრავლესობის მმართველობის ფორმიდან გამოცალკევების განსხვავებულ ხარისხს.

უდავოა, ვინმემ შეიძლება უარყოს ზემოთხსენებული განსხვავება. არსებობს მნიშვნელოვანი საჩმეები, რომლებიც მოხერხებულად არ ეწყობა მას. ბოშები ევროპაში არ არიან ემიგრანტები, რომლებსაც ინტეგრაცია სურთ. არც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გვევლინებიან ევროპაში, როგორც კომპაქტური კულტურული, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები, რომლებიც იძულებითი გაერთიანების შედეგად გაჩნდნენ. ადვილი არ არის მათი შედარება სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან ევროპაში, რომლებმაც ბევრი იბრძოლეს დამოუკიდებლობისთვის. სურათი გართულებულია. ბოშათა დღის წესრიგი ისევ არსებობს და ბუნდოვანია, თუ როდის გაიმარჯვებს მხოლოდ არადისკრიმინაციის

²⁶ „შესავალი”, კიმილიკასთან, *გემოთ ნახსენები* N 22, 10–ზე. ამ თვალსაზრისით, იხილეთ ასევე ციტირებული ლიტერატურა კიმილიკას მიერ არგუმენტის შესაჯამებლად მაიკლ ვოლზერისა და ნათან გლეიზერის შეხედულებათა გაცნობისას.

მიღწევაზე დაფუძნებული გაერთიანების მოთხოვნები სხვა მოთხოვნებზე, სახელმწიფოებრიობის და სპეცილური უფლებებისთვის „გაერთიანებულ ევროპაში“.

რა თქმა უნდა, დისკუსია დიდად არის დამოკიდებული ჩვენ მიერ „ჯგუფის უფლებების“ განსაზღვრებაზე. არსებობს ორი შესაძლო არჩევანი:

- *ჯგუფის უფლებები ის უფლებებია, რომლებიც არ დაიყვანება შესაბამისი ჯგუფის წევრების უფლებათა ჯამამდე.* უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის კონკრეტული უფლებები შეიძლება იყოს მთავარი საკითხი. რუმინეთში, მაგალითად, კონსტიტუციით გარანტირებულია ეთნიკური უმცირესობის კანდიდატის უფლება ეკავოს პარლამეტში ერთი ადგილი, უმცირესობის კანდიდატს აქვს ხმების 5 %, რაც საჭიროა პარლამეტის წევრის ასარჩევად საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე. უფლება ეკუთვნის ეთნიკურ უმცირესობას იმგვარად, რომ რთულია მისი, როგორც უმცირესობის ყველა წევრის ინდივიდუალური უფლების ჯამის გაგება.
- *ჯგუფის უფლებები ის უფლებებია, რომლებსაც ჯგუფის წევრი მართო ვერ მოითხოვს.* ჯგუფის უფლებების ცნების გაგების ერთი გზაა მისი გამოყენება ისეთ საქმეებში, რომლებშიც ინდივიდუალური ჯგუფის წევრი მართო ვერ შეძლებს უფლების აღსრულებას, მაგრამ უფლება შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ „საზოგადოებაში სხვებთან ერთად“. მართლაც, თუ ჯგუფის უფლება ამგვარად იქნება განსაზღვრული, ბევრ უფლებას აღმოვაჩენთ „ჯგუფის უფლებად“. ცხადია, ცალკე მყოფი ინდივიდუალური პირი, სხვათა დახმარების გარეშე, ადვილად ვერ შეძლებდა მიეღო დადებითი პასუხი მის მოთხოვნაზე ინსტრუქციისა და მედიისთვის, რათა გამოიყენონ მისი მშობლიური ენა. უფრო მეტიც, თუ უფლებები მიენიჭება, ინდივიდუალური პირი, სხვებისგან დამოუკიდებლად, მართო ვერ გამოიყენებს მას. ამ თვალსაზრისით, კონკრეტული კანონების დაკვირვებისას, კულტურულ და რელიგიურ საფუძველზე გათავისუფლება არ არის ჯგუფის უფლებები: მაშინაც კი თუ ქვეყანაში მხოლოდ ერთი სიქია, იგი უნდა გათავისუფლდეს კანონისგან,

რომლის მიხედვითაც ველოსიპედისტებმა ჩათხუტი უნდა ატარონ. ამ გაგებით, ჯგუფის უფლებები არის მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც არსებითად შეიძლება მოითხოვოს და განახორციელოს ჯგუფმა.

რაც არ უნდა იყოს თეორია, პრაქტიკული თვალსაზრისით, სანამ ინდივიდუალურმა პირმა შეიძლება მოითხოვოს ინსტრუქცია ან მედია მის მშობლიურ ენაზე ან პოლიტიკური მონაწილეობა მისი ეთნიკური ჯგუფის ზომის პროპორციულად, ის მართო ვერ განახორციელებს მოთხოვნილ უფლებას იმავე ეთნიკური ჯგუფის წევრების მონაწილეობის გარეშე. ჯგუფის ცნებაში იგულისხმება რიგი უფლებებისა (რელიგიური, ლინგვისტური, კულტურული და ა. შ.) მისი შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით, თუმცა, არა აუცილებლად უფლების არსებობის თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კონკრეტული უფლებები (მაგალითად, პროპორციული პოლიტიკური წარმომადგენლობის უფლება) არის ინდივიდუალური, მაგრამ ამ უფლების გამოყენება მიუხედავად ამისა, სხვების გარეშე წარმოუდგენელია.

ჯგუფის უფლებების მონინაალმდგეგებმა აღნიშნეს, რომ ინდივიდუალური უფლებების შეზღუდვა ჯგუფის უფლებების სახით ბუნდოვანს ხდის იმ ფაქტს, რომ უპირატესობა ენიჭება ზოგიერთ პირთა ინტერესებს სხვების მიმართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დაკვირვება უნდა იყოს დაცული რასიზმის აღმოფხვრაში ჯგუფის უფლებების სარგებლობის შემოწმების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: შეგვიძლია შესაბამისად გავუმკლავდეთ რასობრივ დისკრიმინაციას ჯგუფის უფლებების ცნებაზე დაყრდნობის გარეშე? ვერნონ ვან დიკეს მიხედვით:

ის ხელს შეუწყობდა აფირმაციულ ქმედებას თუ ეთნიკურ საზოგადოებებს მიიღებდნენ როგორც უფლებისა და მოვალეობის მატარებელ ერთეულებს. ყველაფრის შემდეგ, დისკრიმინაცია, რომლისთვისაც აფირმაციული ქმედება ამანაზღაურებელია, მიმართულ იქნა ინდივიდუალური პირების წინააღმდეგ კონკრეტულ საზოგადოებებზე მათი წევრობის გამო, მათი საშუალებით კი საზოგადოების წინააღმდეგ, როგორც ასეთი. ამ გაგებით დისკრიმინაცია მიუკერძოებელი იყო. ეს არ გულისხმობდა კონკრეტული

პირისთვის კონკრეტული შესაძლებლობების შეზღუდვას და მის გამორიცხვას ან არდაშვებას. არამედ, ეს უფრო იყო მთელი საზოგადოებისთვის თავისი ადგილის მიჩენა. სანაცვლოდ, უნდა განხორციელდეს ამანაზღაურებელი მოქმედება მთელი საზოგადოებისთვის და ინდივიდუალურ წევრებს ნება უნდა მიეცეთ ისარგებლონ, მაშინაც კი თუ მათ პირადად არ გადაუტენიათ დისკრიმინაცია.²⁷

სწორედ რასობრივი დისკრიმინაციის ცნება გულისხმობს საზოგადოებაში ჯგუფების არსებობას. მართალია *ინდივიდუალური პირები* არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, მაგრამ ისინი დისკრიმინაციას განიცდიან არა მათი უნიკალური ინდივიდუალურობის გამო (რომ აქვთ სახელი და სახე), არამედ იმიტომ, რომ ისინი არიან მეტ-ნაკლებად უარყოფითად აღქმული ჯგუფის წევრები. დისკრიმინაცია რასის, ეროვნების, რელიგიის და სხვათა საფუძველზე არის ადამიანის თანაბარი მოპყრობის *ინდივიდუალური* უფლების დარღვევა, მაგრამ ზოგი მსხვერპლი ხდება იმის გამო, რომ ის ჯგუფის წევრია. აქედან გამომდინარე, დისკრიმინაციის ცნება დაფუძნებულია ჯგუფში განწევრიანების წინასწარ განზრახვაზე. დისკრიმინაცია გულისხმობს ჯგუფს. მაგრამ გულისხმობს ის *ჯგუფის უფლებებს?*

სადავო პრაქტიკამ შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში აჩვენა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის გამოსწორებას მთლიანად შეიძლება მივაღწიოთ ინდივიდუალური უფლებების პარადიგმით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფის უფლებების მიღწევა შესაძლოა იყოს შედეგიანი და, ალბათ უფრო ადვილი. მსგავსად, ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის სასამართლო პროცესში, რომელიც გამოწვეულია ბოშების განაწილებით გონებრივი ნაკლის მქონეთა სკოლებში, ინდივიდუალური უფლებების ჩარჩოები საკმარისი აღმოჩნდა, როგორც არსებული რასისტული პრაქტიკის შესახებ პრეტენზიების ფორმულირებისთვის, ასევე დაცვის საშუალებების მოთხოვნისთვის. მტკიცებულება, სტატისტიკასთან ერთად, მიზნად ისახავს იმის დამტკიცებას, რომ სისტემური დისკრიმინაცია ბოშა ბავშვების სასკოლო განათლების პროცესში გამოწვეული იყო ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის მიერ

²⁷ ვან დიკი, „ინდივიდუალური პირი, სახელმწიფო და ეთნიკური საზოგადოებები პოლიტიკურ თეორიაში“, კიბლიკასთან, *გემოთ ნახსენები* N 22, 50–89.

ჯგუფის უფლებათა კონცეფციის გარეშე.²⁸ თუ მსგავს შემთხვევებში დაზარალებულებისთვის არსებობს გამოსავალი, შესაძლებელი იქნება, რომ განვმარტოთ ეს გამოსავალი, როგორც ინდივიდუალური პირებისთვის მიღებული ზომები.

თუმცა, პოლიტიკური წარმომადგენლობის უფლებებთან დაკავშირებით, შესაძლოა, გონივრული იყოს ჯგუფის უფლებათა „ცუდი ცნების“ გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს სიტყვების შებრუნება, რათა საკითხი შეეგუოს ჯგუფის ინდივიდუალური წევრის უფლებების ენას, რათა მან მისცეს ხმა ან იცხოვროს სახელმწიფო თუ საჯარო ადმინისტრაციის ფარგლებში, რომელიც მის ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს. შეიძლება სცადონ რუმინეთის კონსტიტუციური გარანტიის, რომელიც გულისხმობს პარლამენტში ეთნიკური უმცირესობებისთვის ადგილს, ფორმულირება, როგორც ინდივიდუალური უფლებისა, მაგალითად, იმისთვის, რომ წინააღმდეგობას მოეფინოს ნათელი. პრობლემა არ არის აუცილებლად ის, რომ ადამიანს არ შეუძლია აღიქვას ჯგუფის ყველა მოთხოვნა, ჯგუფის წევრობის უფლების თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ თუ უფლებით აღჭურვილი ერთეული ჯგუფია, მაშინ უფლების გამოხატვა უფრო შესაფერისი ხდება და უფრო ზუსტად ირეკლავს სოციალურ სინამდვილეს, თუ ის ეხება ჯგუფს, ვიდრე უბრალოდ ინდივიდუალურ პირს.

ეს კომენტარები ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საკითხი *ინდივიდუალური უფლებები ჯგუფის უფლებების წინააღმდეგ*, მხოლოდ ვერბალური ხასიათისაა. პირიქით, რეალობა თავად არის დიალექტური. შესაბამისი კითხვა იქნებოდა: „არის ტერმინი „ჯგუფის უფლება“ და იდეა, რომელიც მას უსვამს ხაზს და გულისხმობს შეუმცირებელი უფლებების ცნებას, რომლითაც აღჭურვილია ჯგუფი, უფლებების დასაცავად უკეთესი საშუალება? ამგვარად, ჩვენ უნდა ვუყურებდეთ პრობლემას ჩვეულებრივი პერსპექტივიდან, როგორც ამას აკეთებდა ანრი პოინკარე ბუნებრივი მეცნიერების ცნების სტატუსის გაგებაში. თუ ჩვენ

²⁸ იხილეთ ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის 1999 წლის 15 ივნისის პრეს-რელიზი ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ბოშური ოჯახების მიერ შეტანილი სარჩელის შესახებ, <http://www.errc.org/publications/indices/czechrepublic.html>.

მივიღებთ ჩვეულებრივ თვალსაზრისს, რასიზმის აღმოფხვრაზე ჩვენი მიდგომა გახდება უფრო პრაგმატული და მიზნად დაისახავს უფრო მეტად კონკრეტულ შედეგებს, ვიდრე მეტაფიზიკური კითხვების გადანწყვეტას.

ანალიზი

„პირველთაგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუად იგი. იოვანეს სახარების პირველივე ფრაზა ენის, მეტყველების განსაკუთრებულ ღირებულებაზე მიგვანიშნებს. სიტყვა როგორც შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის. სიტყვა როგორც ღვთიურობასთან ადამიანის მიახლოების ერთადერთი გამომხატველი, სიტყვა როგორც ღვთის ნების გამოცხადების ერთადერთი საშუალება. ენისადმი ასეთ დამოკიდებულებას თავისი საფუძველი აქვს. სამყაროს შეცნობა ადამიანს მხოლოდ ენით შეუძლია. ენა იმავდროულად პიროვნების სოციალური და ეროვნული ვინაობის გამომხატველია.“ [ბ. ჯორბენაძე 1997: 6].

საზოგადოების ფორმირებისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენას. ენა ერის კულტურის პროდუქტი და მისი შემდგომი განვითარების საფუძველია.

„ენა ადამიანის თვითგამოხატვის საშუალებას წარმოადგენს და ადამიანთა შორის კომუნიკაციის მიზნით გამოიყენება. მეცნიერების დარგს, რომელიც ენას, როგორც ნიშანთა სისტემას იკვლევს, ენათმეცნიერება ეწოდება.“ [მ. თანდილაშვილის ლინგვისტური გვერდი]. ენის მეშვეობით დოკუმენტირებული რესურსები საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ არა მარტო ენების სტრუქტურულ განვითარებას, არამედ ამ ენათა მატარებელი ხალხის კულტურულ და ისტორიულ ევოლუციას.

ენის სხვადასხვა სახეს შორის გამოიყოფა იურიდიული ენა. იგი ზუსტი, ანუ მკაცრად ლოგიკურია. ამ თვალსაზრისით, „სამართლებრივი მეტყველება“ არსებითად სამეცნიერო ენის მსგავსია. დასაძლევია რთული წინადადების აგებისადმი მიდრეკილება. ნაშრომის სიმდიდრე ვლინდება აზრის ლაკონიურად გადმოცემაში. მნიშვნელოვანია, აზრი იყოს ღრმა, თუმცა, გადმოცემული მაქსიმალურად მარტივი ენით. მოსარიდებელია მაღალთვარდოვანი ფრაზების გამოყენება. ზედმეტი სიტყვა ქმნის აზრის არასწორად გაგების საფრთხეს, ყურადღებას უღუნებს მკითხველს. სხვადასხვა წინადადება ერთიან აზრად მაკავშირებელი სიტყვებით იქცევა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწორი მაკავშირებელი სიტყვების შერჩევა. ისინი კრავს ტექსტს და საკითხების თანმიმდევრული და სწორი აღქმისათვის შეუცვლელია. უპირატესობა ენიჭება მოკლე წინადადებებს.

სტილი წარმოშობით ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ჯოხს, რომლითაც წერდნენ გასანთლულ ფირფიტაზე. თანამედროვე ქართულ ენაში გამოიყოფა: ა) წიგნური ფუნქციური სტილები: სამეცნიერო, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი; ბ) სასაუბრო სტილი. ოფიციალურ-საქმიანი სტილი გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტში და ემსახურება სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარებას მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის. მისი გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა (საერთაშორისო მოლაპარაკებებიდან და საკანონმდებლო საქმიანობიდან დაწყებული საქმიანი მიმოწერით დამთავრებული). ამ სტილის მნიშვნელოვანი ფუნქციებია - შეტყობინება და ზემოქმედება, რომელთა რეალიზაცია ხდება ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა: კანონები, დადგენილებები, ბრძანებები, ხელშეკრულებები, განცხადება, და ა.შ. ამ სტილს ადმინისტრაციულსაც უწოდებენ, რადგან ის აწესრიგებს ოფიციალურ ურთიერთობებს, სამართლისა და სახელმწიფო პოლიტიკის სფეროს. ოფიციალურ-საქმიანი სტილი გამოირჩევა თავისი სტაბილურობით და სტანდარტულობით. ოფიციალური სტილისთვის დამახასიათებელია სპეციალური სიტყვებისა და ტერმინების გამოყენება. ლაკონიურობისკენ მისწრაფება განაპირობებს აბრევიატურების სიმრავლეს, სახელმწიფო დაწესებულებების, ორგანიზაციების, პარტიების სახელების შემოკლებას. ოფიციალურ-საქმიან სტილში ხშირად გამოიყენება ზმნის აღწერითი ვნებითი: დანიშნულ იქნა, მიღებულ იქნა. ასევე მესამე პირის განზოგადებული ფორმები: განემარტა. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ერთ-ერთი ქვესტილია კანონშემოქმედებითი (იურიდიული), რომელიც წარმოდგენილია კანონებში, კონსტიტუციაში, ბრძანებებში, წესდებებში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის აქტებში. (ნ.გაფრინდაშვილი, დ. თვალთვაძე 2005).

თარგმანი ადამიანური მოღვაწეობის რთულ და მრავალმხრივ სახეს წარმოადგენს. ადამიანის სოციალურმა ცხოვრებამ, მისმა ურთიერთობამ სხვა ერებთან, ტომებთან, სახელმწიფოებთან განაპირობა თარგმანის საჭიროება. თარგმანის პროცესში მხოლოდ ერთი ენის მეორეთი შეცვლა არ ხდება. თარგმანში აისახება განსხვავებული კულტურები, სხვადასხვაგვარი აზროვნება, ტრადიციები.

ინგლისელი თარგმანთმცოდნე ჯონ კეტფორდი თარგმანს განსაზღვრავს, როგორც

„ერთი ენის (ამოსავალი ენა) ტექსტური მასალის შეცვლას მეორე ენის (თარგმანის ენა) ეკვივალენტური ტექსტური მასალებით.“ ამერიკელი მკვლევარიც იუჯი ნაიდაც ამტკიცებს, რომ „თარგმნა ესაა თარგმანის ენაზე ორიგინალის ახლობელი ბუნებრივი ეკვივალენტის“ შექმნა.[6. გაფრინდაშვილი, სალექციო კურსი: მთარგმნელობითი ეკვივალენტობა: 2].

„მთარგმნელობისთვის დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც მწერლისთვის ცოცხალი სინამდვილე. თარგმნა ერთსა და იმავე დროს ანალიზური და სინთეზური პროცესია, სადაც ანალიზური მეცნიერულ კვლევას უახლოვდება, სინთეზური კი შემოქმედებით მომენტთანაა დაკავშირებული.“ [დ. ფანჯიკიძე 1988: 10]. თარგმანი ვერასდროს ხორციელდება უბრალოდ ერთი ფორმის მეორეთი შეცვლის გზით და მთარგმნელს მუდმივად უწევს გადაწყვეტოს, სათარგმნი ენის რომელი ენობრივი ერთეული უფრო შეესაბამება შინაარსით ორიგინალში მოცემული სიტყვის მნიშვნელობას. დღეს მიღებული აზრის მიხედვით, თარგმანი არის არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტუროლოგიური პროცესი. შესაბამისად, მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს არა მხოლოდ ენა, რომელზეც იგი თარგმნის, არამედ იმ ხალხის ეთნოგრაფია და კულტუროლოგია, რომელიც თარგმანის ენაზე საუბრობს.

ი. ი. რეცკერი წერს, რომ მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის საშუალებით მთლიანობაში და ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და ამავე დროს შეინარჩუნოს მისი სტილისტური თავისებურებანი. თარგმანის „მთლიანობაში“ მოიაზრება ფორმისა და შინაარსის ერთიანობა სხვა ენობრივ საფუძველზე.

„1790 წელს ინგლისელი ა. ტაიტლერის წიგნში „თარგმანის პრინციპები“ თარგმანის მიმართ ძირითადი მოთხოვნები ასე იყო ჩამოყალიბებული:

1. თარგმანი სრულად უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის იდეებს;
2. თხრობის სტილი და მანერა თარგმანში ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ორიგინალშია;
3. თარგმანი ისევე ადვილად უნდა იკითხებოდეს, როგორც ორიგინალური ნაწარმოებები;“ [6. გაფრინდაშვილი, სალექციო კურსი: თარგმანის თანამედროვე თეორიის დახასიათება: 2].

აღსანიშნავია, რომ ასეთი მოთხოვნები დღესდღეობით ანბანურ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული.

არსებობს მხატვრული და არამხატვრული (ინფორმაციული) თარგმანი: სამეცნიერო-ტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული და სხვა. ვინაიდან მე-20 საუკუნე აღინიშნებოდა მეცნიერების ყველა დარგის სწრაფი და პროდუქტიული განვითარებით, ახალი მიღწევები ამა თუ იმ დარგში აუცილებლად სხვადასხვა ენაზე უნდა თარგმნილიყო, რათა ამით უზრუნველყო საერთაშორისო მეცნიერების განვითარება და მეცნიერთა თანამშრომლობა. სწორედ ეს გახდა თარგმანის სპეციალური დარგების შექმნის საფუძველი და მიზეზი. არამხატვრულ, ანუ ინფორმაციულ თარგმანში, რომლის ერთ-ერთი სახეა იურიდიული თარგმანი, ძირითადი პრობლემა ორი ენის ერთმანეთს განსხვავებაში, მათ ფუნქციონირებაში, სამეტყველო ერთეულებისა და ტექსტების აგებაში გამოიხატება.

იურიდიული თარგმანი თარგმანის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა. იგი აერთიანებს ლიტერატურულ თარგმანში არსებულ კრეატიულობას ტექნიკური თარგმანის ზუსტ ტერმინოლოგიასთან. „*იურიდიული ტექსტის თარგმანი უფრო და უფრო მეტად იპყრობს ენათმეცნიერების ყურადღებას იმ თვალსაზრისით, რომ სამართლის ენა რთულია და საჭმე აქვს სპეციალიზებულ ლექსიკასთან და სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებულ საკანონმდებლო რეალობასთან. მთარგმნელის მნიშვნელოვანი მიზანია ინფორმაციის ზუსტად და შესაბამისად გადატანა.*

იურიდიული თარგმანის ამოცანაა დაეხმაროს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს იურიდიული ინფორმაციის გადაცემაში. კანონი არეგულირებს ადამიანების მოღვაწეობის ყველა სფეროს.” [A.O. Бондаренко 2016: 87].

მთავარი სირთულე იურიდიული დოკუმენტების თარგმნისას არის ის, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი სამართლებრივი სისტემა აქვს. სირთულეები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორცაა სამართლებრივ სისტემებში განსხვავებები იმ ქვეყნებში, სადაც წყარო და სამიზნე ენებზე ლაპარაკობენ, სამართლის ენის პირდაპირი ბუნება და ა.შ. იურიდიულ ტერმინებს საფუძვლად უდევს ქვეყნის კონკრეტული ეროვნული კანონმდებლობა. ეს უკანასკნელი ისტორიული გამოცდილების

შედგია და აქედან გამომდინარე, ატარებს გარკვეულ რეგიონულ ასიმეტრიას. იურიდიული ტერმინოლოგია თავისი ბუნებით ექვემდებარება შეუსაბამობას. შეუსაბამობა მერყეობს ახლო კონცეპტუალური ეკვივალენტიდან სრულ სიცარიელემდე. ეს დიდად უმლის ხელს იურიდიული დოკუმენტების ზუსტ თარგმანს. რადგანაც წყარო ენის ბევრ გამონათქვამს შეიძლება არ მოეძებნებოდეს ზუსტი ეკვივალენტი სამიზნე ენაში და ზუსტი თარგმანი შეიძლება აზრს მოკლებული იყოს. ასეთ შემთხვევაში ორიგინალი გამონათქვამის აღდგენა ხდება პერიფრაზირების საშუალებით. იურიდიული თარგმანის კიდევ ერთი სირთულე დამოწმებაა. ეს საჭიროა, როდესაც ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა: დაბადების და გარდაცვალების მოწმობა, საიმიგრაციო საბუთები, უნივერსიტეტის ცნობები, ქორწინების მოწმობა და ა.შ. წარდგენილია უცხო ქვეყნებში სასამართლოებისა და სხვა ინსტიტუტების მიერ, როგორც სამართლებრივი ჩანაწერი. მთარგმნელმა ნოტარიუსის თანდასწრებით უნდა მოაწეროს ხელი, რათა დაადასტუროს თარგმანის სიზუსტე.

„შეიძლება ითქვას, რომ თარჯიმანს სჭირდება პროფესიონალურ დონეზე არა მარტო ენის, არამედ კულტურის ცოდნაც, რათა უზრუნველყოს იურიდიული საკითხების ადეკვატური და ეკვივალენტური თარგმანი. თარჯიმნისთვის უმთავრესია არა მხოლოდ სრულყოფილი, ხარისხიანი თარგმანის შესრულება, არამედ ის, რომ გადაღახოს კულტურული და ენობრივი განსხვავებები იურიდიულ სფეროში.” [А.О. Бондаренко 2016: 88].

მინდა რამდენიმე სიტყვით ვისაუბრო ჩემ მიერ ნათარგმნი თავების ავტორებზე. სანდრა ფრედმანი გახლავთ ოქსფორდის უნივერსიტეტში სამართლის პროფესორი და სამართლის ლექტორი ეკზეტერის კოლეჯში, ოქსფორდში. იგი ძირითადად მოღვაწეობს დისკრიმინაციის, ადამიანის უფლებებისა და შრომის სამართლის სფეროში და დაწერილი აქვს არაერთი სტატია და წიგნი ამ მიმართულებით. იგი, ამავე დროს, ამ წიგნის რედაქტორია. დიმიტრინა პეტროვა ბუდაპეშტში ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის მთავარი დირექტორია. 1997 წლიდან ის ასწავლიდა „ბოშათა უფლებებსა” და „ადამიანის უფლებათა პოლიტიკას” ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში. იგი კითხულობს ლექციებს ადამიანის უფლებების სფეროში. აქვეყნებს სტატიებს ადამიანებისა

და უმცირესობების უფლებებზე, პოლიტიკასა და საჯარო სამართალზე. 1994 წელს მან მიიღო ადამიანის უფლებების ჯილდო ამერიკის ადვოკატთა ასოციაციისაგან.

დიდხანს ვფიქრობდი, თუ რომელი წიგნი შემერჩია ჩემი სამაგისტრო ნაშრომისთვის. შემდეგ კი გადავწყვიტე ამერჩია ის თემა, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების პრობლემას წარმოადგენს. გამუდმებით გვესმის ადამიანთა ჩაგვრისა და შევიწროვების ფაქტები, რაც ჩემთვის ძალიან მტკივეულია და უსამართლობის განცდას მიჩენს. შესაბამისად, გადავწყვიტე წიგნის „დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები (რასიზმის შემთხვევა)“ თარგმნა. თარგმნისას არაერთი პრობლემა შემხვდა. ვისაუბრებ ამ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

„ტერმინი არის სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგის გარკვეულ ცნებას.“ [National Parliamentary Library of Georgia]. თარგმნისას ერთ-ერთი სირთულე სწორედ ტერმინების თარგმნა იყო. „იურიდიული ტერმინი – სიტყვა ან სიტყვათა კომბინაციაა, რომელიც გამოყენებულია იურისპრუდენციაში და იურიდიული ცნებების კოლექტიური სახელწოდებაა, რომელსაც ახასიათებს სიზუსტე, გამჭვირვალობა, ერთმნიშვნელოვნება და რომელსაც აქვს ზუსტი და კონკრეტული მნიშვნელობა და ფუნქციონალური ურღვეობა.“ [A.O. Бондаренко 2016: 87]. ჩემი თარგმანის ანალიზის ამ ნაწილში ვისაუბრებ იურიდიული და არაიურიდიული ტერმინებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის სახელწოდებებზე, რომელთა თარგმნაც რთული აღმოჩნდა ჩემთვის.

1. „*Race discrimination legislation in Britain was coincident with the imposition of stricter immigration control, and it may be no accident that the power to legislate against race discrimination at EC level came soon after the agreed imposition of immigration controls around 'Fortress Europe'.*“ [ს. ფრედმანი 2001: 13].

წინადადება იყო გრძელი, რის გამოც, გადავწყვიტე მისი გახლეჩვა, რათა უფრო გასაგები ყოფილიყო მკითხველისთვის. წინადადება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში გხვდება ერთი ფუძიდან წამოსული არსებითი სახელიც და ზმნაც: „legislation“ – „კანონმდებლობა“ და „to legislate“ „კანონმდებლობის წარმოება“. აბრევიატურა არის

წერისას სიტყვების პირობითი შემოკლება. წინადადებაში იყო აბრევიატურა „EC - European Commission” იგივე „ევროკომისია”. იქვე შემხვდა ტერმინი „Fortress Europe”, რომელიც ჩემ მიერ მოპოვებული ინგლისურენოვანი ინფორმაციით სამხედრო პროპაგანდის ტერმინი იყო, რომელსაც იყენებდა მეორე მსოფლიო ომის ორივე მხარე და აღნიშნავდა კონტინენტური ევროპის იმ ტერიტორიას, რომელიც ოკუპირებული იყო ნაცისტური გერმანიის მიერ. მის ქართულ შესატყვისს დიდხანს ვეძებდი, მივმართე ისტორიკოსსაც. თუმცა, აღმოჩნდა რომ მისი შესატყვისი ქართულ ენაში არ მოიპოვება. ამიტომ ტერმინი ვთარგმნე სიტყვა-სიტყვით, როგორც „ციხე ევროპა”.

„ბრიტანეთში კანონდებლობა რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ დაემთხვა უფრო რთული საიმიგრაციო კონტროლის შემოღებას. შესაძლოა არ იყო შემთხვევითი, რომ ევროკომისიის დონეზე რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონმდებლობის შექმნის შესაძლებლობა მალევე მიეცათ, „ციხე ევროპაში” საიმიგრაციო კონტროლის შეთანხმებული შემოღების შემდეგ.”

2. *„Possibilities include the redistributive role of alleviating disadvantage, the liberal goal of threatening all with equal concern and respect, the neo-liberal goal of market or contractual equality, and the political goal of access to decision-making processes.”* [ს. ფრედმანი 2001: 15].

სიტყვა „redistributive” ხშირად მეორდებოდა ორიგინალის ტექსტში, რის გამოც ბევრი ვიფიქრე მის თარგმანზე. „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის მიხედვით”, სიტყვა distributive ნიშნავს: 1. გამანაწილებელს 2. განაწილებით/გავრცელებით დაკავებულს. „Oxford Learner’s Dictionaries” მას ასე განმარტავს: 1. რაღაცის განსხვავებულად გაზიარების ეფექტი აღამიანებს შორის. რამდენადაც ტექსტი ძირითადად შეეხება დომინანტ და მასზე დაქვემდებარებულ ფენას შორის ურთიერთობას, გადავწყვიტე რომ ტერმინი მეთარგმნა, როგორც „ძალების გადაჯგუფება”.

„შესაძლებლობები მოიცავს: ჩავვრის შესამსუბუქებლად ძალების გადამაჯგუფებელ როლს, ლიბერალურ მიზანს, რათა ყველას მოეცენ თანაბარი ზრუნვითა და პატივისცემით, საბაზრო და სახელმეკრულებო თანასწორობის ნეოლიბერალურ მიზანს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობის პოლიტიკური

მიზანს.”

3. „In this way, the absence of relevantly qualified Filipinos defeated the claim, rather than giving rise to any redistributive obligations.” [ს. ფრედმანი 2001: 25].

„Defeated the claim” - „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის მიხედვით” სიტყვა claim ნიშნავს : 1. მოთხოვნას, პრეტენზიას. 2. სარჩელს, ხოლო defeat 1. იურიდიულად გაუქმება, ანულირებაა. ვინაიდან ამ სიტყვაშეთანხმების ზუსტი მნიშვნელობა ვერ ვიპოვე, ამიტომ ის ვთარგმნე ამ ორი სიტყვის შინაარსის მიხედვით, როგორც „სარჩელის არ დაკმაყოფილება”.

„ამგვარად, სათანადოდ კვალიფიცირებული ფილიპინელების არ არსებობის გამო სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნაცვლად იმისა რომ ძალთა გადამაჭკუფებელი მოთხოვნისთვის შეეწყობა ხელი.”

4. „Formal Equality or Equality as Consistency”. [ს. ფრედმანი 2001: 16].

ეს გახლავთ ტერმინები, რომლებიც ხშირად მეორდება ორიგინალის ტექსტში. „Formal Equality” - ვთარგმნე მისი შინაარსის მიხედვით. სიტყვა „Consistency” პოლისემიური სიტყვაა. „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის” განმარტებით ის არის: 1. თანამიმდევრულობა, ლოგიკურობა, 2. მუდმივობა, ურყევობა 3. აზრთა ერთიანობა. ჩავთვალე, რომ აქედან ყველაზე შესაბამისი იქნებოდა „აზრთა ერთიანობა”. ასე გამოიყურება ამ ტერმინთა თარგმანი:

„ფორმალური თანასწორობა ან თანასწორობა, როგორც აზრთა ერთიანობა.”

5. „Thus the notion of equality as consistency has played an enormously valuable role in tackling formal, exclusionary rules.” [ს. ფრედმანი 2001: 16].

„Exclusionary rules” – ეს იურიდიული ტერმინი შეერთებულ შტატებში აღნიშნავს სამართლებრივ წესს, რომელიც ეფუძნება საკონსტიტუციო სამართალს, რომელიც არ დაუშვებს ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას სასამართლოში. „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი” იძლევა მხოლოდ მის შინაარსობრივ განმარტებას. მივაკლვიე მსგავსი შინაარსის მეორე ტერმინს „დაუშვებელ მტკიცებულებას”, რომელიც ამგვარადაა განმარტებული: „მტკიცებულება, რომელიც მიღებულია კანონით დადგენილი წესის

დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით.” [National Parliamentary Library of Georgia]. ტერმინი თარგმანში გადმოვიტანე, როგორც „დაუშვებელი მტკიცებულება”.

„ამგვარად, თანასწორობის, როგორც აზრთა ერთიანობის, იდეამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფორმალურ და დაუშვებელ მტკიცებულებებთან ბრძოლაში.”

6. „*Thus in the Green Paper containing policy proposals for a new employment equity statute in South Africa, it is stated that the aim of the statute is to redress disadvantages emanating from past racial policies.*” [ს. ფრედმანი 2001: 22].

„Green Paper” – როგორც ინტერნეტში მოვიძიე, ბრიტანეთში აღნიშნავს მთავრობის წინადადებების შემცველ დოკუმენტს ზოგადი განხილვისთვის განკუთვნილ კონკრეტულ საკითხზე. ვინაიდან შესატყვისი ტერმინი არაა ქართულ ენაში, შევასრულე სიტყვა–სიტყვითი თარგმანი. მივიღე „მწვანე ქალაქი”.

„ამგვარად, მწვანე ქალაქში, რომელიც შეიცავს პოლიტიკურ წინადადებას სამხრეთ აფრიკაში ახალი შრომის სამართლიანი კანონის მიღებაზე, გაცხადებულია კანონის მიზანი, არახელსაყრელი პირობების გამოსწორება, რომლებიც სათავეს იღებს წარსული რასობრივი პოლიტიკისგან.”

7. „*Direct Discrimination or Disparate Treatment.*” [ს. ფრედმანი 2001: 23].

„Direct Discrimination” – მას აქვს შესატყვისი ქართულში და ის შევუსაბამე, ხოლო „Disparate Treatment” – ვთარგმნე მისი შინაარსის მიხედვით.

„პირდაპირი დისკრიმინაცია ან განსხვავებული მოპყრობა.”

8. „*Indirect Discrimination or Disparate impact.*” [ს. ფრედმანი 2001: 23].

„Indirect Discrimination” – ს აქვს შესაბამისი ქართული ტერმინი, ხოლო „Disparate impact”-ის თარგმნისას ჩავთვალე, რომ სიტყვა „impact”-ის პოლისემიური მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი იქნებოდა „გავლენა”.

„ირიბი დისკრიმინაცია ან განსხვავებული გავლენა.”

9. „*This reformulation of the basis of the anti-discrimination law then has effects which ripple out through the whole remedial structure.*” [ს. ფრედმანი 2001: 26].

„Ripple out” – ის განმარტებას დიდხანს ვეძებდი ინგლისურენოვან ლექსიკონებში, რომლებიც იძლეოდა მხოლოდ ripple-ის განმარტებას, როგორც ტალღოვანი მოძრაობის. შემდეგ ინტერნეტ საიტზე www.wordreference.com ერთ-ერთი ადამიანი ხსნიდა, რომ ripple out ეს ისეთი ტალღისებური მოძრაობაა, როდესაც კენჭს ჩააგდებ წყალში და ის ნელ-ნელა თანაბარად ტალღებს წარმოშობს. ვინაიდან „Remedial structure” მკურნალობასთან, რაღაცის გამოსწორებასთან ან გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული, ამიტომ ვთარგმნე, როგორც „გამოსასწორებელი სტრუქტურა”.

„ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძვლის ხელახალი ფორმულირების შედეგები, მთელ გამოსასწორებელ სტრუქტურაზე ტალღასავით ვრცელდება.”

10. *„At EU level, a powerful boost was given to the effectiveness of sex equality legislation by the adoption of the policy of ‘mainstreaming’.”* [ს. ფრედმანი 2001: 27].

„Mainstreaming” არ ვთარგმნე და თარგმანში გადმოვიტანე ტრანსლიტერაციის საშუალებით, ვინაიდან ქართულ ენაში ეს ტერმინი ამგვარადაა დამკვიდრებული. გენდერული მეინსტრიმინგი გენდერული თანასწორობის განხორციელების სტრატეგიაა. იგი გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობას და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის, მარეგულირებელი ღონისძიებების მომზადების.

„ევროკავშირის დონეზე სქესობრივი თანასწორობის კანონის ქმედითობას ძლიერი სტიმული მისცა „მეინსტრიმინგის” პრინციპის მიღებამ.”

11. *„Such duties include the duty to monitor the number of existing employees who belong to each Community; to undertake periodic reviews of employment practices; and, where fair participation is not evident, to engage in affirmative action (short of reverse discrimination) to improve the representation of under-represented group).”* [ს. ფრედმანი 2001: 29].

„Affirmative action” - „ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში” მიუთითებს, რომ „აფირმაციული ქმედება” იგივე პოზიტიური დისკრიმინაციაა. აფირმაციული (affirmative - პოზიტიური, დადებითი) არის ქმედება, რომელიც მიმართულია რომელიმე დაუცველი სოციალური ჯგუფის მხარდასაჭერად და სამართლიანობის აღსადგენად. ის პროაქტიურია და მიზნად ისახავს საჯარო ინსტიტუტებში დაუცველი ჯგუფების

წარმომადგენელთა რიცხვის გაზრდას. „Reverse discrimination” - ქართულ ენაში დამკვიდრებულია, როგორც „რევერსული დისკრიმინაცია”, ამიტომ დავტოვე უცვლელად. იგი გულისხმობს დისკრიმინაციულ პოლიტიკას ან აქტებს, რომელთა განხორციელების შედეგად იგებს არადომინირებული ჯგუფი დომინანტური ჯგუფის ხარჯზე; მაგ., აშშ-ში ტერმინი გამოიყენება მაშინ, როცა არაკვალიფიციური კანდიდატურა მიიღება სამსახურში იმის საფუძველზე, რომ არის უმცირესობის წარმომადგენელი.

„ასეთ მოვალეობებში შედის იმ თანამშრომლების კონტროლის მოვალეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან თითოეულ თემს; დასაქმების პრაქტიკის პერიოდული შემოწმება და სადაც სამართლიანი თანასწორობა არ ვლინდება, პოზიტიურ დისკრიმინაციაში (არა ბოლომდე რევერსული დისკრიმინაცია) ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების წარმომადგენლობის გაზრდას.”

12. *„The most intense or ‘strict scrutiny’ under US jurisprudence is reserved for racial classifications and requires not just a legitimate State concern, but a compelling interest, as well as proof that the means are ‘narrowly tailored’ to achieve that end.”* [ს. ფრედმანი 2001: 29].

„Strict scrutiny” – www.legaldictionary.net – ზე არსებული ინფორმაციით ტერმინი „მკაცრი შემოწმება” აღნიშნავს კვლევის ან ანალიზის დონეს, რომელსაც იყენებს სასამართლო კანონის ან მთავრობის ორგანოების მოქმედებათა განსაზღვრის მიზნით. სასამართლო განხილვის ყველაზე მკაცრი სტანდარტი, „მკაცრი შემოწმება” გამოიყენება იმის დასადგენად, არღვევს თუ არა ეს ქმედება ან კანონმდებლობა კონსტიტუციურ უფლებებს. „the means are ‘narrowly tailored’ to achieve that end” - დიდხანს ვიფიქრე თუ როგორ მეთარგმნა მეტაფორული გამოთქმა „narrowly tailored”. მეტაფორა მხატვრული ხერხია. ის სიტყვა ან გამოთქმა, რომელსაც გადატანითი მნიშვნელობა აქვს და ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალოგიას. სიტყვა „tailored” ნიშნავს : 1. მორგებულს, 2. მკერავის ნახელავს. ამიტომ ვთარგმნე, როგორც „მიზნის მისაღწევად ზუსტად გამოყენებული საშუალებები”, რადგან ის ასოცირდება მჭიდროდ შეკერილთან, ანუ ზუსტად მორგებულთან.

„ყველაზე ძლიერი ან „მკაცრი შემოწმება”, შეერთებული შტატების

იურისპრუდენციის ქვეშ, დაწესებულია რასობრივი კლასიფიკაციისთვის და მოითხოვს არა მხოლოდ ლეგიტიმურ სახელმწიფო კავშირს, არამედ ძლიერ ინტერესს, ასევე იმის შემოწმებას, რომ მიზნის მისაღწევად საშუალებები „ზუსტად არის გამოყენებული.“

13. „*Thus in an early case, the US Supreme Court held that denial of unemployment benefit to a Seventh Day Adventist because she would not work on Saturdays for religious reasons was a denial of the right to free exercise of religion.*” [ს. ფრედმანი 2001: 35].

„Seventh Day Adventist” - „Oxford Learner’s Dictionaries” განმარტებით, აღნიშნავს ქრისტიანული რელიგიური ჯგუფის წევრს, რომელიც მიიჩნევს, რომ ქრისტე მალე დედამიწაზე დაბრუნდება. ქართულ ინტერნეტ წყაროებში ეს სახელწოდება გადმოტანალია, როგორც „მეშვიდე დღის ადვენტიტი“. შესაბამისად, გამოვიყენე ქართულ რეალობაში დამკვიდრებული თარგმანი.

„ამგვარად, ადრე მომხდარ სასამართლო საქმეში, შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მეშვიდე დღის ადვენტიტისთვის უმუშევრობის სარგებლის უარყოფა, ვინაიდან ის არ იმუშავებდა რელიგიური მიზეზებით შაბათობით, იყო რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის უფლების უარყოფა.”

14. „*The nationally funded health service would foot the bill for any treatment resulting from the unprotected use of motor cycles.*” [ს. ფრედმანი 2001: 38].

იდიომა არის ამა თუ იმ ენის თავისებური, დაუზღველი გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. ამ წინადადებაში „foot the bill”, როგორც „Oxford Learner’s Dictionaries” განმარტავს იდიომია, რომელიც გამოიყენება არაფორმალურ მეტყველებაში და ნიშნავს პასუხისმგებლობას რაღაცის ღირებულების გადახდაზე.

„ქვეყნის მასშტაბით დაფუძნებული სამედიცინო სერვისი დაფარავდა დაუცველ მდგომარეობაში მოტოციკლის მართვის შედეგად დამღვარი ზიანისთვის მკურნალობის ხარჯებს.”

15. „*Several schools of philosophical thought and social science have addressed the experience of ‘knowing without knowing that you know’, the lack of the Kantian*

‘transcendental apperception’, or self-consciousness accompanying the mental ‘possession’ of the ‘object’.”[ს. ფრედმანი 2001: 53].

როგორც ინტერნეტში მოვიძიე, „transcendental apperception” ქართული რეალობისთვის ცნობილია, როგორც კანტისეული „ტრანსცენდენტალური აპერცეფცია”. შესაბამისად, გამოვიყენე მისი დამკვიდრებული თარგმანი.

„ფილოსოფიური აზროვნების რამდენიმე სკოლამ და სოციალურმა მეცნიერებამ მიმართა „იცოდე იმის გარეშე, რაც იცი”-ს გამოცდილებას, კანტისეული „ტრანსცენდენტალური აპერცეფციის” ნაკლებობას ან თვითშეგნებას, რომელიც თან ახლავს „ობიექტის” გონებრივ „საკუთრებას”.”

16. *„Such statements, in social practice, reflect a policy of tokenism that is used to counter allegations of racism and discrimination.”*[ს. ფრედმანი 2001: 59].

„tokenism” – ტოკენიზმი, როგორც ინტერნეტში www.phr.ge - ზე მოვიძიე, ინგლისური სიტყვაა და უმცირესობების ცრუ ჩართულობასა და ფორმალური წარმომადგენლობის უზრუნველყოფას ნიშნავს. რამდენადაც ტერმინი ქართულ რეალობაშიც „ტოკენიზმის” სახელითაა ცნობილი, ამგვარად გადმოვიტანე თარგმანშიც.

„ამგვარი წინადადებები სოციალურ პრაქტიკაში ირეკლავს ტოკენიზმის პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება რასიზმისა და დისკრიმინაციის ბრალდებების წინააღმდეგ.”

17. *„The normalization shrug.”*[ს. ფრედმანი 2001: 60].

„დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის” მიერ წარმოდგენილი განმარტებით „shrug” არის 1. მხეების აჩეჩვა. დიდხანს ვფიქრობდი, თუ როგორ მეთარგმნა ტერმინი ნორმალიზაციასთან მიმართებაში. ვინაიდან, მხრებს მაშინ ვიჩეჩო, როცა რამე არ ვიცი ან არ შეგვიძლია, ტერმინი ვთარგმნე, როგორც:

„ნორმალიზაციის უძლურება.”

18. *„Racism is a vast and vague notion, engaging the realms both of the mind and of reality, and its phenomenology is quite Protean.”*[ს. ფრედმანი 2001: 61].

„დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის” მიხედვით, „Protean” ნიშნავს: 1. პროტევისა, პროტევისთვის დამახასიათებელი. 2. ცვალებადი; მრავალსახოვანი;

არადმდგრადი; არაპროგნოზირებადი; „Merriam-Webster” - ის ლექსიკონის მიხედვით, პროტევის იყო გარდასახვის ორიგინალური ოსტატი. თანამედროვე მეტყველებაში სიტყვა „პროტევის” მრავალსახეობის აღმნიშვნელია. თარგმანი ასე გამოიყურება:

„რასიმში ფართო და ბუნდოვანი ცნებაა, რომელიც ჩართულია გონებაშიც და რეალობაშიც და მისი ფენომენოლოგია საკმაოდ ცვალებადია.”

ორიგინალ ტექსტში მრავალი აბრევიატურა შემხვდა. აბრევიატურა წერისას სიტყვათა პირობითი შემოკლებაა. იგი სიტყვაა, რომელიც წარმოადგენს ორი ან რამდენიმე სიტყვის შემოკლებას. სიტყვათა შემოკლება მნიშვნელობის თანმდევი კულტურაა. აბრევიატურის თარგმნისას ჯერ ვიძიებდი მათ სრულ ფორმას, შემდეგ კი ვთარგმნიდი. მკითხველისთვის ტექსტის გაგების გამარტივების მიზნით, აბრევიატურები თარგმანში წარმოვადგინე მათი სრული ფორმით, ხოლო ფრჩხილებში მივუთითე შემოკლებული ვერსია. აბრევიატურების მაგალითებია:

1. *„Both SDA 1975 and the Race Relations Act of 1976 include statutory formulations of the principle of indirect discrimination.”* [ს. ფრედმანი 2001: 24].

SDA 1975 იგივე Sexual Discrimination Act 1975 – 1975 წლის კანონი სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ, ტექსტში ამგვარადაა გადმოცემული:

„1975 წლის კანონი სქესობრივი დისკრიმინაციის შესახებ (კსდშ) და 1976 წლის კანონი რასათა ურთიერთობის შესახებ, შეიცავს ირიბი დისკრიმინაციის პრინციპის კანონით გათვალისწინებულ ფორმულირებას.”

2. *„The ECJ in turn adapted the principle to EC sex discrimination law, a development which was crystallized in legislation in the form of the Burden of Proof Directive.”* [ს. ფრედმანი 2001: 24].

ECJ არის იგივე European Court of Justice, ხოლო EC კი იგივე European Commission. ორივე მათგანს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოეპოვება ზუსტი შესატყვისი. შესაბამისად, სწორედ ისინი გამოვიყენე:

„ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (ეკმს), თავის მხრივ, მოარგო პრინციპი ევროკომისიის (ეკ) სქესობრივი დისკრიმინაციის კანონს და იგი კანონმდებლობაში მტკიცების ტვირთის ღირეფტივის ფორმით ჩამოყალიბდა.”

3. „Thus the Human Rights Committee of the International Covenant on Civil and Political Rights has concluded, in at least one case, that the guarantee of equality in Article 26 of the ICCPR does not apply to a law which is applied uniformly, regardless of whether it in fact has discriminatory consequences.” [ს. ფრედმანი 2001: 35].

ICCPR არის International Covenant on Civil and Political Rights - როგორც „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე” მივაკვლიე, მისი ქართული თარგმანი იურიდიულ ლიტერატურაში ამგვარად გამოიყურება: „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.”

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაასკვნა, რომ სულ მცირე ერთ შემთხვევაში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (სპუსპ) 26-ე მუხლში თანასწორობის გარანტია არ ვრცელდება კანონზე, რომელიც გამოიყენება ერთნაირად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რეალურად დისკრიმინაციული შედეგები.”

4. „However, care will of course still be provided by public funds through the NHS.” [ს. ფრედმანი 2001: 38].

NHS არის National Health Service. ვთარგმნე სიტყვა-სიტყვით როგორც „ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახური.”

„თუმცა, რა თქმა უნდა, მკურნალობას უზრუნველყოფდა ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახური (ჯსს) სახელმწიფო სახსრებით.”

5. „So far as Lord Widgery CJ was concerned: No-one is bound to ride a motor cycle.” [ს. ფრედმანი 2001: 37].

Lord Widgery CJ – როგორც ინტერნეტში მოვიძიე, ლორდ ვიდგერი იყო მთავარი მოსამართლე ინგლისისა და უელსში 1971-1980 წლებში. „Merriam-Webster”-ის ლექსიკონის მიხედვით, CJ აბრევიატურის იურიდიული განმარტებაა : 1. chief justice, 2. chief judge ანუ მთავარი მოსამართლე.

„მთავარი მოსამართლე ლორდ ვიდგერი მსჯელობს: არავინ არაა ვალდებული მართოს მოტოციკლი.”

6. „Hall, *New Ethnicities*, in J. Donald and A. Rattansi (eds), *Race Culture and Difference* (1992) 254.” [ს. ფრედმანი 200: 10].

(eds) როდესაც მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი აღნიშნავს რედაქტორებს.

„ჰოლი, „ახალი ეთნიკური წარმომავლობები”, ჯ. დონალდი და რატანსი (რედაქტორები), რასის კულტურასა და სხვაობაში (1992) 254.”

7. „Locke, *Two Treatises of Government* (p. Laslett (ed.), 1988), *‘The Second Treatise’*, para. 95.” [ს. ფრედმანი 2001: 14].

აბრევიატურა Para. არის paragraph-ი. ის ხშირად მხედებოდა მითითებულ ლიტერატურაში.

„ლოკი, მთავრობის ორი ტრაქტატი (პლასლეტი (რედაქტორი), 1988), „მეორე ტრაქტატი”, პარაგრაფი 95.”

8. „See further Fredman, *supra* n. 18, at chs 1 and 2.” [ს. ფრედმანი 2001: 14].

chs 1 and 2 აბრევიატურა აღნიშნავს chapters-ს.

„იხილეთ ფრედმანი, ზემოთ ნახსენები N 18, 1 და 2 თავში.”

9. „Canadian Charter, SA Constitution.” [ს. ფრედმანი 2001: 18].

ბევრი ვეძებე ინგლისურენოვან იურიდიულ ლიტერატურაში, თუმცა ვერ მივაკვლიე აბრევიატურა SA-ს, ამიტომ ის ტრანსლიტერაციის საშუალებით გადავიტანე თარგმანში, როგორც „ეს ეი”.

„კანადის ქარტია, ეს ეი კონსტიტუცია.”

10. „FETO Art. 4(1).” [ს. ფრედმანი 2001: 19].

FETO როგორც ინტერნეტში მოვიძიე არის Fair Employment and Treatment Order. ხოლო Art იგივე Article. თარგმანი ასე გამოიყურება:

„ბრძანება სამართლიანი დასაქმებისა და მოპყრობის შესახებ (ბსდმშ) მუხლი 4(1).”

11. „UCLA Law Review.” [ს. ფრედმანი 2001: 21].

UCLA – აღნიშნავს University of California, Los Angeles. შესაბამისად, ასე ვთარგმნე:

„ლოს ანჯელესში კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლაკუ) სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა.”

12. „*Abdulaziz V UK (1985) 7 EHRR 491 at para. 72.*” [ს. ფრედმანი 2001:31].

EHRR აბრევიატურა აღნიშნავს European Human rights Reports. შესაბამისად, ამგვარად ვთარგმნე :

„აბდულაზიზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (1985) 7 ევროპის ადამიანის უფლებათა ანგარიშები (ეაუა) 491 72-ე პარაგრაფში.”

13. „*[1983] IRLR 209 HL.*” [ს. ფრედმანი 2001: 24].

IRLR აბრევიატურაა, რომელიც ამგვარად იშიფრება Industrial Relations Law Reports, ხოლო აბრევიატურა HL, როგორც მას „Merriam-Webster” – ის ლექსიკონი განმარტავს, არის House of Lords ანუ ლორდთა პალატა. თარგმანი ამგვარად გამოიყურება:

„*[1983] სამრეწველო ურთიერთობების კანონმდებლობის მოხსენებები (სუკმ) 209 ლორდთა პალატა (ლპ).*”

14. „*109 S.Ct. 2115 (1988).*” [ს. ფრედმანი 2001: 25].

S.Ct. – ძალიან რთული აღმოჩნდა ამ აბრევიატურის ამოცნობა. დიდი ძეხვის შედეგად აღმოვაჩინე, რომ ეს აბრევიატურა აშშ-ში აღნიშნავს Supreme Court reporter და ამგვარად ვთარგმნე:

„*109 აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული 2115 (1988).*”

15. „*Ojutiku v Manpower Services Commission [1982] ICR 661.*” [ს. ფრედმანი 2001: 25].

ICR – აბრევიატურაა, რომელიც აღნიშნავს Industrial Case Reports და ვთარგმნე, როგორც „სამრეწველო შემთხვევების ანგარიშები”.

„*ოჯუტიკუ თანამშრომელთა მომსახურების კომისიის წინააღმდეგ [1982] სამრეწველო შემთხვევების ანგარიშები (სშა) 661.*”

16. „*RRA 1976, s. 71.*” [ს. ფრედმანი 2001: 27].

RRA აბრევიატურა აღნიშნავს Race Relation Act, ხოლო s – არის section. თარგმანი ასე გამოიყურება:

„*კანონი რასათა ურთიერთობის შესახებ (კრუშ) 1976, ნაწილი 71.*”

17. „*[1978] QB 36 CA*” [ს. ფრედმანი 2001: 34].

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაციით, აბრევიატურა QB არის Queens Bench Division, რომელიც აღნიშნავს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განშტოებას. CA- Court of Appeal, ანუ სააპელაციო სასამართლოა.

„[1978] სამეფო სკამის განყოფილება (სსგ) 36 სააპელაციო სასამართლო(სს).”

18. „*Bhinder and Canadian Nation Railway Co (1986) 23 DLR (4th series)481.*” [ს. ფრედმანი 2001: 38].

DLR – Dominion Law Reports, რომელიც ვთარგმნე, როგორც „დომინიონი სამართლის ანგარიშები”. სიტყვა „დომინიონი” ლათინური წარმოშობისაა.

„ბინდერი და კანადის რკინიგზის სახელმწიფო კომპანია (1986) 23 დომინიონი სამართლის ანგარიშები (დსა) (მე-4 სერია) 481.”

19. „*Communication No. 24/1997 (30 July 1981) UN Doc CCPR/C/OP 1 at 83 (1984).*” [ს. ფრედმანი 2001: 40].

UN როგორც საყოველთაოდაა ცნობილი არის United Nations, იგივე გაერთიანებული ერები. ამ წინადადებაში Doc CCPR/C/OP დოკუმენტის საძიებო ინიციალები გადმოვითანე ტრანსლიტერაციის საშუალებით.

„საძიებო N 24/1977 (30 ივლისი 1981) გაერთიანებული ერები (გაერო) დოკუმენტი სისიფიარ/სი/ოუფი/1 83–8ე (1984).”

20. „*The evidence documented by the ERRC shows that, in the city of Ostrava, for example, a Romani child is over twenty-seven times more likely than a non-Romani child to be enrolled in a ‘special school’.*” [ს. ფრედმანი 2001: 57].

ERRC – European Roma Right Centre – ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრი.

„ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრის მიერ დაფიქსირებული მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ ქალაქ ოსტრავაში, მაგალითად, ბოშა ბავშვისთვის „სპეციალურ სკოლაში” ჩარიცხვის შანსი 27–ჯერ მეტია, არა–ბოშა ბავშვისაზე.”

21. „*However, ‘racial discrimination’ has been defined in a clearer way and has been given a legal value, notably in Article 1 of the ICERD.*” [ს. ფრედმანი 2001: 61].

ICERD – International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination. აბრევიატურა ვთარგმნე, როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია.

„თუმცა, „რასობრივი დისკრიმინაცია“ უფრო გარკვევით განისაზღვრა და სამართლებრივი ღირებულება, ყურადღება მიენიჭა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (რდასკ) 1-ელ მუხლში.“

იურიდიული ტექსტის შინაარსის გაგება რთულია. ამას უფრო ართულებს მასში გამოყენებული გრძელი წინადადებები და ხანდახან პუნქტუაციის ნაკლებობაც. რთულია წინადადება, რომელიც შედგება ორი ან მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან. ჩემ მიერ ნათარგმნ ორიგინალის ტექსტშიც ბევრი ასეთი წინადადება იყო, რის გამოც ისინი დავშალე, ზოჯერ კი სასვენი ნიშნებით გამოვაცალკევე ერთმანეთისგან, რათა აზრი უფრო ადეკვატური და მკითხველისთვის ადვილად გასაგები ყოფილიყო. განვიხილავ რამდენიმე მათგანს:

1. „*Instead of requiring proof of individual prejudice, or of unjustifiable disparate impact as a result of a practice or condition, the positive duty is triggered as a result of evidence of structural discrimination, including chronic under-representation in particular types of work or positions of power, inequitable access to the benefits of employment or State provision of services, or the imposition of inordinate costs on those of the dominant group.*” [ს. ფრედმანი 2001: 27].

წინადადება გაყავი შუაზე და თარგმანში ჩავამატე „:“, რათა ჩამონათვალი უფრო თვალსაჩინო და ადვილად აღსაქმელი გამეხადა.

„*ნესის ან რაიმე პირობის შედეგად წარმოშობილი ინდივიდუალური უსამართლობის ან გაუმართლებელი მოქმედების მტკიცებულების მოთხოვნის ნაცვლად, პოზიტიურ მოვალეობას იწვევს სტრუქტურული დისკრიმინაციის ფაქტი. ამაში შედის: კონკრეტული ტიპის სამუშაო ადგილებში ან მაღალ თანამდებობებზე წარმომადგენლობის მუდმივად დაბალი მაჩვენებელი, შრომიდან მიღებულ სარგებელობაზე ან სახელმწიფო მომსახურების სფეროებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა, ან უჩვეულოდ დიდი ტარიფების დანერგვა*

მათთვის, ვინც ცდილობს შეინარჩუნოს ის რელიგიური ან კულტურული თავისებურებები, რომლებიც დომინანტი ჯგუფის ასეთივე თავისებურებებს ეწინააღმდეგება.”

2. „Thus, the ‘clarifications’ that ‘the police action was not a punitive expedition, as human rights advocates called it, but a legitimate search for suspects in the Romani neighborhood; it is true that force was used, but police acted in self-defence’ or that ‘this was not ethnic cleansing, but only an anti-guerrilla action to isolate militant separatists’ would not be easily accepted by public opinion if the subject of the ‘search’ or of the ‘action’ had been a neighborhood or a home identical ethnically, economically, and socially to the majority in the action.” [ს. ფრედმანი 2001: 54].

განსაკუთრებით რთული იყო ამ წინადადების შინაარსის გაგება და შემდეგ თარგმნა, ვინაიდან მასში მოცემულია პირდაპირი ნათქვამიც. მისი გამარტივების მიზნით, პირდაპირი ნათქვამი გამოვყავი მძიმეებით.

„ამგვარად, „განმარტებები”, რომ „პოლიციის მოქმედება არ იყო სადამსჯელო ექსპედიცია, როგორც ამას ადამიანის უფლებათა დამცველებმა უწოდეს, არამედ ეჭვმიტანილთა კანონიერი ძებნა ბოშათა სამეზობლოში; მართალია რომ ძალა გამოიყენეს, მაგრამ პოლიცია თავს იცავდა” ან „ეს არ იყო ეთნიკური წმენდა, არამედ მხოლოდ ანტი-პარტიზანული მოქმედება შეიარაღებული სეპარატისტების იზოლირებისათვის”, არ იქნებოდა ადვილად მიღებული საზოგადოების მიერ, თუ „კვლევის” ან „მოქმედების” სუბიექტი იყო ერის უმრავლესობასთან ეთნიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად იდენტური სამეზობლო ან სახლი.”

3. „Following far-sighted court decisions in the area of gender anti-discrimination and in view of the recently adopted European Council Directive 43/2000 and the venues that will be created once Protocol 12 of the ECHR enters into force, the time may be approaching when courts will be handing down decisions redressing systemic racial discrimination, whereby evidence will be accepted proving effectively disparate results of practices in terms of race, regardless of intent.” [ს. ფრედმანი 2001: 64].

ამ წინადადებაში ჩვამატე მძიმეები, რითაც თარგმანის ტექსტის აღქმა უფრო გაადვილდა.

„სასამართლოს შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილების მიხედვით, სქესის ანტიდისკრიმინაციის სფეროში და ახლახანს მიღებული ევროპის საბჭოს დირექტივის 43/2000 თვალსაზრისით და გზებით, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აქტი 12-ის ძალაში შესვლის შემდეგ გაიხსნება, შესაძლოა ახლოვდება ის დრო, როდესაც სასამართლოები გამოაცხადებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოასწორებს სისტემურ რასობრივ დისკრიმინაციას, სადაც მიღებული მტკიცებულებები ამტკიცებს პრაქტიკის განსხვავებულ შედეგს რასის გათვალისწინებით, განზრახვის მიუხედავად.”

4. *„Though Albie Sachs calls the whites a 'political minority' and dismisses any claim to group rights simply by reminding us of the basics of political democracy, the fact is that the minority which was soon to become a political loser roughly coincided with a racial group as well.”* [ს. ფრედმანი 2001: 64].

ეს წინადადებაც გავყავი შუაზე მისი გამარტივების მიზნით.

„თუმცა, ალბი საჩესი თეთრკანიანებს ეძახის „პოლიტიკურ უმცირესობას“ და ის, ჩვენთვის პოლიტიკური დემოკრატიის საფუძვლის შეხსენებით, უარყოფს ნებისმიერ პრეტენზიას ჯგუფის უფლებებზე. ფაქტია, რომ უმცირესობა, რომელიც მალე პოლიტიკურად დამარცხებული უნდა გამხდარიყო დაემთხვა რასობრივ ჯგუფსაც.”

5. *„Even unfair discrimination can be justified if the limitation is reasonable and justifiable in an open and democratic society based on human dignity, equality, and freedom, taking into account all relevant factors including the nature of the right; the importance of the purpose of the limitation; the relation between the limitation and its purpose; and less restrictive means to achieve the purpose.”* [ს. ფრედმანი 2001: 31].

აღნიშნულ წინადადებაში გამარტივების მიზნით ჩვაბატე „:“ და მძიმეები.

„ესამართლო დისკრიმინაციაც კი შეიძლება გამართლდეს, თუ შემლუდვა სამართლიანია და გამართლებულია ღია და დემოკრატიულ საზოგადოებაში დაფუძნებულ ადამიანის ღირსებაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე, ყველა ამ შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით: უფლების ბუნება; შემლუდვის მიზნის

მნიშვნელობა; შემზღუდვასა და მის მიზანს შორის კავშირი; მიზნის მისაღწევად ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები.”

6. „In explanations of the latter preference, Old World minority cultures are said to be the result not of a voluntary move from one culture to another, but of involuntary incorporation due to conquest, colonization, or the ceding of territory, whereby minorities are not satisfied with non-discrimination and eventual integration, but demand more, including self-government, proportional political or administrative representation, or different degrees of detachment from the majority polity.” [ს. ფრედმანი 2001: 65].

მოცემული წინადადება ორ ნაწილად გავყავი.

„ამ უკანასკნელის უპირატესობის განმარტებაში მიიჩნევა, რომ ძველი მსოფლიოს უმცირესობათა კულტურები ერთი კულტურიდან მეორეზე გადავიდა არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებითი შერწყმით დაპყრობის, კოლონიზაციის ან ტერიტორიის დათმობის შედეგად. უმცირესობები არ არიან კმაყოფილნი არადისკრიმინაციული და საბოლოო ინტეგრაციით, არამედ მოითხოვენ უფრო მეტს, თვითმმართველობას, პროპორციულ პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ წარმომადგენლობას ან უმრავლესობის მმართველობის ფორმიდან გამოცალკევების განსხვავებულ ხარისხს.”

თარგმნისას სირთულეს წარმოადგენდა უცხოენოვანი სიტყვები ორიგინალის ტექსტში. ლათინური და ფრანგული სიტყვების არსებობა ინგლისურ ენაში ისტორიული მოვლენით აიხსნება. ისტორიის განმავლობაში ლათინური და ფრანგული ენები გავლენას ახდენდა ინგლისური სამართლის ენაზე. 1066 წელს ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ ანგლო-ნორმანული ფრანგული ინგლისის ოფიციალური ენა გახდა და დაახლოვებით 300 წლის განმავლობაში სამართლებრივი საქმეების ენად იქცა. 1066 წლიდან ლათინური იყო ოფიციალური ჩანაწერებისა და კანონების ენა. თარგმნისას მათთან ერთად შემხვდა ბერძნული და გერმანული სიტყვებიც. მათ სათარგმნად აქტიურად ვიყენებდი ინტერნეტსა და ლექსიკონებს. განვიხილავ თითოეულ მათგანს:

1. „*The French principle of laïcité, or secularity, has been used to argue for a concept of equality which stresses identity and overrides ethnic, religious, or cultural differences except in the domain of private life.*” [ს. ფრედმანი 2001: 40].

„Laïcité” - ზუსტად აღნიშნავს სეკულარობას. იგი სეკულარიზმის ფრანგული ცნებაა. ვინაიდან ორიგინალში ფრანგული სიტყვის გვერდით მოცემული იყო მისი ინგლისური შესატყვისიც, ამიტომ დავტოვე ხელუხლებელი და ინგლისური ვთარგმნე ქართულად.

„*ფრანგული პრინციპი laïcité ან სეკულარობა გამოყენებულია თანასწორობის ცნებისთვის სადავოდ. იგი ხაზს უსვამს ინდივიდუალობას და უგულებელყოფს ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ განსხვავებებს, გარდა პირადი ცხოვრების სფეროსა.*”

2. „*It therefore advised that the principle of laïcité was compatible with the right to express religious beliefs, so long as that expression respected the pluralism and freedom of others.*” [ს. ფრედმანი 2001: 41].

მომდევნო წინადადებაში ფრანგული სიტყვა „laïcité” ისევ მეორდებოდა. რადგან ზემოთ მოცემულ წინადადებაში კარგად ჩანდა, რომ ეს ფრანგული სიტყვა იგივე ინგლისური სეკულარობაა, გადავწყვიტე, რომ თარგმანში ისევ დამეტოვებინა სიტყვის ფრანგული ვარიანტი.

„*აქედან გამომდინარეობს, რომ laïcité -ს პრინციპი შეესაბამებოდა რელიგიური შეხედულებების გამოხატვის უფლებას, რამდენადაც გამოხატვა პლურალიზმს და სხვების თავისუფლებას სცემდა პატივს.*”

3. „*However, the French Conseil d'État was able to recognize the ease with which a principle of apparent secularism in fact endorsed the majority culture.*” [ს. ფრედმანი 2001: 41].

„the French Conseil d'État” – ჩემს მიერ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციით ინგლისურად ნიშნავს Council of State. შესაბამისად, ქართულად ვთარგმნე როგორც „საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო”.

„თუმცა, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს შეეძლო ელიარებინა, რომ ძალდაუტანებლობა სეკულარიზმის პრინციპთან ერთად, ფაქტიურად, მხარს უჭერდა უმრავლესობის კულტურას.”

4. „*The Conseil d'État while annulling many of these expulsions, has refused to invalidate the government circular which permits only discreet insignia.*” [ს. ფრედმანი 2001: 41].

„The Conseil d'État” – ამ წინადადებაშიც ეს სიტყვა მეორდებოდა და ვთარგმნე როგორც „სახელმწიფო საბჭო”. ამ წინადადების თარგმნისას კიდევ ერთი სირთულეს წარმოადგენდა ტერმინი „government circular”.

„სახელმწიფო საბჭომ ამ გარიცხვის გაუქმებისას, უარი თქვა მთავრობის ცირკულარის ბათილად ცნობაზე, რომელიც მხოლოდ მოკრძალებული ნიშნის გამოყენების უფლებას რთავს.”

5. „*Bhavnani, supra n. 3; Modood, 'Ethnic Diversity and Disadvantage', in T. Modood et al., Ethnic Minorities in Britain (1997) 353.*” [ს. ფრედმანი 2001: 11].

„Merriam – Webster”-ის ლექსიკონის მიხედვით „Supra” ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რომელიც გამოიყენება წიგნებში, სტატიებში, სასამართლო საქმეებში, რათა მკითხველს მიუთითოს ტექსტის წინა გვერდზე, ან თავზე, ან მანამდე ციტირებულ ნაშრომზე. სიტყვა–სიტყვით ნიშნავს „ზემოთ მყოფს”. „et al.” – „Merriam – Webster”-ის ლექსიკონის მიხედვით მომდინარეობს ლათინური ფრაზისგან et alia, რომელიც ნიშნავს „და სხვებს”. განსაკუთრებით ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციაში et al გამოიყენება ორი ან მეტი სახელისთვის.

„ბჰვენანი, ზემოთ ნახსენები N 3; მოდუდი, „ეთნიკური მრავალფეროვნება და ჩავკრა”, თ. მოდუდი და სხვები, ეთნიკური უმცირესობები ბრიტანეთში (1997) 353.”

6. „*Ibid., Article 2(2).*” [ს. ფრედმანი 2001: 24].

„Ibid” არის ibidem-ის აბრევიატურა. ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „იქვე, იმავე ადგილას.”

„*იქვე, მუხლი 2 (2).*”

7. „*In ancient Greece and Rome, we may then say, racism was typical in the treatment of slaves and metekoi (foreigners residing in the city) and reached extreme forms of expression in*

such places as the Greek ergasterion, that special prison in which slaves – as a rule ethnically different from the locals – were engaged in carrying out the hardest labour.” [ს. ფრედმანი 2001: 47].

„Metekoi” - ამ სიტყვის შესახებ ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოვიძიე ინტერნეტში, რადგან არ ფიქსირდება. თუმცა, ორიგინალში მითითებული ინფორმაციით, ის ქალაქში მცხოვრებ უცხოელებს აღნიშნავს. სიტყვა თარგმანში ტრანსლიტერაციით გადმოვიტანე. „Greek ergasterion” კი სპეციალურ ციხეს ერქვა.

„ძველ საბერძნეთსა და რომში, შეიძლება ითქვას, რასიზმი გამოხატული იყო მონებისა და მეტეკოის (ქალაქში მცხოვრები უცხოელები) მიმართ მოპყრობაში და მიაღწია გამოხატვის უკიდურეს ფორმებს ისეთ ადგილებში, როგორიცაა ბერძნული ერვასტერიონი. ის სპეციალური ციხე იყო, რომელშიც მონებს, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობისგან ეთნიკურად განსხვავებულებს, უმძიმეს სამუშაოს ასრულებინებდნენ.”

8. *„Two perpetrators were subsequently prosecuted and charged with, inter alia, racially motivated violence.”* [ს. ფრედმანი 2001: 48].

როგორც „Merriam-Webster”-ის ლექსიკონში მოვიძიე, „inter alia” ლათინური წარმოშობის ზმნიზედაა და ნიშნავს: 1. სხვასთან ერთად, 2. სხვებს შორის.

„სხვა საქმეებს შორის, მათ ბრალი დასდეს რასობრივ ნიადაგზე მოტივირებულ ძალადობაში.”

9. *„However, neither document offers to extend the protection of rights to cover discrimination on a wider front, thus effectively leaving out discrimination on the basis of, inter alia, citizenship.”* [ს. ფრედმანი 2001: 63].

კიდევ ერთი მაგალითი, სადაც გამოყენებულია „inter alia”.

„თუმცა, არცერთი დოკუმენტი არ სთავაზობს უფლების დაცვის გაფართოებას, რომ მოიცვას დისკრიმინაცია უფრო ფართო ფრონტზე, ამგვარად, ფაქტიურად დისკრიმინაციას ტოვებს, ყველაფერთან ერთად, მოქალაქეობის საფუძველზე.”

10. *„The conclusion seems unavoidable that the discrepancy – the difference in the realpolitik – of the priorities – one set revolving mainly around issues of domestic prosperity,*

and the other revolving around significant human rights and humanitarian concerns – has become possible precisely because racism is interfering with judgement.” [ს. ფრედმანი 2001: 52].

როგორც „Merriam-Webster”-ის ლექსიკონში მოვიძიე, „Realpolitik” გერმანული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს პოლიტიკას, რომელიც დაფუძნებულია უფრო მეტად პრაქტიკულ მატერიალურ ფაქტორებზე, ვიდრე თეორიულ და ეთიკურ მისწრაფებებზე. შესაბამისად, სიტყვა გადმოვიტანე ტრანსლიტერაციით.

„როგორც ჩანს, დასკვნა გარდაუვალია, რომ სხვაობა – განსხვავება პრიორიტეტთა რეალპოლიტიკაში – რომ ერთი ჯგუფი ძირითადად ტრიალებს შიდასახელმწიფოებრივი კეთილდღეობის საკითხების გარშემო და მეორე ტრიალებს მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების გარშემო – შესაძლებელი გახდა, ზუსტად იმიტომ, რომ რასიზმი გადანაცვეტილებაში ერევა.”

11. *„As Cohen himself notes en passant, innocently, as if the remark does not turn the whole inquiry upside down, ‘the problem is not to explain how people „deny”, but how anyone ever pays any attention’.*” [ს. ფრედმანი 2001: 55].

„en passant” – როგორც „Merriam-Webster”-ის ლექსიკონი განმარტავს, ფრანგული წარმოშობის ზმნიზედაა და ნიშნავს 1. გავლით. ვინაიდან, ამ წინადადებაში ეს სიტყვა გამოყენებული იყო საუბართან მიმართებაში, ამიტომ ვთარგმნე, როგორც „გაკვრით აღნიშვნა”. თარგმანი ასე გამოიყურება:

„როგორც კოენი აღნიშნავს გაკვრით, კეთილსინდისიერად, თითქოს ეს აღნიშვნა მთელ ამ კვლევას თავდაყირა არ ატრიალებდეს, „პრობლემა არ მდგომარეობას იმის ახსნაში, თუ როგორ „უარყოფს” ხალხი, არამედ იმაში, თუ როგორ აქცევს ყურადღებას ოდესმე ვინმე”.”

12. *„An illustration of this form of denial might be the de facto racial segregation of Roma children in the school system in the Czech Republic, whereby these children may be sent to so-called ‘special schools’ for the mentally handicapped.”* [ს. ფრედმანი 2001: 57].

„de facto” – „Merriam-Webster”-ის ლექსიკონის განმარტებით ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს : 1. ფაქტობრივად, 2. ნამდვილი.

„უარყოფის ამ ფორმის ილუსტრაცია, შესაძლოა იყოს ჩეხეთის რესპუბლიკაში სასკოლო სისტემაში ბომა ბავშვების ფაქტობრივად რასობრივი სეგრეგაცია, სადაც ამ ბავშვებს აგზავნიდნენ გონებრივად ჩამორჩენილთა ევრეთ წოდებულ „სპეციალურ სკოლებში“.”

13. „*Additionally, Protocol 12 of the European Convention on Human Rights (ECHR), which has been open for ratification since 4 November 2000, brightens the future for anti-discrimination litigation in the European Court of Human Rights by providing for protection from discrimination on account of race and ethnicity not only vis-à-vis the rights enshrined in the ECHR, but vis-à-vis all domestically protected legal rights.*” [ს.ფრედმანი 2001: 62].

„vis-à-vis” – „Merriam-Webster”-ის ლექსიკონის განმარტებით, მომდინარეობს ლათინური ენიდან, ფრანგული ენის საშუალებით და სიტყვა–სიტყვით ნიშნავს „პირისპირ”. თავდაპირველად, ინგლისურ ენაში აღნიშნავდა ცხენებზე ეტლს, სადაც ორი ადამიანი ერთმანეთის პირისპირ იჯდა. ამასთანავე აღნიშნავს: 1. დაკავშირებით, 2. მიმართებით.

„გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (აუეკ) ოქმი 12 (რომელიც რატიფიკაციისთვის მზად იყო 2000 წლის 4 ნოემბრიდან), ანტი დისკრიმინაციული პროცესისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ნათლად წარმოაჩენს მომავალს არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში დაცული უფლებების უზრუნველყოფით, რასისა და ეროვნების საფუძველზე დისკრიმინაციისგან დასაცავად, არამედ შიდასახელმწიფოებრივად დაცული უფლებების უზრუნველყოფითაც.”

14. „*According to van Dijk, the concept of Ideology is neutral as regards relations of power and domination and is not limited to those views that reflect the stable and lasting aspects of the status quo.*” [ს. ფრედმანი 2001: 49].

„Status quo” – „Merriam-Webster”-ის ლექსიკონის განმარტებით, ლათინური ტერმინია და ნიშნავს 1. საქმის არსებულ მდგომარეობას. ვინაიდან ტერმინი ქართულ რეალობაში გამოიყენება ლათინური ფორმით, თარგმანში ამგვარადვე გადმოვიტანე.

„ვან დიჯის მიხედვით, იდეოლოგიის ცნება ნეიტრალურია, რაც შეეხება ძალაუფლებისა და დომინანტობის ურთიერთობას და არ შემოიფარგლება იმ მოსაზრებებით, რომლებიც ასახავს სტატუს-ქვოს სტაბილურ და გრძელვადიან ასპექტებს.”

ჩემთვის პრომატევალი აღმოჩნდა სასამართლო საქმეების სათაურების თარგმნა. თარგმანის გაკეთებამდე ვამოწმებდი თითოეულ საქმეს ინტერნეტში, ვეძებდი იყო თუ არა ნათარგმნი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, რათა გადმომეტანა ქართულ ენაში დამკვიდრებული სათაურით. ამავე დროს, სათაურებში მხვდებოდა აბრევიატურებიც, რომლებიც მოითხოვდა დეკოდირებას. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ რამდენიმე საქმე იყო ნათარგმნი, მაგალითად:

1. „*The famous case of **Brown v Board** of Education stood for a crucial and belated recognition that the notion of ‘separate but equal’ was no more than a pretext for an ideology which used segregation to maintain inferiority both stigmatically and materially.*” [ს. ფრედმანი 2001: 12].

„Brown v Board” ცნობილი სასამართლო საქმეა, შესაბამისად მას მივაკვლიე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში და მისი სათაური დავტოვე ისე, როგორც მანამდე იყო ნათარგმნი.

„ცნობილმა სასამართლო საქმემ ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ წარმოგვიდგინა მნიშვნელოვანი და დავგიანებული ჭეშმარიტება, რომლის მიხედვით ცნება „გამიჯნული, მაგრამ თანასწორი” სხვა არაფერი იყო, თუ არა წინაპირობა იდეოლოგიისა, რომელიც იყენებდა სეგრეგაციას დაქვემდებარებული პოზიციის შესანარჩუნებლად, როგორც სტიგმატურად, ისე მატერიალურად.”

2. „*The opportunity to formulate and apply the principle arose in the well-known case of **Griggs v Duke Power**, in which an employer had replaced its express policy of excluding black applicant with a requirement that job-seekers have high school qualifications or pass a literary test.*” [ს. ფრედმანი 2001: 23].

„Griggs v Duke Power” - თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ მეთარგმნა, მისი თითოეული სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით, როგორც გრიგსი „ჰერცოგის ძალის

წინააღმდეგ”, თუმცა, ვინაიდან „Duke Power” იყო საჯარო კომუნალური მომსახურების კორპორაცია, გადაწყვეტე გადმოშვებულ ტრანსლიტერაციის საშუალებით:

„პრინციპის ფორმულირებისა და გამოყენების შესაძლებლობა აღმოცენდა კარგად ცნობილ სასამართლო საქმეში გრიგსი დიუკ პაუერის წინააღმდეგ, რომელშიც დამსაქმებელმა შავკანიან განმცხადებელთა არმილების თავისი სპეციალური მოქმედების წესი ჩაანაცვლა მოთხოვნით, რათა სამსახურის მაძიებლებს ჰქონოდათ საშუალო სკოლის კვალიფიკაცია ან ჩაებარებინათ ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.”

3. „These difficulties are strikingly illustrated in the US Supreme Court case of **Wards Cove Packing v Antonio**.” [ს. ფრედმანი 2001: 25].

ჩემ მიერ მოდიებული ინფორმაციით, „Ward” აშშ-ში ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს ეწოდება, ამიტომ ვთარგმნე მხოლოდ „Cove Packing”, როგორც შეფუთვის კომპანია.

„ეს სირთულეები საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი შეერთებული შტატების სასამართლო საქმეში ვარდ ქოუვის შეფუთვის კომპანია ანტონიოს წინააღმდეგ.”

4. „**Ojutiku v Manpower Services Commission** [1982] ICR 661.” [ს. ფრედმანი 2001: 25].

ამ სასამართლო საქმის თარგმნისას „Ojutiku” გადმოვიტანე ტრანსლიტერაციის წესით. ვინაიდან „Manpower” აღნიშნავს მუშახელს, ის ვთარგმნე, როგორც :

„ოჯუტიკუ თანამშრომელთა მომსახურების კომისიის წინააღმდეგ [1982] სამრეწველო შემთხვევების ანგარიშები 661.”

აბრევიატურა ICR, ჩემ მიერ მოდიებული ინფორმაციის მიხედვით არის Industrial Case Reports. ვთარგმნე, როგორც სამრეწველო შემთხვევების ანგარიშები.

5. „*This problem was highlighted in the case of **Ahmad v ILEA**, in which a devout Muslim claimed he was forced to resign his teaching post after his Local Education Authority employer insisted that his attendance at a nearby mosque for Friday prayers was inconsistent with his full-time contract.*” [ს. ფრედმანი 2001: 34].

ჩემ მიერ მოდიებული ინფორმაციით აბრევიატურა ILEA არის Inner London Education Authority, რომელიც ვთარგმნე როგორც ლონდონის შიდა საგანმანათლებლო ორგანო.

„ეს პრობლემა კარგად გამოიკვეთა სასამართლო საქმეში აჰმადი ლონდონის განათლების შიდა ორგანოს წინააღმდეგ, რომელშიც მორწმუნე მუსულმანმა განაცხადა, რომ აიძულებს დაეტოვებინა მასწავლებლის პოსტი მას შემდეგ, რაც ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულების დამსაქმებელი ამტკიცებდა, რომ ახლოს მდებარე მეჩეთში პარასკევის ღოცვაზე მისი დასწრება არ შეესაბამებოდა მის სრულ განაკვეთზე მუშაობის კონტრაქტს.“

6. „*PPC V The Netherlands Communication No. 212/1986 (1988) A/43/40 at 244.*” [ს. ფრედმანი 2001: 36].

PPC – გადმოვიტანე ტრანსლიტერაციის წესით. ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაციით, იგი აღნიშნავს ნიდერლანდების მოქალაქეს, რომლის სახელი და გვარი იურიდიულ საქმეში ამოშლილია.

„ფიფისი (ნიდერლანდების მოქალაქე) ნიდერლანდების წინააღმდეგ საჩივრო ნომერი N 212/1986 (1988) ეი/43/40 244-ზე.“

7. „*R v Aylesbury Crown Court ex p Chahal [1976] RTR 489.*” [ს. ფრედმანი 2001: 38].

განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ამ სასამართლო საქმის დეკოდირება. დიდხანს ვიკვლევდი ინტერნეტის საშუალებით თუ როგორ უნდა გამეგო „R“. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სასამართლო საქმეებში იგი აღნიშნავს სიტყვა „Regina“-ს, რომელიც ნიშნავს: 1. დედოფალს, 2. (იურ) გვირგვინს, როგორც სახელმწიფო მხარეს სისხლის სამართლის პროცესში. შესაბამისად, ვთარგმნე, როგორც გვირგვინი. „Aylesbury Crown Court” – მდებარეობს გაერთიანებულ სამეფოში და ვთარგმნე, როგორც „ეილესბერის სამეფო სასამართლო.“

„Ex p” – ლათინური იურიდიული ტერმინია, იგივე ex parte. „Merriam-Webster”- ის ლექსიკონის მიხედვით, ის გამოიყენება სამართლებრივ პროცედურებში და ნიშნავს: მხოლოდ ერთ მხარეზე ან მხარიდან, მხოლოდ ერთის თვალსაზრისით. „Chahal”-ზე მხოლოდ იმის მოძიება შევძელი, რომ ის არის ინდური წარმოშობის გვარი, ამიტომ „ex p Chahal” ვთარგმნე, როგორც „ჩაჰალის გარეშე“.

RTR Road Traffic Report-ის აბრევიატურაა და ვთარგმნე, როგორც „სავაზო მოძრაობის ანგარიშები”. საბოლოო თარგმანი ასე გამოიყურება:

„გვირგვინი ეილესბერის სამეფო სასამართლოს წინააღმდეგ ჩაპალის გარეშე [1976] საგზაო მოძრაობის ანგარიშები 489.”

ჩემ მიერ ნათარგმნ ტექსტში, ძირითად ტექსტსა თუ დამონმებულ ლიტერატურაში, ხშირად მხედებოდა უცხოელ ავტორთა ან რედაქტორთა სახელები და გვარები. მათი თარგმნისას თითოეულ მათგანს სათითაოდ ვამონმებდი ინტერნეტში, რათა დამედგინა იყო თუ არა მათი ზუსტი თარგმანი ქართულ ენაში. რამდენიმე მათგანი ვთარგმნე შემადგენელი სიტყვების ინგლისური გამოთქმის მიხედვით, მაგალითად :

T. Blackstone – თ. ბლექსტონი

I. M. Young - ი. მ. იანგი

S. Guest – ს. გესტი

ნაშრომში შემხვდა რამდენიმე ავტორის სახელი და გვარი, რომლებიც ტრანსლიტერაციის საშუალებით გადმოვიტანე, მაგალითად:

A. Rattansi- ა. რატანსი

Parekh - პარეხი

Bhavnani – ბჰავნანი,

Modood - მოდუდი

W. G. Runciman - ვ. გ. რანჩიმანი

A. Milne – ა. მილნი

Lyndon P. Johnson - ლინდონ. პ. ჯონსონი

Hepple – ჰეპლე,

Coussey – კუსი

Choudhury - კუდჰარი,

McCrudden- მაკკრუდენი,

A. McColgan- ა. მაკკოლგანი

ძირითადად, ეს პრობლემები შემხვდა თარგმნის პროცესში. მათ გადაჭრაში დამეხმარა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და გამოცდილება, უცხოური და ქართულენოვანი ლიტერატურა, ლექსიკონები და ინტერნეტი.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია წიგნზე „დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები (რასიზმის შემთხვევა)“, რომელიც გამოიცა სანდრა ფრედმანის რედაქტორობით. ნაშრომში წარმოდგენილია წიგნის მე-2 და მე-3 (I, II) თავების თარგმანი და თარგმანის ანალიზი.

მასზე მუშაობა საკმაოდ პრომატევადი იყო. მუშაობის პროცესში აქტიურად ვიყენებდი ქართულ და უცხოენოვან ლიტერატურას, რამდენიმე ლექსიკონსა და ინტერნეტს ტექსტში მოცემულ ტერმინებზე, აბრევიატურებსა თუ სასამართლო საქმეებზე დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით. შევეცადე მაქსიმალური სიზუსტით მეთარგმნა ტექსტი, რადგან ის იურიდიულია.

თარგმნის პროცესში არაერთ სირთულესთან მომიხდა გამკლავება. მათ შორის იყო ტერმინები, რომლებიც ხშირად უეკვივალენტოა ქართულ ენაში. მათი ზუსტი თარგმანისთვის თავდაპირველად ვეძებდი ინფორმაციას ტერმინსა და მის მნიშვნელობაზე, ხოლო შემდეგ - მის ეკვივალენტს ქართულ რეალობაში. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მას ვუსაბამებდი. უეკვივალენტო ტერმინები კი ვთარგმნე მათი შინაარსის მიხედვით.

კიდევ ერთი სირთულე იყო აბრევიატურების სიჭარბე. მათ თარგმნამდე მოვიძიე მათი სრული ფორმები და ამგვარადვე ვთარგმნე. ვფიქრობ, ამით მკითხველს კითხვის პროცესი გავუმარტივე. ამავდროულად, ფრჩხილებში მივუთითე მოკლე ვერსიაც.

თარგმნისას შემხვდა რამდენიმე გრძელი წინადადება. ისინი დავშალე მცირე ზომის წინადადებად ან ჩავამატე სასვენი ნიშნები აზრის მკაფიოდ გამოხატვის მიზნით.

ორიგინალის ტექსტში მრავლად იყო უცხოენოვანი სიტყვა, მათ შორის: ლათინური, ფრანგული, ბერძნული და გერმანული. მათ სათარგმნად დავიხმარე ინტერნეტ რესურსები.

ჩემთვის პრომატევადი აღმოჩნდა სასამართლო საქმეების სათაურების თარგმნაც. სათითაოდ შევამოწმე ისინი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, რათა ორიგინალისთვის შემესაბამებინა დამკვიდრებული ქართული ვერსია. სათაურების

უმრავლესობა არ იყო ნათარგმნი. შესაბამისად, თარგმნის პროცესში დამატებითი ინფორმაცია მოვიძიე ყველა სასამართლო საქმეზე, რათა ქართული ვერსია ზუსტი გამოსულიყო.

იმედი მაქვს, რომ ნაშრომი დაეხმარება მკითხველს დისკრიმინაციისა და რასიზმის უარყოფითი შედეგების გააზრებაში, რადგან ყველა ადამიანი დაბადებიდანვე თანასწორია და არ გავქვს ერთმანეთის ჩაგვრის უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაფრინდაშვილი ნ., თვალთვაძე დ., რიტორიკის შესავალი, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2005, გვერდების საერთო რაოდენობა 132.
2. გაფრინდაშვილი ნ., სალექციო კურსი: მთარგმნელობითი ეკვივალენტობა.
3. გაფრინდაშვილი ნ., სალექციო კურსი: თარგმანის თანამედროვე თეორიის ზოგადი დახასიათება.
4. ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1988, გვერდების საერთო რაოდენობა 230.
5. ფანჯიკიძე დ., თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1995, გვერდების საერთო რაოდენობა 200.
6. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1989.
7. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბილისი, 1997, გვერდების საერთო რაოდენობა 202.
8. Язык. Право. Общество, Сборник статей, А.О. Бондаренко, Основные сложности в переводе юридических текстов, 2016.

ინტერნეტ რესურსები

1. დიგიტალური ქართველოლოგია – <http://tandaschwili.com>
2. დიდი ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონი – www.dictionary.ge
3. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის – http://phr.ge/home/content?content_id=476
4. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>
5. Cambridge Dictionary – www.dictionary.cambridge.org
6. Georgian English Online Dictionary - <https://www.translate.ge/>
7. Legal Dictionary - <https://legaldictionary.net/?s=strict+scrutiny>
8. Merriam Webster - <https://www.merriam-webster.com/>
9. National Parliamentary Library of Georgia - <http://www.nplg.gov.ge>

10. New Press - <http://newpress.ge/ra-aris-diskriminacia>
11. New Vision University - <http://newvision.ge/ge>
12. OnehourTranslation-<https://www.onehourtranslation.com/translation/blog/legal-translation-difficulties-legal-translation>
13. Oxford Learner's Dictionaries - www.oxfordlearnersdictionaries.com
14. Talk Tolerance - <https://tomiajara.wordpress.com>
15. Word Reference - <https://forum.wordreference.com/threads/ripple-out.1130931/>

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Programme Translation Theory and Practice

Samakashvili Meri

Discrimination and Human Rights The Case of Racism

Published in 2001 by Oxford University Press

(Translation and translation analysis of the 2nd and the 3rd (I, II)
chapters)

The thesis submitted for gaining the academic degree of Master in Philology

Supervisor Irina Gvelesiani,

Doctor of Philology, TSU Associate Professor

Tbilisi

2019